ქართული ენა

GÜRCÜCE DERSİ

ÖĞRETMEN KİTABI

6

DEVLET KİTAPLARI
İKİNCİ BASKI
……., 2019

MİLLÎ EĞİTİM BAKANLIĞI YAYINLARI .....: 6258
YARDIMCI VE KAYNAK KİTAPLAR DİZİSİ.....: 673

ქართული ენის მეხუთე კლასის სახელმძღვანელო განკუთვნილია თურქეთის ზოგადსაგანმანათლებლო და იმამ ჰათიბის სასწავლებლების მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს თან ახლავს მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი და კომპაქტ დისკი.

სახელმძღვანელო შეიქმნა „ქართული კულტურის სახლის“ მხარდაჭერით.

Her hakkı saklıdır ve Millî Eğitim Bakanlığına aittir. Kitabın metin, soru ve şekilleri kısmen de olsa hiçbir surette alınıp yayımlanamaz.

ავტორი: მაია მელიქიძე

რედაქტორი: დალი გვენცაძე

პროექტის კოორდინატორი და კონსულტანტი: თემურ ტარტარაშვილი

მხატვარი: მაკა ჯებირაშვილი

დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

Bu ders kitabı, Gücü Kültür Evi'nin (İstanbul) desteği ile hazırlanmıştır.

Yazar: Maya Melikidze

Editör: Dali Gventsadze

Program Koordinatörü ve Tercüme: Temur Tartaraşvili

Resimleyen: Maka Cebisaşvili

Görsel Tasarım Uzmanı: Teona Kereselidze

ISBN 978-975-11-4334-1

Millî Eğitim Bakanlığı, Talim ve Terbiye Kurulu Başkanlığının 26.07.2016 gün ve 7920668 sayılı yazısı ile eğitim aracı olarak kabul edilmiş, Destek Hizmetleri Genel Müdürlüğünün ..... gün ve ..... sayılı yazısı ile ikinci defa ..... adet basılmıştır.

İSTİKLÂL MARŞI

Korkma, sönmez bu şafaklarda yüzen al sancak;
Sönmeden yurdumun üstünde tüten en son ocak.
O benim milletimin yıldızıdır, parlayacak;
O benimdir, o benim milletimindir ancak.

Çatma, kurban olayım, çehreni ey nazlı hilâl!
Kahraman ırkıma bir gül! Ne bu şiddet, bu celâl?
Sana olmaz dökülen kanlarımız sonra helâl.
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl.

Ben ezelden beridir hür yaşadım, hür yaşarım.
Hangi çılgın bana zincir vuracakmış? Şaşarım!
Kükremiş sel gibiyim, bendimi çiğner, aşarım.
Yırtarım dağları, enginlere sığmam, taşarım.

Garbın âfâkını sarmışsa çelik zırhlı duvar,
Benim iman dolu göğsüm gibi serhaddim var.
Ulusun, korkma! Nasıl böyle bir imanı boğar,
Medeniyyet dediğin tek dişi kalmış canavar?

Arkadaş, yurduma alçakları uğratma sakın;
Siper et gövdeni, dursun bu hayâsızca akın.
Doğacaktır sana va'dettiği günler Hakk'ın;
Kim bilir, belki yarın, belki yarından da yakın.

Bastığın yerleri toprak diyerek geçme, tanı:
Düşün altındaki binlerce kefensiz yatanı.
Sen şehit oğlusun, incitme, yazıktır, atanı:
Verme, dünyaları alsan da bu cennet vatanı.

Kim bu cennet vatanın uğruna olmaz ki feda?
Şüheda fışkıracak toprağı sıksan, şüheda!
Cânı, cânânı, bütün varımı alsın da Huda,
Etmesin tek vatanımdan beni dünyada cüda.

Ruhumun senden İlâhî, şudur ancak emeli:
Değmesin mabedimin göğsüne nâmahrem eli.
Bu ezanlar -ki şehadetleri dinin temeli-
Ebedî yurdumun üstünde benim inlemeli.

O zaman vecd ile bin secde eder -varsa- taşım,
Her cerîhamdan İlâhî, boşanıp kanlı yaşım,
Fışkırır ruh-ı mücerret gibi yerden na'şım;
O zaman yükselerek arşa değer belki başım.

Dalgalan sen de şafaklar gibi ey şanlı hilâl!
Olsun artık dökülen kanlarımın hepsi helâl.
Ebediyyen sana yok, ırkıma yok izmihlâl;
Hakkıdır hür yaşamış bayrağımın hürriyyet;
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl!

Mehmet Âkif Ersoy

GENÇLİĞE HİTABE

Ey Türk gençliği! Birinci vazifen, Türk istiklâlini, Türk Cumhuriyetini, ilelebet muhafaza ve müdafaa etmektir.

Mevcudiyetinin ve istikbalinin yegâne temeli budur. Bu temel, senin en kıymetli hazinendir. İstikbalde dahi, seni bu hazineden mahrum etmek isteyecek dâhilî ve hâricî bedhahların olacaktır. Bir gün, istiklâl ve cumhuriyeti müdafaa mecburiyetine düşersen, vazifeye atılmak için, içinde bulunacağın vaziyetin imkân ve şeraitini düşünmeyeceksin! Bu imkân ve şerait, çok namüsait bir mahiyette tezahür edebilir. İstiklâl ve cumhuriyetine kastedecek düşmanlar, bütün dünyada emsali görülmemiş bir galibiyetin mümessili olabilirler. Cebren ve hile ile aziz vatanın bütün kaleleri zapt edilmiş, bütün tersanelerine girilmiş, bütün orduları dağıtılmış ve memleketin her köşesi bilfiil işgal edilmiş olabilir. Bütün bu şeraitten daha elîm ve daha vahim olmak üzere, memleketin dâhilinde iktidara sahip olanlar gaflet ve dalâlet ve hattâ hıyanet içinde bulunabilirler. Hattâ bu iktidar sahipleri şahsî menfaatlerini, müstevlîlerin siyasî emelleriyle tevhit edebilirler. Millet, fakr u zaruret içinde harap ve bîtap düşmüş olabilir.

Ey Türk istikbalinin evlâdı! İşte, bu ahval ve şerait içinde dahi vazifen, Türk istiklâl ve cumhuriyetini kurtarmaktır. Muhtaç olduğun kudret, damarlarındaki asil kanda mevcuttur.

Mustafa Kemal Atatürk



MUSTAFA KEMAL ATATÜRK

სარჩევი

შესავალი	7
სახელმძღვანელოს კომპონენტების ზოგადი დახასიათება	9
მეთოდიკური რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის	15
თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა	24
ცალკეული თემის ანალიზი	28
თემა 1 ერთი დღე	**31**
თემა 2 წელიწადის დროები	**43**
თემა 3 დაბადების დღე	**59**
თემა 4 ჩემი სოფელი	**65**
თემა 5 შაბათ-კვირას	**73**
მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები	78
ცალკეულ სავარჯიშოთა პასუხები	84
მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები	91

შესავალი

ქართული ენის სახელმძღვანელო განკუთვნილია თურქეთის ზოგადსაგანმანათლებლო და იმამ ჰათიბის სასწავლებლების მეექვსე კლასების მოსწავლეებისათვის და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ისინი იმგვარი ცოდნით, რომ შეძლონ ქართულ ენაზე კომუნიკაცია.

სახელმძღვანელო შეესაბამება ამავე კლასისათვის სპეციალურად შექმნილ საგნობრივ პროგრამას, რომელიც ეყრდნობა ევროსაბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების მიერ დადგენილ ენის ფლობის არასრულ A1 (გასაღები) დონის ძირითად მოთხოვნებს – A1.2-ს (იხ. *„უცხოური ენების ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები; შესწავლა, სწავლება, შეფასება“, უცხოური ენების დეპარტამენტი, სტრასბურგი, 2000 წ.; აგრეთვე ზაგადსაგანმანათლებლო და იმამ ჰათიბის სასწავლებლებში ქართული ენის მე-5 კლასის სასწავლო პროგრამა, თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, სწავლებისა* და *აღზრდის დეპარტამენტი, 2014 წ.*).

სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული კლასის სტანდარტით (საგნობრივი პროგრამით) განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სათანადო ენობრივ/კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებას.

მე-6 კლასის სახელმძღვანელოს კომპონენტები

სახელმძღვანელო შედგება ოთხი კომპონენტისაგან.

მოსწავლის წიგნი, რომელიც შედგება 6თემატური ერთეულისაგან. ყოველი თემატური ერთეულის ბოლოს წარმოდგენილია როგორც შესაბამისი ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების, ისე სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარის შესამოწმებელი აქტივობები და კითხვარები.

მოსწავლის წიგნს ბოლოში ერთვის როგორც ქართულ-თურქული თემატური და ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, ისე ზმნური ლექსიკონი.

მოსწავლის რვეული, რომელიც ყველა თემატური ერთეულისათვის შეიცავს დამატებით სავარჯიშოებს, რაც ხელს უწობს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი მასალის ათვისებას.

აუდიო კომპაქტ-დისკი, რომელიც შეიცავს როგორც კონკრეტული მოსასმენი ტექსტების, ისე ცალკეული სიმღერების აუდიოჩანაწერებს.

მასწავლებლის წიგნი, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო რეკომენდაციები, მითითებები, რჩევები და ა.შ.

კომპონენტების ზოგადი დახასიათება

1. მოსწავლის წიგნი

<u>სტრუქტურა და შინაარსი</u>

მოსწავლის წიგნი 5 თემატური ერთეულისაგან შედგება. ესენია:

1. ერთი დღე

2. წელიწადის დროები

3. დაბადების დღე

4. ჩემი სოფელი

5. შაბათ-კვირას

- თითოეული თემა, მოსასმენი და საკითხავი ტექსტების გარდა, მოიცავს სათანადო კომუნიკაციურ და ენობრივ სავარჯიშოებს. ყოველი თემა შედგება რამდენიმე ქვეთემისაგან, რომლებსაც საერთო შინაარსობრივი და ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნები გააჩნია.

- თემის დასაწყისში (პირველ გვერდზე) გამოტანილია თემაში გასავლელი ახალი შინაარსისა და ენობრივი მასალის შემცველი სურათები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეებს, გაიგონ, რას შეისწავლიან ისინი მოცემულ თემატურ ერთეულში.

  თემაში შემოტანილ ახალ ენობრივ მასალას, საჭიროებისამებრ, იქვე ახლავს სხვადასხვა ტიპის ენობრივი თვალსაჩინოება – გრამატიკული ფორმულები და კონკრეტული ენობრივი კონსტრუქციები, რომელთა დანიშნულებაც არის საკომუნიკაციო სიტუაციებში მათი ფუნქციური გამოყენება; წარმოდგენილია ცალკეულ ზმნათა უღლების ნიმუშები; საორიენტაციო შეკითხვები შესაბამისი პასუხებით და ა.შ.

- უკეთ გასააზრებლად ახალ ენობრივ მასალას წიგნშივე ახლავს გარკვეული რაოდენობის შესაბამისი სავარჯიშოები (დამატებითი ვარჯიშისათვის კი აქტივობათა ძირითადი პაკეტი მოცემულია სამუშაო რვეულში).

  შეძენილი ენობრივი ცოდნის განსამტკიცებლად წიგნი ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩაბმას ზეპირ ინტერაქციაში, რაც გულისხმობს შესატყვისი საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნას, დიალოგების გათამაშებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებასა და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. შესაბამისად, წიგნში მოცემულია მთელი რიგი კომუნიკაციური სავარჯიშოები, რომელთა მიზანია სამეტყველო აქტების განხორციელება. ეს სავარჯიშოები მთლიანად არის აგებული იმ ლექსიკური და გრამატიკული ფორმებითა თუ ენობრივი კონსტრუქციებით, რომლებიც მნიშვნელოვანია მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

  რაც შეეხება თავად საკომუნიკაციო სიტუაციებს, მოცემული ტექსტები (მათ შორის, დიალოგებიც), ძირითადად, ხელოვნურადაა შექმნილი, რაც საშუალებას გვაძლევს მიზნობრივად დავუქვემდებაროთ ტექსტი ენობრივ და კომუნიკაციურ მიზნებს და, შესაბამისად, გადავათამაშოთ ის ენობრივი თუ გრამატიკული ფორმები, რომლებიც ამ კონკრეტული თემის პრიორიტეტს წარმოადგენს.

- ყოველი თემის ბოლოს წარმოდგენილია თემის ფარგლებში შეძენილი ენობრივი და კომუნიკაციური უნარების შესამოწმებელი შემაჯამებელი დავალებები და კითხვარები. თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შეამოწმონ საკუთარი ცოდნა, საკომუნიკაციო უნარები და იქვე განსაზღვრონ, რამდენად შეუძლიათ მათ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვა და უკეთესი შედეგების მიღწევაში ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა. მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით, ცოდნის შესამოწმებელი დავალებები წიგნში მოცემულია ქართულ ენაზე. რაც შეეხება სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვებას, ის თურქულ ენაზე მიმდინარეობს, რათა ენობრივმა ბარიერმა ხელი არ შეუშალოს მოსწავლეს, უკეთ გაიგოს და გაიაზროს იქ მოცემული ინფორმაციები.

- წიგნს ბოლოში ახლავს როგორც ქართულ-თურქული თემატური და ძირითადი ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, ისე ზმნური ლექსიკონი და მოსასმენი დიალოგების ტრანსკრიფციები.



ლექსიკონების შედგენის პრინციპები:

❖ **თემატურ ლექსიკონში** სახელები წარმოდგენილია მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმებით. თუმცა, ქართული ენისათვის დამახასიათებელი სახელის ფუძის რედუცირების გათვალისწინებით, იქვე ფრჩხილებშია მითითებული მოცემული ლექსიკური ერთეულის ნათესაობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ფორმებიც. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

დრო / თვე / სიხშირე	
აგვისტო (აგვისტო-სი)	ağustos
აპრილი (აპრილ-ის)	nisan
გაზაფხული (გაზაფხულ-ის)	ilkbahar
დეკემბერი (დეკემბრ-ის)	aralık
ზაფხული (ზაფხულ-ის)	yaz

ზმნურ ლექსიკონში ზმნები დალაგებულია არა მორფოლოგიური ტიპის, არამედ სინტაქსური ყალიბის მიხედვით (ამოვდივართ სუბიექტის ბრუნვიდან). ამგვარი პრინციპით დალაგებული ფორმებით მოსწავლეს გაუადვილდება სინტაქსური მოდელის სწორად აგება.

შესაბამისად, გამოყოფილია ზმნის ორი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც აქვთ:

1. სახელობითში მდგარი სუბიექტი (**ვ**ხატავ (მე – ბიჭი მას); **ვ**დგავარ/**ვ**დგები (მე – ბიჭი) და
2. მიცემითში მდგარი სუბიექტი (**მ**იყვარს (მე – ბიჭს ის).

ცალკეა გატანილი თავისებური ზმნები.

ლექსიკონში მოცემულია ზმნის საწყისი და აწმყოს, წყვეტილისა და მყოფადის ფორმები (თავისებურ ზმნებთან გვაქვს მყოფადიც). ჩვენთვის ამოსავალია ზმნის საწყისი, რომელსაც ახლავს ზმნისწინი (ზმნისწინის შერჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი ზმნისწინია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებში ამა თუ იმ ზმნასთან. განსხვავებული ზმნისწინების შემთხვევაში დაფიქსირებულია ყველა, მაგალითად, **წა**სვლა/**მო**სვლა. საწყისები დალაგებულია ანბანის რიგზე).

თავად ზმნისწინის დართვა მოსწავლეს უიოლებს მყოფადის წრის მწკრივთა წარმოებას.

ობიექტური პირები ჩასმულია ფრჩხილებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირები ზმნას შეიძლება შეეწყოს და შეიძლება – არა, შესაბამისად, ზმნა, შესაძლოა, იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. კონკრეტულ ფორმასთან ფრჩხილებში მოცემული ციფრი კი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენ პირს შეიწყობს კონკრეტულად ეს ზმნა.

წარმოვადგენთ ნიმუშებს:

<u>ვინიანი</u> ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო **S O O** ის (მას) (მას)	წარსული დრო **S O O** მან (მას) (ის)	მომავალი დრო **S O O** ის (მას) (მას)
ბანაობა	ვბანაობ/ბანაობს (1)	ვიბანავე/იბანავა	ვიბანავებ/იბანავებს
გაკეთება	ვაკეთებ/აკეთებს (2)	გავაკეთე/გააკეთა	გავაკეთებ/გააკეთებს
გამოცხობა	ვაცხობ/აცხობს (2)	გამოვაცხე/გამოაცხო	გამოვაცხობ/გამოაცხობს
გუნდაობა	ვგუნდაობ/გუნდაობს (1)	ვიგუნდავე/იგუნდავა	ვიგუნდავებ/იგუნდავებს
სრიალი	ვსრიალებ/სრიალებს (1)	ვისრიალე/ისრიალა	ვისრიალებ/ისრიალებს

<u>მანიანი</u> ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო **S O** მას (ის)	წარსული დრო **S O** მას (ის)
მოწონება	მომწონს/მოსწონს (2)	მომეწონა / მოეწონა
სიყვარული	მიყვარს/უყვარს (2)	შემიყვარდა/შეუყვარდა
დაინტერესება	მაინტერესებს/აინტერესებს (2)	მაინტერესებდა/აინტერესებდა
ნდომა	მინდა/უნდა (2)	მინდოდა/უნდოდა
რქმევა	მქვია/ჰქვია (2)	მერქვა/ერქვა

<u>თავისებური</u> ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S ის	წარსული დრო S ის	მომავალი დრო S ის
ყოფნა	ვარ/არის	ვიყავი/იყო	ვიქნები/იქნება
წასვლა	მივდივარ/მიდის	წავედი/ წავიდა	წავალ/წავა
ამოსვლა	ამოვდივარ/ამოდის	ამოვედი/ამოვიდა	ამოვალ/ამოვა
ასვლა	ავდივარ/ადის	ავედი/ავიდა	ავალ/ავა
გასვლა	გავდივარ/გადის	გავედი/გავიდა	გავალ/გავა

2. მოსწავლის რვეული

რვეული შეიცავს მრავალფეროვან კომუნიკაციურ და ენობრივ სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს წიგნში მოცემული მასალის ათვისება-განმტკიცებაში.

რვეულში მოცემული მასალა მიჰყვება წიგნის თემატიკას. ერთი თემის ფარგლებში მასალა შესაბამისი ქვეთემების მიხედვითაა დალაგებული. ყოველ განშლას (ცალკეული გამონაკლისის გარდა) ახლავს რუბრიკა – **„ჩემი ლექსიკონი“**, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ მოსწავლისათვის და გულისხმობს, საჭიროებისამებრ მის გამოყენებას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, თავად შექმნან საკუთარი ლექსიკონი კონკრეტულ საკითხთან / ტექსტთან თუ დავალებასთან მიმართებაში.



3. მასწავლებლის წიგნი

- მასწავლებლის წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
  - შესავალი;
  - სახელმძღვანელოს კომპონენტების ზოგადი დახასიათება;
  - მეთოდიკური რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის;
  - თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა;
  - ცალკეული თემის ანალიზი;
  - მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები;
  - ცალკეულ სავარჯიშოთა პასუხები;
  - მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები;

- მასწავლებლის წიგნის ფუნქციაა, კონკრეტული რჩევებით, რეკომენდაციებითა და ცალკეული თემის ფარგლებში არსებული მეთოდური კომენტარებით გაუადვილოს მასწავლებლებს მუშაობა დასახული მიზნებისა თუ დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

- რჩევებისა და რეკომენდაციების გარდა, წიგნი ცალკეულ შემთხვევებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს აგრეთვე სწავლა/სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს ამა თუ იმ საკითხის მიწოდებისა თუ ათვისების გასაიოლებლად. დეტალურად არის აღწერილი ისეთი სავარჯიშოები თუ ენობრივი საკითხებიც, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს შეიცავს როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც. ასევე ცალკეული საჭიროებებისათვის, დამატებითი რესურსის სახით, მასწავლებლის წიგნში ჩადებულია მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების პროცესში, აგრეთვე საჭირო თვალსაჩინოებები სქემებისა და ცხრილების სახით და შედარებით რთული სავარჯიშოების პასუხები.

- <u>რამდენი კვირა თუ საათი უნდა დაეთმოს თითოეული თემის შესწავლას?</u> გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგადად, როგორც ცალკეული თემის, ისე კონკრეტული აქტივობის ხანგრძლივობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ: როგორია მასწავლებლის პროფესიული გამოცდილება; მოსწავლეთა მოტივაცია; მზაობა; მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებელი მიზნები და ამოცანები და ა.შ. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაც.

- აქედან გამომდინარე, დროის თვალსაზრისით მკაცრი შეზღუდვა არ არსებობს.

  - **მნიშვნელოვანი რეკომენდაცია:** აუცილებელია, მასწავლებლის წიგნში მოცემული მითითებებისა და კონკრეტულ საკითხთან/თემასთან დაკავშირებული დამატებითი აქტივობების განხორციელება. გაკვეთილებს შორის დიდი შუალედის გამო, სამუშაო რვეულში მოცემული სავარჯიშოებიდან, შეგიძლიათ, ნაწილი სახლში სამუშაოდ მისცეთ, შესაბამისად, დაკვეთილზე დიდი დრო დაგრჩებათ გაგება-გააზრებისათვის და პრაქტიკული აქტივობებისათვის. მთავარია, რომ სახლში შესასრულებელი აქტივობები სწორად განსაზღვროთ, მაგალითად:
    - ა. მსგავსი სავარჯიშოების შემთხვევაში, ნაწილი შეასრულეთ კლასში, დანარჩენი მიეცით სახლში სამუშაოდ.
    - ბ. ერთად შეასრულეთ ნიმუში და სავარჯიშოდან ერთი-ორი მაგალითი და სავარჯიშო დაასრულებინეთ სახლში.

რაც ძალიან არსებითია, არ უნდა დაგავიწყდეთ შემდეგ გაკვეთილზე მათი შემოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანის თავიდან შესრულება კლასში.

4. აუდიომასალა

- წიგნში ჩადებული მოსასმენი დავალებების ორი წყარო არსებობს. ერთია თავად მასწავლებელი, რომელიც კითხულობს წიგნში მოცემულ ტექსტს (დიალოგი იქნება ეს, კონკრეტული რეპლიკები თუ სხვა) და მეორეა მოსასმენი ტექსტების აუდიოჩანაწერები, რომლებიც წიგნში სპეციალური ლოგოთია გამოყოფილი.

- აუდიოჩანაწერები სხვადასხვა სახისაა. მოცემულია, როგორც საკომუნიკაციო სიტუაციების შესატყვისი დიალოგები, ისე მიზნობრივი ტექსტები კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. არის სიმღერებიც თავისი „კარაოკეებით“, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მუსიკის ფონზე თავადაც იმღეროს.

მეთოდიკური რეკომენდაციები

კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება

მოსმენის უნარის განვითარება:

ამ ეტაპზეც მოსმენას, როგორც ენის ათვისების მთავარ არხს, კვლავ პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. თუ საჭიროება მოითხოვს, გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს კვლავ ქართული ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილებას, რაც აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად.

ცალკეულ გამოთქმებთან ერთად, მოსწავლეებს ამ ეტაპზეც მოეთხოვებათ მხოლოდ მოსასმენი ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციისა და ზოგადი ინფორმაციის გაგება; ასევე სახელმძღვანელოში მოცემული მოსასმენი ამოცანების შესრულება.

მოსასმენი დავალების შესრულებისას მნიშვნელოვანია, რომ მოსასმენი აუდიომასალა, სულ ცოტა, ორჯერ მაინც მოვასმენინოთ, რათა მათ შეძლონ შესასრულებელი სამუშაოს კონტროლი. დავალების შესრულების შემდეგ კი მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, თავიდან მოისმინონ ტექსტი და გადაამოწმონ თავიანთი ნამუშევარი (შეავსონ, შეასწორონ, დააზუსტონ და ა.შ.).

რაც შეეხება სახელმძღვანელოში არსებულ სხვა მოსასმენ ტექსტებს, როგორც წესი, მათ ახლავს შესაბამისი ილუსტრაციები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს მოსამენი ტექსტის შინაარსის გაგებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დავალების შესრულებამდე ჯეროვნად იმუშაოს ამ ილუსტრაციებზე.

კითხვის სწავლება:

აუცილებელია, რომ მასწავლებელმა თანაბრად იმუშაოს როგორც ხმამაღალ კითხვაზე, ისე ჩუმ კითხვაზეც. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ხმამაღლა წაიკითხონ უკვე მოსმენილი და ზეპირმეტყველებაში დამუშავებული ტექსტები.

გთავაზობთ ხმამაღალ კითხვაზე მუშაობის სტრატეგიებს:

ა. გუნდური კითხვა – მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს რამდენჯერმე; ჯერ მასწავლებელი კითხულობს ნელა და გარკვევით და შემდეგ მთელი კლასი იმავე ტექსტს კითხულობს რამდენჯერმე;

ბ. წყვილებში კითხვა – მოსწავლეები ერთად ან რიგრიგობით კითხულობენ ტექსტს ხმამაღლა (წყვილებში მუშაობის დროს კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი დააწყილებს ძლიერი-სუსტის პრინციპით);

გ. ინდივიდუალური კითხვა – როცა ერთი მოსწავლე კითხულობს ტექსტს თავიდან ბოლომდე; ან კითხულობს მითითებულ ადგილს. აქვე შემოდის გაგრძელებებით წაკითხვაც, როცა მასწავლებელი აწყვეტინებს მოსწავლეს კითხვას და აგრძელებინებს მეორეს.

რაც შეეხება ჩუმ კითხვას, ეს არის წაკითხულის შინაარსის გაგების უნარი და მას საკითხავი ამოცანების შესრულებისას უნდა მივმართოთ. სახელმძღვანელო ამ კუთხით საკითხავი ტექსტის ტიპებისა და საკითხავი ამოცანების მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს მოსწავლეებს.

აქვე მასწავლებელს ვთავაზობთ ერთ-ერთ სტრატეგიას, რომლის გამოყენებაც ტექსტის დამუშავების პროცესში ხელს შეუწყობს წაკითხულის გაგების უნარის განვითარებას. ეს არის ე.წ. **ინფორმაციული ბლოკების** შექმნა (და შემდგომ მათი გამოყენება ზეპირი თუ წერითი კომუნიკაციის დროს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, წერისა და ზეპირმეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება). ინფორმაციული ბლოკების შექმნის მიზანია ტექსტში არსებული ინფორმაციების კონკრეტული საკითხის/თემის მიხედვით მოძიება და ერთი ღერძის გარშემო მათი განთავსება. ასეთი ღერძების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, მოცემული ტექსტი თავისთავად რამდენი და რა ტიპის ინფორმაციას მოიცავს.

ინფორმაციული ბლოკები შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერ საკითხზე, თუკი მის შესახებ მინიმუმ ორი ინფორმაცია მაინც არსებობს ტექსტში.

გთავაზობთ ნიმუშს: თემა 4, „ჩემი სოფელი“ (გვ. 64, №1):



შემდეგ შეგვიძლია მოსწავლეებს ასეთივე ბლოკის შექმნა მოვთხოვოთ ომარის სოფელზეც.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ნიმუშის სახით პირველ ეტაპზე თავად შექმნას ასეთი ბლოკი დაფაზე მოსწავლეების ჩართულობით (ის სვამს კონკრეტულ კითხვას და სთხოვს მათ, შესაბამისი ინფორმაციის ტექსტში მოძიებას). მოსწავლეებმა კარგად უნდა დაინახონ და გაიაზრონ ამგვარ აქტივობაზე მუშაობის პრინციპი და, ასევე, მისი საჭიროებაც. ამის შემდეგ, სასურველია, მოსწავლეებმა თავად (დამოუკიდებლად ან წყვილებში) იმუშაონ ამგვარ აქტივობებზე, მასწავლებელი კი პასუხების შეჯერების პროცესში ჩაერთოს, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლის ჩართვა დავალების შესრულების პროცესშიც აუცილებელია.

წერის სწავლება:

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის, ამიტომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ დავალებებს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც უწევთ და წერაც.

მოსწავლეთა წერის უნარის გასავითარებლად სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს მრავლად სთავაზობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- გამოტოვებული ადგილების შევსება (წინადადებებში - სიტყვების, ტექსტებში - წინადადებების);
- კითხვარის, ანკეტის და ა.შ. შევსება;
- არეულად მოცემული სიტყვებით წინადადების შედგენა;
- არეულად მოცემული რეპლიკების/ფრაზების სწორად დალაგება და შემდგომ აწყობილი ტექსტის გადაწერა;
- კროსვორდის შევსება;
- კითხვარების შედგენა (მაგ.: *ვის უყვარს/არ უყვარს ესა თუ ის საჭმელი და სასმელი; სად წავა, რას გააკეთებს...* და ა.შ.);
- წინადადებების დასრულება სხვადასხვა გზით (მაგ.: *მოცემული ვარიანტებიდან სწორი ვარიანტის შერჩევით*; *კონტექსტით*);
- და სხვა.

<u>წერილობითი ტექსტის შედგენა:</u>
მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ტიპის მარტივ ტექსტებს, მაგ.: პრაგმატული ხასიათის ტექსტები (ანკეტა, კითხვარი...); მცირე აღწერითი ტექსტები (მაგ., ცხოველის/ სოფლის/ საქმიანობის... აღწერა-დახასიათება და სხვა).

<u>ლაპარაკი:</u>

ზეპირმეტყველება გულისხმობს ორი ტიპის უნარ-ჩვევას: პროდუცირებას (ანუ მონოლოგურ და დიალოგურ მეტყველებას) და რეპროდუცირებას (ანუ სიტყვის, ფრაზის სათანადო გამოთქმით, ლოგიკური მახვილების დაცვითა და სათანადო ინტონაციით გამეორებას).

ძირითადი აქცენტი კვლავ რეპროდუცირებასა და მარტივი ფრაზებისა და ენობრივი ფორმულების დაზეპირებაზე უნდა გაკეთდეს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია გამოთქმის დამუშავება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვლავ სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება/განმტკიცებას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მუდმივად წაახალისოს მოსწავლეები, შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვან და უპასუხონ შეკითხვებს, ნიმუშების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ მარტივ ყოფით სიმულაციურ სიტუაციებში, გაითამაშონ მარტივი დიალოგები და სხვა.

სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს როგორც რეპროდუცირების უნარ-ჩვევის განვითარებას (ანუ სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებასა და ლექსიკური მარაგის განმტკიცება/განვითარებას), ისე უზრუნველყოფს მოსწავლის ალაპარაკებას (მისი მონოლოგური თუ დიალოგური მეტყველების განვითარებას).

როგორც ზემოთ ითქვა, ასევე წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ინფორმაციული ბლოკები იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მათზე დაყრდნობით სხვისი ან საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი.

პროდუცირების უნარის გასავითარებლად სახელმძღვანელო მრავლად შეიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:
- კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა (მაგ., *სად დევს ჩემი ჩანთა? ვისია ეს წიგნი?* და ა.შ.);
- მარტივი ინტერაქცია ნაცნობი თემების გარშემო (მაგ.: *სად და როდის დაიბადა? რა უყვარს/არ უყვარს? როგორ გაატარებს შაბათ-კვირას* და ა.შ.);

- ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობის მიღება (მაგ., *მინიინტერვიუების მოწყობა, გამოკითხვების ჩატარება კლასში კონკრეტულ თემაზე; კონკრეტული სიტუაციების გათამაშება*);
- სურათების, ფოტოების აღწერა;
- საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი და სხვა.

ლინგვისტური კომპეტენციების სწავლება.

ლექსიკა:

ლექსიკის მზამზარეული თარგმნა არ უნდა გახდეს სიტყვის (და, ზოგადად, აზრის) მნიშვნელობის მიწოდების ერთადერთი (თუნდაც, ძირითადი) საშუალება, მნიშვნელობა არ აქვს სწავლების რომელ საფეხურზეც არ უნდა ვიმყოფებოდეთ. უფრო მეტიც, სასურველია, რომ აუცილებელი საჭიროების გარდა მასწავლებელმა თავი აარიდოს მას. თარგმნის გარდა, არსებობს სიტყვის მნიშვნელობის მიწოდების სხვა, არათარგმნითი გზაც, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა.

სიტყვის მნიშვნელობის არათარგმნითი გზით მიწოდება განსაკუთრებით უწყობს ხელს არა მარტო უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობის გააზრებას, არამედ მის დამახსოვრებასაც. გთავაზობთ ლექსიკის სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ასევე შეუძლია გამოიყენეოს მასწავლებელმა ახალი ლექსიკური ერთეულების სწავლებისას.

◈ სასურველია, რომ ახალი ლექსიკის სწავლებისას, მასწავლებელმა ამ ეტაპზე თანმიმდევრულად განახორციელოს ეს აქტივობები:

1. მიუთითებს ყოველ ახალ ლექსიკურ ერთეულზე და ასახელებს, რა არის (მაგ., ეს არის ჩიტი, ეს არის პეპელა და ა.შ.);
2. მასწავლებელი მიუთითებს, ასახელებს, რა არის და მოსწავლეები იმეორებენ.
3. შემდეგ მასწავლებელი მხოლოდ მიუთითებს და მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რა არის;
4. მასწავლებელი მხოლოდ ასახელებს და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რომელია;
5. მასწავლებელი მიუთითებს და ასახელებს შეცდომით, მოსწავლეებმა უნდა გაასწორონ;
6. ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით, მასწავლებელი აღწერს (როგორია? – დიდი, პატარა, მსუქანი, დაბალი ... რა ფერია?) და მოსწავლეები ასახელებენ.

ლექსიკის სწავლებისათვის სახელმძღვანელოში შეთავაზებულია აგრეთვე:

ა. სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენება;
ბ. სიტყვიერი განმარტება (ეს, ძირითადად, ეხება აფიქსალურად ნაწარმოებ სიტყვებს და არა - კომპოზიტებს, მაგალითად, *გამყიდველი: ის, ვინც ყიდის* და ა.შ. თუმცა სრულიად შესაძლებელია, გამოვიყენოთ სიტყვიერი განმარტება.
გ. ლექსიკის სხვადასხვა კატეგორიად დაყოფა (მაგ., გრამატიკულ კატეგორიებად: სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ ადგილს, დროს, ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ.; სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან სულიერება/უსულოების მიხედვით და სხვა);
დ. ერთი ცნების ქვეშ გაერთიანება (მაგ., *ყვავილი, ცხოველი, სათამაშო, ხილი, ბოსტნეული* და ა.შ.);
ე. კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის დადგენა;
ვ. და ა.შ.

<u>გრამატიკა:</u>

გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება, შესაბამისად, ის არა იზოლირებულად, არამედ კონტექსტში ისწავლება.

არ არის რეკომენდებული გრამატიკული საკითხების აღწერით – თეორიული სახით მიწოდება, წესებისა და ტერმინების ზეპირად დასწავლა. მით უფრო სწავლების საწყის ეტაპზე, ენობრივი ნიმუშების დამახსოვრებასთან ერთად, მოსწავლეებს გრამატიკული კონსტრუქციები ანალიზის გარეშე უნდა შევთავაზოთ. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები.

თუმცა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მასწავლებელს შეუძლია, მიმართოს სიტყვიერ ახსნასაც (ცხადია, თურქულ ენაზე) და, უფრო მეტიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პარალელების გავლება თურქულთან (უფრო კონკრეტულად ამის შესახებ გარკვეულ მითითებებსა და რჩევებს მასწავლებელს ცალკეული გრამატიკული საკითხის ანალიზისას ვთავაზობთ).

აქ ზოგადად შევნიშნავთ, რომ გრამატიკის სწავლებისას აუცილებელია:

- ახალი გრამატიკული საკითხის მიწოდებისას ადვილი და გასაგები თვალსაჩინოებების (სქემების, ცხრილების, დიაგრამებისა და ა.შ.) გამოყენება.
- გრამატიკული მასალის სახალისო, ადვილად გასაგებ ზეპირ თუ წერილობით საკომუნიკაციო სიტუაციებში მიწოდება.
- სხვადასხვა სირთულის მრავალფეროვანი აქტივობებისა და სავარჯიშოების შეთავაზება, რასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი სახელმძღვანელო.

ასევე აუცილებელია გამეორებადი გამონათქვამების (კლიშეების, გრამატიკული ფორმულების) ხშირი გამეორება, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ.

✱ <u>მეთოდიკურ-პედაგოგიური პრინციპები და კონკრეტული რეკომენდაციები</u>

შევჩერდებით მხოლოდ იმ რამდენიმე მეთოდზე, რომელთა აქტიური გამოყენებაც საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განსაკუთრებით, მოცემულ ეტაპზე მისაღწევი შედეგების უზრუნველსაყოფად. ესენია:

<u>დემონსტრირების ხერხი,</u> ანუ თვალსაჩინოებების გამოყენება.

აქ საუბარია ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენაზე, რომელიც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტურია. ამ მეთოდის გამოყენებას მასწავლებლებს განსაკუთრებით ახალი ენობრივი (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) საკითხების სწავლებისას ვურჩევთ. ამ შემთხვევაში საუბარია დამატებით პოსტერებისა და სქემების შექმნა და გამოყენება, რომელთა კონკრეტულ ნიმუშებსაც მოგაწვდით გზადაგზა, ცალკეული თემების განხილვისას.

სასწავლო მასალისა და ინფორმაციის მიწოდებისას უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ბუნება, ასაკი და მათი განსხვავებული ცოდნის დონე.

ინფორმაცია აუცილებლად უნდა მივაწოდოთ სხვადასხვა არხით — ეს იქნება ვიზუალური, სამეტყველო თუ ჟესტიკულაციური.

მასწავლებელმა რაც შეიძლება აქტიურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი:

ვიზუალური (საგნობრივი თვალსაჩინოებები; თემატური პოსტერები, გრამატიკული ცხრილები თუ სქემები, დაფაზე ან “ფლირჩატებზე” გაკეთებული ჩანაწერები, კომპიუტერული მასალა და ა.შ.).

ენის ზოგიერთი ელემენტის სწავლება რთული არ არის, ვინაიდან ადვილია მათი დემონსტრირება რეალურ გარემოში მიმიკა-ჟესტიკულაციით, მითითებითა და ა.შ., მაგალითად:

- ✓ კუთვნილების აღმნიშვნელი სიტყვები და ფრაზები (ვისია ეს? ეს ჩემია / შენია / მისია)
- ✓ თანდებულები
- ✓ ზმნისწინები
- ✓ გრძნობა/აღქმის გამომხატველი ზმნები (მიყვარს / არ მიყვარს...)
- ✓ და ა.შ.

სმენითი (როგორც აუდიოჩანაწერების სახით, ისე მასწავლებლის მხრიდან მიღებული ინფორმაციები ქართულ ენაზე. თუმცა, არაქართულენოვანი მასწავლებლის შემთხვევაში ჩნდება საფრთხე — დამახინჯებული ფორმებითა და არასწორი ინტონაციით მეტყველება. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა აუდიოჩანაწერების დახმარებით წინმსწრებად იმუშაოს საკუთარ მეტყველებაზე).

კეთებით ანუ პრაქტიკით სწავლება.

კეთებით სწავლა ეხმარება მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს გულისხმობს როგორც როლურ და სიტუაციურ თამაშებს, ისე სხვადასხვა მინიპროექტების განხორციელებასაც; აგრეთვე სწავლებას ბარათებითა და ა.შ. კეთებით სწავლების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. პირველ რიგში, აქტივობის შესრულებამდე, მოსწავლეებს ზუსტად უნდა მიაწოდოს საჭირო ინსტრუქცია და დარწმუნდეს იმაში, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგეს შესასრულებელი ამოცანის პირობა;

2. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ როლურ თუ სიტუაციურ თამაშებს (მით უფრო, მინიპროექტების განხორციელებას) წინ უნდა უძღოდეს გავარჯიშების ფაზა. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მოსწავლეებს აქვთ სათანადო ენობრივი კომპეტენციები მათ შესასრულებლად.

3. როლური თამაშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

ენის შესასწავლად რეალური სიტუაციების გამოყენებისას მნიშვნელოვანია არსებითად გაიზარდოს კომუნიკაციური სიტუაციების რიცხვი, სადაც მოსწავლეს ჩართვის საშუალება მიეცემა, ეს კი თავისთავად იძლევა შესაძლებლობას, უფრო სწრაფად აითვისოს ენა.

რას იძლევა ასეთი სიტუაციები? - ბავშვი მოკლე საუბრების დროს აქტიურად იყენებს სოციალური და შემეცნებითი ხასიათის სტრატეგიებს — მოსწავლე კონკრეტულ კონტექსტთან მიმართებაში ირჩევს მზა ფრაზებს (კლიშეებს, ფორმულებს) და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის საკმარისად ფლობს ენას. ეს ზრდის მის მოტივაციასაც და უზრუნველყოფს შედეგსაც. ასეთი სიტუაციები იძლევა გამეორებული გამონათქვამების ხშირი გამეორების საშუალებასაც, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ.

მასწავლებელმა მუდმივად უნდა გამოიყენოს კონტექსტზე დაფუძნებული აქტივობები და სიტუაციური მიგნებები, რომლებიც დაეხმარება სწავლა/სწავლების პროცესს მაგ.:

- როცა ვთხოვთ მოსწავლეს, გამოვიდეს დაფასთან, ვაწვდით ცარცს. მიწოდებული ინსტრუმენტი ეხმარება მას იმის აღქმაში, თუ რა უნდა გააკეთოს. მრავალმხრივი გამეორება უზრუნ-

ველყოფს თუნდაც იმ ეტაპზე უცნობი ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმებისა თუ კონკრეტული ენობრივი კონსტრუქციების დალექვას და შემდგომ მის სწრაფად და მარტივად ათვისებას.

- საკუთარ ფოტოსურათებზე დაკვირვება (ასევე სხვა ფოტოებზეც) და მათზე საუბარი.
- საკლასო ოთახის კედლებზე ნახატების/ფოტოებისა და ა.შ. გამოფენა მუდმივი გამოყენების მიზნით.

თანამშრომლობითი სწავლება.

ამ მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავს მოსწავლეთა ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად. თანამშრომლობითი სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს როგორც წყვილური, ისე ჯგუფური მუშაობის ფორმები.

1. წყვილებში შეგვიძლია წარვმართოთ დიალოგები, მინიინტერვიუები; მოსწავლეები დავაწყვილოთ კონკრეტული საკითხავი, წერილობითი თუ ენობრივი ამოცანების გადასაჭრელად.

   რეკომენდაცია: სასურველია, მოსწავლეთა დაწყვილება შედარებით სუსტი მოსწავლის დახმარების მიზნითაც ხდებოდეს.

2. რაც შეეხება ჯგუფურ მუშაობას, მისი მიზანია, ჯგუფის ყველა წევრმა ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეფექტურობისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს ჯგუფის კომპოზიცია და ისე შეადგინოს დავალება, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს კონკრეტული ამოცანა ჰქონდეს შესასრულებელი.

   რეკომენდაცია:

   1. ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სწორი დაჯგუფება (არ უნდა მოხდეს ერთ ჯგუფში მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების გაერთიანება. ასეთ შემთხვევაში, სუსტი ძალების მქონე მოსწავლეები კარგავენ ჯგუფური მუშაობის აზრსა და ინტერესს და, შესაბამისად, სწავლის მოტივაციასაც).
   2. ფუნქციების გადანაწილებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა შესაძლებლობები.
   3. აუცილებელია, მასწავლებელმა მუდმივად აკონტროლოს ჯგუფის მუშაობა.

ინდივიდუალური მიდგომები

არის სიტუაციები, როდესაც მიზანშეწონილი არ არის ზოგიერთი მოსწავლის უშუალოდ ჩართვა ამა თუ იმ აქტივობაში, ან მათთვის შეკითხვების დასმა. ცოდნა იმისა, რა სიტუაციაში როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მასწავლებელმა, ეს თავად მან უნდა განსაზღვროს მოსწავლეთა დინამიკაში დაკვირვების საფუძველზე.

ასეთ შემთხვევაში უფრო გამართლებულია, რომ მასწავლებელმა სთხოვოს უფრო ძლიერ მოსწავლეს, გაუძღვეს კონკრეტულ აქტივობას და, შესაბამისად, სუსტს დააკისროს მეორეხარისხოვანი როლი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ამ უკანასკნელის უფრო უმტკივნეულო ჩართვას სამუშაო პროცესში.

როდესაც ბავშვი, ზოგადად, ზედმეტადაა დამოკიდებული სხვა ბავშვების ქცევაზე, მუდმივად არის იმის მოლოდინი, რომ ის საკუთარი ინიციატივით ვერ იმოქმედებს, ან სწორად ვერ უპასუხებს, ან ვერ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას და სხვა.

ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა, შესაძლოა, არასწორად შეაფასოს ბავშვის უნარი (*ერთ შემთხვევაში, მოსწავლის მოჩვენებითმა წარმატებამ შეიძლება გამოიწვიოს მასწავლებლის გადაჭარბებული შეფასება, რაც უბიძგებს მოსწავლეს, მუდმივად დარჩეს ვიღაცის ჩრდილქვეშ და, მეორე შემთხვევაში, მართლაც იყოს ეს მოსწავლის წარმატება, მაგრამ მასწავლებელმა ამ ბავშვის ბუნებიდან გამომდინარე, არ მიიღოს ის, როგორც წარმატება. ეს კი უთუოდ გამოიწვევს მოსწავლეში საკუთარი თავისადმი რწმენის უფრო დაკარგვას და შესაბამის პროტესტსაც*).

განსაკუთრებით ეს ჩნდება ჯგუფური მუშაობისას. მასწავლებელმა მუდმივად უნდა აკონტროლოს ამ ტიპის ბავშვების ჩართულობის ხარისხი და მისცეს მათ ისეთი დავალებები, რომლებიც არ (ან ნაკლებად) ითხოვს მათი მხრიდან გაუაზრებელ დამოკიდებულებას პარტნიორზე ან დამხმარეზე. როგორც წესი, ამ ტიპის ბავშვების პრობლემა არის ის, რომ მათ ან საერთოდ არ აქვთ, ან დაკარგული აქვთ საკუთარი თავისადმი რწმენა.

მოსწავლე მუდმივად უნდა ჩავაყენოთ აქტიურ მდგომარეობაში. ეს აძლევს მას აზროვნების, ნებისყოფისა და ყურადღების ერთგვარი კონცენტრაციის საშუალებას.

მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა:

- გამოიჩინოს ინტერესი მოსწავლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე;
- შეცდომისდა მიუხედავად, გაამხნევოს და შეაქოს მოსწავლე;
- არ დაატანოს ძალა მოსწავლეს, ილაპარაკოს ქართულად, ვიდრე ამას თვითონ მოსწავლე არ გააკეთებს;
- მთავარია, რომ დაინახოს მოსწავლის მცდელობა და მის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი.

მოსწავლის სწავლების ენის (თურქულის) ფაქტორი ენის სწავლების პროცესში

ქართული ენის სწავლებისას თურქული ენის ჩართვა სასწავლო პროცესში კატეგორიულად არ უნდა გამოვრიცხოთ. მართალია, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ მისი გამოყენება, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, პირიქით, აუცილებელიც არის თურქულ ენაზე წარმართოს მასწავლებელმა პროცესი.
გარდა იმ შემთხვევებისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, უნდა გვახსოვდეს, რომ თურქული ენის გამოყენება:

1. წაახალისებს მოსწავლეებს სწავლების პროცესში;
2. ზრდის მათ მოტივაციას;
3. საშუალებას იძლევა, მოსწავლემ შეადაროს ეს ორი ენა ერთმანეთს;
4. საშუალებას აძლევს, შექმნას გარკვეული ქვესისტემები;
5. ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციული მიგნებების ძიებაში განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორ ენაში არსებობს ერთი და იმავე ბგერებისაგან შემდგარი სიტყვები (საუბარია ისეთ ლექსიკაზე, როგორიცაა, მაგალითად, კომპიუტერი, ტელეფონი და ა.შ.),

ან კიდევ მაშინ, როდესაც ენებში გამოიყენება ერთმანეთისაგან ნასესხები სიტყვები;

6. თურქული ენის ჩართვა მოსწავლეს უადვილდებს ასევე იმ ზეწოლის დაძლევას, რომელიც განპირობებულია "ერთი კულტურიდან მეორე კულტურაში გადასვლით".

ბავშვებს სწავლების პროცესს უადვილებს ისეთი სიტუაციები, როდესაც მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, მიმართავს მოსწავლის სწავლების ენას (თურქულს), ან იყენებს შესაფერის ჟესტიკულაციას, რეალურ საგნებს, ან კარგად შერჩეულ სურათებს; მასალის ახსნისას მინიშნებას აკეთებს სხვა ბავშვების მოქმედებაზე.

საჭიროა მოსწავლის სტიმულირება იმისათვის, რომ მან დაიწყოს სხვადასხვა ენაზე სიტყვების ერთმანეთთან შედარება. სიტყვების შერჩევის პროცესი აძლევს მას საშუალებას, დაფიქრდეს და გააცნობიეროს, რომ სიტყვები დასახელებებია და, რომ ერთსა და იმავე საგანს, შესაძლოა, ჰქონდეს რამოდენიმე დასახელება.

თემატური ერთეულების მიზნებისა და შინაარსის რუკა

თემატური ერთეული	თემატური ცნობარი	ენობრივი ცნობარი	ძირითადი მიზნები
1. ერთი დღე	• დღე-ღამის მონაკვეთები. ყოველდღიური საქმიანობა • საჭმელი და სასმელი	• ~~ლექსიკა:~~ დილა, დღე, შუადღე, საღამო, ღამე, შუაღამე ყოველდღიურ აქტივობებთან დაკავშირებული ლექსიკა (ვიღვიძებ, ვიძინებ, ვსაუზმობ ვსადილობ ... ვიბან, ვუყურებ, ვთამაშობ...) საუზმე, სადილი, ვახშამი საჭმელი და სასმელი • ~~ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:~~ მისალმება; ზმნის ახლანდელი დრო; დროის როის ზმნიზედები (დილით, შუადღისას, საღამოს; ჯერ/წინ/შემდეგ, ორშაბათს...) მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა; დროში ორიენტაცია (**როდის** რას ვაკეთებ?)	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; • ინტერაქცია ყოველდღიური საქმიანობის შესახებ; • ყოველდღიური საქმიანობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემა; • უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა; • მარტივი ნაცნობი ტექსტების წაკითხვა და გაგება. • საკუთარი შეფასება -დამოკიდებულების გამოხატვა (მოსწონს/არ მოსწონს; უყვარს/არ უყვარს) • სურათების მიხედვით წერილობითი ტექსტის შედგენა; • მარტივი ტექსტის შედგენა.

2. წელიწადის დროები	• წელიწადი. სეზონები. თვეები • როდის რას ვაკეთებთ • ამინდი, ამინდის პროგნოზი. რიცხვები • ახალი წელი	• <u>ძირითადი ლექსიკა:</u> სეზონები, თვეები; შეგრძნებები (ცივა, ცხელა, თბილა, გრილა); ამინდი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა; სეზონურ აქტივობებთან დაკავშირებული ლექსიკა (ვგუნდაობ, ვციგაობ... ვბანაობ, ხილს ვკრეფ, ვსეირნობ და ა.შ.) რიცხვები: რთული რიცხვები ახალ წელთან დაკავშირებული ლექსიკა (ნაძვის ხე, თოვლის პაპა, საახალწლო კერძები...) • <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u> მოქმედების სიხშირე (ყოველთვის, ხშირად, იშვიათად, არასოდეს) ზმნის საწყისი და პირიანი ფორმები; ზმნის ახლანდელი დრო; ინსტრუმენტალისის გამოხატვა (რით?) სივრცეში ორიენტირება სიტყვათწარმოება (...-იანი: მზიანი, ქარიანი, ღრუბლიან...) მიზეზის გამოხატვა (რატომ? – იმიტომ, რომ)	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია წელიწადის დროების, თვეების, ამინდის შესახებ; ახალი წლის საოჯახო ტრადიციებზე; • წელიწადის დროების / თვეების აღწერა-დახასიათება; • ამინდის პროგნოზის მოსმენა და გაგება; • მოქმედებათა სიხშირის გამოხატვა; • მარტივი ინფორმაციული ტექსტების წაკითხვა და გაგება; • მოკლე ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით; • მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. • საინფორმაციო ტექსტეის შედგენა ახალი წლის საოჯახო ტრადიციებზე. • შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა.
3. დაბადების დღე	• როდის არის შენი დაბადების დღე? • რიცხვები • გილოცავ დაბადების დღეს	• <u>ძირითადი ლექსიკა:</u> დაბადების დღე (მისალოცი ბარათი, საჩუქარი) შესაბამისი აქტივობები (გართობა , მხიარულება, ჭამა, დროის გატარება, ცეკვა, სიმღერა და ა.შ.) • <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u> მილოცვა, დაპატიჟება; კუთვნილებითობის გამოხატვა (ვისი? – სამივე პირის ორივე რიცხვში); დროში ორიენტაცია (როდის? – დავიბადე ორ მაისს / მაისში ...) ზმნის ახლანდელი და მომავალი დრო	• ნაცნობი ტექსტების მოსმენა და გაგება; • ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; • დროის მონაკვეთის დაზუსტება; • ინტერაქცია საკუთარი ოჯახის წევრებსა და ახლო გარემოცვაზე (მეგობრები, ნათესავები); პირადი მონაცემების დაზუსტება (სად და როდის დაიბადნენ, სად ცხოვრობენ, სადაურები არიან...) • მისალოცი ბარათის შედგენა • მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება.

4. ჩემი სოფელი	• გარემო. შინაური ცხოველები და მათი ნაშიერი • რა ხდება ტყეში? • როგორ ვერთობით სოფელში?	• <u>ძირითადი ლექსიკა:</u> გარემო, ბუნება და მასთან დაკავშირებული ლექსიკა (მთა, მდინარე, ტყე, მინდორი...); შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველები და მათი ნაშიერი; სოფლის კარმიდამო (ბაღი, ბოსტანი, ბოსელი, საქათმე...) რიცხვები • <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u> სივრცეში ორიენტაცია (...-ის პირას / ძირში, -თან, ში...) სახელის მრავლობითობა; ზედსართავი სახელები და ხარისხის წარმოება; შედარების გამოხატვა: უფრო ... / ყველაზე ... ნათესაობითის ფუნქციები (კუთვნილებითობა და დანიშნულება); ზმნების წარმოება აწმყოსა და მომავალში; ზმნის საწყისი და პირიანი ფორმები.	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; ინტერაქცია საკუთარი (ან ნაცნობი) სოფლის გარშემო • ცხოველების/ფრინველების/ მწერების აღწერა/დახასიათება; • ადგილის/ გარემოს აღწერა; • მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. • მარტივი ტექსტებისა და დიალოგების მოსმენა და გაგება ნაცნობ თემებზე; • შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა; • მარტივი აღწერითი ტექსტების შექმნა.

5. შაბათ-კვირას	• რას აკეთებ შაბათობით? • ზოოპარკში. გარეული ცხოველები და მათი ნაშიერი • გასეირნება ბოსფორზე	• <u>ძირითადი ლექსიკა:</u> გარეული ცხოველები და მათი ნაშიერი (წყლის ცხოველები) ზოოპარკში. ზოოპარკის ბინადარნი; გართობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა (ბანაობა, ტევზაობა, სეირნობა, სტუმრად წასვლა...) • <u>ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები, საკითხები, ფორმულები:</u> სახელობითის, მიცემითისა ნათესაობითის კონკრეტული ფუნქციები; ნასწავლი ზმნების წარმოება აწმყოში (ახლანდელი დრო), წარსულსა (წყვეტილი) და მომავალში (მყოფადი); ჩვეული მოქმედების გამოხატვა (ყოველ შაბათს / შაბათობით...); მივდივარ / დავდივარ ზმნები; ზმნისწინის ფუნქცია (მიმართულების გამოხატვა – ადის, ცადის, მიდის, მოდის, შედის, გადის); დროში ორიენტაციაა (გასულ შაბათს, მომავალ შაბათს, ერთი საათის / კვირის/ თვის... წინ; ერთი საათის/კვირი/ თვის... შემდეგ); სივრცეში ორიენტაცია (საიდან? სად?).	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; • ცხოველის აღწერა/დახასიათება; • საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; • დროსა და სივრცეში ორიენტაცია (მიუთითებს, სად არის /იყო/იქნება და როდის.); • ინტერაქცია წარსულის ამბებისა და მომავალში დაგეგმილი აქტივობების შესახებ; • მოკლე აღწერითი ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით; • მცირე ზომის საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტების ტექსტების წაკითხვა-გაგება.

ცალკეული თემის ანალიზი

პირველი გაკვეთილი

პირველი გაკვეთილი მთლიანად უნდა დაეთმოს წინა წიგნში მოცემული მასალის გამეორებასა და მოსწავლეთა მომზადებას ახალი მასალის ასათვისებლად. მისალმებისა და წარდგენის შემდეგ, ერთმანეთის გაცნობის მიზნით, მასწავლებელი მათ სთავაზობს სქემას, რომელზე დაყრდნობითაც მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ საკუთარი და მათი ახლო გარემოცვის (ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, თანაკლასელები) შესახებ.

შესაძლებელია, ეს სქემა გამოიყენოს მასწავლებელმაც და ისე გააცნოს თავი მოსწავლეებს. სქემაზე უნდა იყოს თემატურად ყველა ის საკითხი (თავისი სავარაუდო შეკითხვებით), რომელთა შესახებაც უნდა ისაუბრონ მოსწავლეებმა.

მიზანი: ნასწავლი ცოდნის გახსენება/განმტკიცება!

ამგვარი აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ ნასწავლი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება. შესაბამისად, როგორც მათ, ისე მასწავლებელს საშუალება ეძლევათ, შეამოწმონ გავლილი ენობრივი საკითხების ცოდნის დონე და გამოკვეთონ ის ხარვეზები, რომლებიც აქვთ. ახალ მასალასთან ერთად, მასწავლებელმა გარკვეული დრო უნდა დაუთმოს მათ გავარჯიშებასა და განმტკიცებაზე მუშაობასაც. თუ საჭიროა, მასწავლებელი უნდა დაუბრუნდეს წინა დონის წიგნში მოცემულ შესაბამის სავარჯიშოებსაც, გააქტიუროს ის საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლეებს მოუწევთ შესაბამისი ლექსიკისა თუ ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება.

<u>რაც შეეხება სქემას</u>, მასწავლებელს ვთავაზობთ ნიმუშს, რომელიც შეუძლია, სურვილისამებრ, გამოიყენოს (მსგავსი შეკითხვები დაისმება ნათესავებთან და მეგობრებსა და კლასელებთან დაკავშირებითაც).



<u>დამატებითი სასაუბრო თემებისათვის:</u>







მოცემული სქემების გამოყენებით შესაძლებელია კლასში ინტერაქციის მოწყობაც.

◈ **სასურველია,** ყოველი ახალი აქტივობა ჯერ მასწავლებლის მონაწილეობით (ან თანამონაწილეობით) შესრულდეს და შემდეგ მიეცეთ მოსწავლეებს აქტივობაში ჩართვის საშუალება.

პირველი თემა – „ერთი დღე“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

ძირითადი მიზნები	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; • ინტერაქცია ყოველდღიური საქმიანობის შესახებ; • ყოველდღიური საქმიანობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემა; • უცნობი მარტივი წინადადებების თავისუფლად კითხვა; • მარტივი ნაცნობი ტექსტების წაკითხვა და გაგება. • საკუთარი შეფასება -დამოკიდებულების გამოხატვა (მოსწონს/არ მოსწონს; უყვარს/არ უყვარს) • სურათების მიხედვით წერილობითი ტექსტის შედგენა; • მარტივი ტექსტის შედგენა.
ძირითადი ლექსიკა	დილა, დღე, შუადღე, საღამო, ღამე, შუაღამე ყოველდღიურ აქტივობებთან დაკავშირებული ლექსიკა (ვიღვიძებ, ვიძინებ, ვსაუზმობ ვსადილობ ... ვიბან, ვუყურებ, ვთამაშობ...) საუზმე, სადილი, ვახშამი; საჭმელი და სასმელი
ძირითადი ენობრივი საკითხები	მისალმება; ზმნის ახლანდელი დრო; დროის როის ზმნიზედები (დილით, შუადღისას, საღამოს; ჯერ/წინ/შემდეგ, ორშაბათს...) მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობა; დროში ორიენტაცია (**როდის** რას ვაკეთებ?)

წამყვან გვერდზე მუშაობა: მასწავლებლის მითითებით:

1. მოსწავლეები აკვირდებიან წამყვანი გვერდის ილუსტრაციებს და აღწერენ მათ მასწავლებლის კითხვების დახმარებით: *რომელ სურათზე რა არის გამოსახული? რას აკეთებს პატარა ბავშვი? ვინ არიან თემური, ომარი მერაბი და ლალე ერთმანეთისთვის? რას აკეთებს თემური ცალკეულ სურათზე? დაასახელეთ, სად არის ომარი პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სურათებზე? რას აკეთებს ის?*
2. ასახელებენ ნაცნობ ნივთებს, აღწერენ ბავშვებს და ა.შ.
3. სწავლების ენაზე (თურქულად) გამოთქვამენ ვარაუდებს, რას შეისწავლიან ისინი ამ თემაში.
4. ამის შემდეგ აკავშირებენ სურათებს პირველი თემის სათაურთან.

◈ ნებისმიერი ვარაუდი, რომელიც სასურველია, რომ მოსწავლეებს ხშირად გამოვათქმევინოთ, მიმდინარეობს მათს სწავლების ენაზე (ანუ თურქულ ენაზე). ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასაც შესასწავლი საკითხისა თუ მასალისადმი.

დღე-ღამის მონაკვეთები. ყოველდღიური საქმიანობა

<u>დავალება №1</u> (წიგნი, გვ.9): სურათებზე დაკვირვებით გააცანით მოსწავლეებს დღე-ღამის მონაკვეთები. თვალსაჩინოებისათვის, დახაზეთ დაფაზე (ან დიდი ფორმატის ქაღალდზე) მარტივი სქემა. გთავაზობთ ნიმუშს:



შენიშვნა: დროის მოგების მიზნით, შესაძლებელია ამ სქემის წინასწარ გაკეთებაც.

1. დააკვირვეთ მოსწავლეები ფორმებზე: შუა-დღე / შუა-ღამე.
2. გაავლეთ პარალელები თურქულ ენასთან.
3. სქემის გაანალიზების შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს ფრონტალური კითხვები: დღის რომელი მონაკვეთია ახლა? დღის რომელ მონაკვეთში: იწყება სწავლა? მთავრდება სწავლა?

◈ სასურველია, რომ საგაკვეთილო პროცესი მასწავლებელმა მაქსიმალურად ქართულ ენაზე წარმართოს. ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავს გაკვეთილზე თურქული ენის გამოყენებასაც, თუმცა ამ შემთხვევაში თურქული ენის ჩართვა გარკვეული აუცილებლობით უნდა ხდებოდეს, კერძოდ:

1. როცა შეუძლებელი ხდება სხვა არხებით გაგებინება;
2. როცა გვსურს, პარალელი გავავლოთ თურქული ენის ლექსიკურ თუ გრამატიკულ მონაცემთან ან, ზოგადად, საკითხთან.
3. რა თქმა უნდა, ვარაუდებისა და საკუთარი პოზიციების გამოხატვისას და ა.შ.

ამის შემდეგ დაამუშავეთ მისალმება-დამშვიდობებისა და მოკითხვის ფორმულები:

1. პირველ რიგში, გაახსენეთ მოსწავლეებს ნასწავლი (გამარჯობა! დილა მშვიდობისა!)
2. წიგნის ილუსტრაციების გამოყენებით დააკვირვეთ მოსწავლეები ამ ფორმულებზე – როდის როგორ ვესალმებით (დილა მშვიდობისა! საღამო მშვიდობისა! ღამე მშვიდობისა!)
3. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები თურქულ ენაზე საუბრობენ ამ ფორმულების მსგავსება-განსხვავებებზე.
4. ბოლოს შესთავაზეთ მათ ერთიანი სქემა, რომელსაც წინასწარ გააკეთებთ და მოსწავლეებთან ერთად გააანალიზეთ. სასურველია, რომ მოსწავლეებმა ეს სქემა გადაიტანონ ცალკე რვეულში (ეს რვეული დაეთმობა მსგავს სქემებს!).

გთავაზობთ სქემას: <u>მისალმება-დამშვიდობება და მოკითხვა</u>



<u>**წიგნის მე-10 და მე-11 გვერდები:**</u>

პირველი დავალების შესრულებამდე ,მიშვნელოვანია **<u>ენობრივ საკითხზე დაკვირვება</u>** – სხვადასხვა ტიპის ზმნები (**ვ**ინიანი / **მ**ანიანი). გაახსენეთ (თუ საჭიროა, თავიდან აუხსენით) მოსწავლეებს მათი წარმოების წესი აწმყოში (ახლანდელ დროში), კერძოდ, დააკვირვეთ:

1. პირველი სუბიექტური პირის (მოქმედი პირის) ნიშანზე (**მე ვ**არ, **მე ვ**წერ // **მე მ**აქვს, **მე მ**იყვარს);

2. მესამე სუბიექტური პირის (მოქმედი პირის) ნაცვალსახელის ბრუნვაზე (**ის** არის, **ის** წერს // **მას** აქვს, **მას** უყვარს).

გამოიყენეთ შესაბამისი პოსტერი და ზმნური ლექსიკონი.

1. <u>ზმნების პოსტერები:</u>
   შესაძლებელია, ეს იყოს დიდი ფორმატის ქაღალდზეც, რომელიც დაიკიდება თვალსაჩინო ადგილას და პერიოდულად შეივსება ახალი მასალით.

   ცალ-ცალკე პოსტერზე განათავსეთ ერთი ტიპის ზმნების პირველი და მესამე პირის ფორმები. კარგი იქნება, თუკი პირველი სუბიექტური პირის (ანუ მოქმედი პირის) ნიშნებს სხვა ფერში ჩაწერთ (**ვ** / **მ**). ასევე გამოკვეთეთ მესამე პირის ნაცვალსახელებიც (**ის** / **მას**). შესაძლებელია, ეს მოხდეს მათი წრეში ჩასმითაც (როგორც ქვემოთ არის წარმოდგენილი) ან სხვა ფერით (მასწავლებელს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, რა იქნება მისთვის უმჯობესი. მთავარია, რომ ვიზუალურად ეს განსხვავება თვალში საცემი იყოს მოსწავლეებისათვის).

   ეს პოსტერები მუდმივად გამოიყენეთ სხვადასხვა საჭიროებისამებრ. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

ვინიანი

მე	**ის**
ვარ	არის
ვდგები	დგება
ვცხოვრობ	ცხოვრობს
ვსწავლობ	სწავლობს
...	...

მანიანი

მე	**მას**
მქვია	ჰქვია
მაქვს	აქვს
მყავს	ჰყავს
მიყვარს	უყვარს
მაინტერესებს	აინტერესებს
...	...

ამგვარი თვალსაჩინოება დაეხმარება მოსწავლეს ნასწავლი ზმნების სწორად გამოყენებაში და სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებაში.
ყოველი ახალი ზმნის შეტანის დროს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს, რომელ ფორმატზე შეიტანოს (ანუ, **ვ**ინიანია ის ზმნა თუ **მ**ანიანი).

> **შენიშვნა:** სწავლების პირველ და მეორე ეტაპებზე (ანუ, მეხუთე-მეექვსე კლასებში) შეგნებულად არ შევიტანეთ წიგნებში ეს ტერმინები – **ვ**ინიანი / **მ**ანიანი, თუმცა ზმნური ლექსიკონი სწორედ ამ პრინციპითაა დალაგებული (იხ. ზმნური ლექსიკონის დალაგების პრინციპი, გვ. 12). თუმცა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა ზმნების პოსტერებზე სწორედ ამ პრინციპის დაცვით გააგრძელოს ახალი ზმნების შეტანა.

მარკერებად შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველი სუბიექტური (ანუ მოქმედი) პირის ფორმებში არსებული პირის ნიშნები: **ვ** / **მ** (ვარ / მაქვს).

რაც შეეხება სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებას, ასეთ შემთხვევაში მარკერის როლს ასრულებს მესამე პირი:



ეს სქემა, სასურველია, მოსწავლეებთან ერთად გაკეთდეს და გარკვეული დროის განმავლობაში დაიკიდოს თვალსაჩინო ადგილას.

არასწორი კონსტრუქციების აგებისას (მაგ., *ბიჭი აქვს ბურთი / თემური უყვარს ქართული* და ა.შ.) მასწავლებელი უთითებს ზმნურ პოსტერზე და ახდენს მასზე დაკვირვებას: **ვინ** არის, ცხოვრობს, სწავლობს? – **ის** (ბიჭი, გოგო...), **ვის** აქვს, ჰყავს, უყვარს? – **მას** (ბიჭს, გოგოს...).

მთავარია, რომ ნებისმიერ **პოსტერზე მუშაობა** – ახალი მასალის შეტანა იქნება ეს თუ სხვა რამ, აუცილებლად მოსწავლეების თანამონაწილეობით უნდა მოხდეს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვქმნით საჭირო სასწავლო რესურსებს თვალსაჩინოების სახით, თავად ეს პროცესი ცალკე აღებული მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებას.

2. <u>ზმნურ ლექსიკონი:</u>
   იმის გამო, რომ მოსწავლეებს ზმნების წარმოება ჯერ მხოლოდ ახლანდელ დროში (აწმყოში) აქვთ ნასწავლი, ამიტომ ამ ეტაპზე გააცანით მხოლოდ ლექსიკონი,
   აჩვენეთ ზმნური ცხრილები, აუხსენით კონკრეტულ ცხრილში ზმნების დალაგების პრინციპი და ასწავლეთ მისი გამოყენება (ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 12 ; ახსნისა და დაკვირვების პროცესი წარმართეთ თურქულ ენაზე).

ამ ორი განსხვავებული ზმნური სინტასური კონსტრუქციის გახსენება-გამოყენებისათვის შესთავაზეთ მოსწავლეებს როგორც ენობრივი სავარჯიშოები, ისე სათანადო სიტუაციები, მაგალითად:

1. <u>ენობრივი სავარჯიშოების ნიმუშები.</u>

გადაახარისხეთ მოცემული ზმნები.

მყავს ვდგავარ ვიბან ვამზადებ ვხატავ მიყვარს მაინტერესებს ...

ვწერ (**ვ**ინიანი)	**მქვია** (**მ**ანიანი)

სახელის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი ნაცვალსახელი:

- ბიჭი წერს -------
- ბიჭს აქვს -------
- თემურს მოსწონს --------
- თემური თამაშობს --------

გადაიყვანეთ პირველი პირიდან მესამე პირში.

- მე ვკითხულობ - ------ კითხულობს
- მე მიყვარს - ------- უყვარს
- მე მქვია - -------- ჰქვია
- მე მივდივარ - ------- მიდის

დააკავშირეთ ერთმანეთთან ხაზებით.

	ხატავს
	მოსწონს
ის	მიდის
მას	თამაშობს
	აქვს
	აგვიანდება
	ეშინია. . .

ჩაწერეთ – ის თუ **მას?**

-------- აინტერესებს.
-------- კითხულობს.
-------- ხატავს.
-------- ჰყავს.

გადახაზეთ არასწორი ფორმა:

ქალი/ქალს მოსწონს.
გოგოს/გოგო ჰყავს ძაღლი.
მოსწავლეს/მოსწავლე კითხულობს.
ლალე/ლალეს თამაშობს.

აირჩიეთ საჭირო ფორმები და ჩაწერეთ.

ბიჭი / ბიჭს /
კითხულობს ----------
მოსწონს ----------

მოძებნეთ წინადადებაში შეცდომა და გაასწორეთ.

ა) ბიჭი აქვს ბურთი. ----------
ბ) ბიჭს წერს წერილს. ----------
გ) ლეილა ეშინია. ----------

1. <u>კომუნიკაციური სიტუაციები:</u>

გაათამაშებინეთ დიალოგები ნაცნობ თემებზე – მაგალითად, სკოლის გარშემო: რომელ საგნებს სწავლობს? რამდენი გაკვეთილი აქვს დღეში? რომელი საგანი უყვარს / აინტერესებს? რა ჰქვია ამა თუ იმ საგნის მასწავლებელს? რას აკეთებს მათემატიკის გაკვეთილზე? სპორტის გაკვეთილზე? როდის / რომელ საათზე აქვს ქართული, მათემატიკა? და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ მოდელირების სტრატეგია და ჯერ თქვენ გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან. მხოლოდ ამის შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად.

საათის დასახელება (გახსენება/გავარჯიშებისათვის):

1. იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეებს აღარ ახსოვთ საათის მითითება ქართულად, ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ კლასის კედლის საათი (ან სხვა ნებსიმიერი, თუნდაც თქვენი). დააყენეთ ის სხვადასხვა დროზე და ავარჯიშეთ.

2. გამოიყენეთ გაკვეთილების ცხრილი და ჰკითხეთ, რომელ საათზე იწყება / მთავრდება პირველი, მეორე, მესამე და ა. შ გაკვეთილები.

3. შეადგინეთ და დაწერეთ დაფაზე ერთი დღის სატელევიზიო პროგრამა და დაუსვით მის გარშემო შეკითხვები (რომელ საათზე იწყება ფილმი? რა იწყება ცხრას რომ აკლია 15 წუთი? და ა.შ.)

8.00 – მულტფილმები
8.45 – ცხოველთა სამყაროში
3.30 – ზოოპარკში
5.20 – სპორტი
6.00 – ფილმი და ა.შ.

ენობრივი დაკვირვება: დგას / დგება:

1. პირველ რიგში იმუშავეთ მათ შორის არსებულ სემანტიკურ განსხვავებაზე. გამოიყენეთ თვალსაჩინოების მეთოდი, შეასრულეთ ეს მოქმედებები, პარალელურად დასვით შეკითხვები და უპასუხეთ (რას ვაკეთებ? – ვდგავარ; ახლა რას ვაკეთებ? – ვდგები). აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ თურქული ენა.

2. თურქულ ენაზე განუმარტეთ, რა არის მოქმედების პროცესი (ვდგები) და რა – შედეგი (ვდგავარ).

3. გააკეთეთ სქემა:

უკვე **შედეგი** გვაქვს	ჯერ **პროცესია**
ვდგავარ ვზივარ ვწევარ	ვდგები ვჯდები ვწვები

4. დააკვირვეთ ამ ფორმებზე მოსწავლეები. დაწერეთ დაფაზე და შეადარეთ ისინი ერთმანეთს მოსწავლეებთან ერთად.

დგას	**დგება**
მე ვდგა**ვარ**	მე ვდგ**ები**
შენ დგა**ხარ**	შენ დგ**ები**
ის დგას	ის დგ**ება**

ამ ეტაპისთვის სხვა განსხკუთრებული მუშაობა საჭირო არ არის. მთავარია, მოსწავლეებმა დაინახონ ამ ზმნებ შორის შინაარსობრივი და ფორმობრივი განსხვავება.

ამის შემდეგ მუშავდება ზმნები – **გაღვიძება/დაძინება:**

1. წიგნში მოცემული ილუსტრაციების დახმარებით, ზუსტდება მათი მნიშვნელობები;
2. პირველი და მესამე პირის ფორმებზე დაკვირვებით, ზუსტდება როგორი ტიპის ზმნებია;
3. მოსწავლეებთან ერთად შეიტანეთ ისინი შესაბამის პოსტერზე.

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 10-11)
- რვეულში (გვ. 8- 12; 13,4)

<u>წიგნის მე-12 და მე-13 გვერდები:</u>

1. გაახსენეთ მოსწავლეებს **დგას/დგება** ზმნებს შორის არსებული განსხვავება და ისე შემოიტანეთ ახალი ზმნა – **სძინავს**.
2. დავალების სურათებზე დაკვირვებით შეასრულებინეთ მოსწავლეებს პირველი დავალება.
3. შეადარებინეთ ფორმები – *ის იძინებს / მას სძინავს; ის იღვიძებს / მას ღვიძავს*. ყურადღება გაამახვილეთ პირველი პირის ნიშნებზე (**ვ / მ**):

მე ახლა	**მე უკვე**
ვიძინებ	**მ**ძინავს
ვიღვიძებ	**მ**ღვიძავს

4. მოსწავლეებთან ერთად შეიტანეთ ეს ზმნები შესაბამის პოსტერებზე.
5. შეასრულებინეთ მეორე და მესამე დავალებები.

ვიდრე რვეულში მოცემულ სავარჯიშოებზე გადახვალთ, შესთავაზეთ მოსწავლეებს ასეთი აქტივობები:

1. თქვენ დაასახელეთ ფორმები, მოსწავლეებმა უნდა თქვან შესაბამისი პირი – **ის** თუ **მას**:

   ა. მძინავს --------, სძინავს --------

   ბ. ვიძინებ --------, იძინებს --------

   გ. სძინავთ --------, გვძინავს -------

   დ. იძინებენ ---------, ვიძინებთ -------

2. თქვენ ამბობთ ფორმას და უსვამთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვას. მათ უნდა დაასახელონ თავიანთი მეწყვილის სახელები სწორი ფორმით:

   ა. ***მას*** *სძინავს.* ***ვის*** *სძინავს? –* --------
   ბ. ***ის*** *იძინებს.* ***ვინ*** *იძინებს? –* --------
   გ. ***მათ*** *სძინავთ.* ***ვის*** *სძინავთ? –* -------
   დ. ***ისინი*** *იძინებენ.* ***ვინ*** *იძინებენ? –* -------

3. კვლავ ამბობთ ფორმას და ახლა მათ უნდა დასვან შესაბამისი შეკითხვები – ვინ? თუ ვის?

   მას სძინავს. ის იძინებს. მათ სძინავთ. ისინი იძინებენ.

4. გადააყვანინაეთ პირველი პირიდან მესამე პირში და პირიქით.

   მას სძინავს. მე -------;
   ის იძინებს. მე ------.
   მათ სძინავთ. ჩვენ ------.
   ისინი იძინებენ. ჩვენ -------.

შენიშვნა: ვინაიდან ეს აქტივობები ფორმების გაგება-გააზრებისთვის სრულდება, ამიტომ ყველა დავალება თქვენთან ერთად უნდა შეასრულონ მოსწავლეებმა – თქვენ იწყებთ, ისინი ასრულებენ.

<u>სრულდება წიგნის მესამე დავალება</u> (გვ. 6). დავალების შესრულების შემდეგ, გააკეთეთ დაფაზე სქემა და მოსწავლეთა თანამონაწილეობით, დიალოგში მოცემული ზმნები გაანაწილეთ სწორად:

უკვე **შედეგი** გვაქვს	ჯერ **პროცესია**

ამის შემდეგ სრულდება დავალებები სამუშაო რვეულში: გვ. 13 №5, 6; 14; 15 №4, 5, 6.

<u>**წიგნის მე-13 გვერდი:**</u>

ილუსტრაციებისა და სქემების გამოყენებით მუშავდება ახალი ზმნური და სახელური ლექსიკა.

მუშავდება <u>**წიგნის მე-14 და მე-15 გვერდები**</u> და შესაბამისი ენობრივი სავარჯიშოები რვეულში: გვ.15 №7; 16-17

შეცდომების მოძებნა, დასახელება და გასწორება ამ ტიპის აქტივობები ამოწმებს მოსწავლის ცოდნას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყურადღებით ადევნოს თვალი მოსწავლეთა მუშაობის პროცესს. ასეთი დავალებები ერთგვარ დიაგნოსტირების საშუალებასაც იძლევა – რამ შეიძლება განაპირობოს წარუმატებლობა. მოსწავლის მხრიდან არასწორი პასუხების მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი ხასიათის, კერძოდ: ყურადღების გაფანტულობა, გადაღლა, ცუდად ყოფნა, ხელის შეშლა და ა.შ.

სწორი დიაგნოსტირების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება, დაბალი ენობრივი კომპეტენციების შემთხვევაში კი გაზარდოს გავარჯიშების ფაზა, დაგეგმოს დამატებითი აქტივობები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

<u>წიგნის მე-16 გვერდი</u>: **ჯერ / შემდეგ**

პირველი დავალების შესრულებამდე, დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს კარგად ესმით **ჯერ/შემდეგ** სიტყვების მნიშვნელობა.

დავალება №2 (მოსმენა-გაგება):

1. დავალების შესრულებამდე, საჭიროა მოსწავლეთა გავარჯიშება. ამისათვის შეასრულებინეთ მათ ჯერ რვეულში მოცემული სავარჯიშოები: გვ. 18-19; გვ. 20, №1.
2. დიალოგების მოსმენამდე, ჯერ წააკითხეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული ნაკლული დიალოგები იმისათვის, რომ გაიაზრონ შინაარსი, დააზუსტონ მათთვის შესაძლო უცნობი სიტყვები.
3. ჰკითხეთ, თუ ხვდებიან კონტექსტის მიხედვით, რა უნდა ჩასვან გამოტოვებულ ადგილებში.
4. ამის შემდეგ მოასმენინეთ დიალოგები. ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად. საჭიროებისამებრ, მოასმენინეთ დიალოგები რამდენჯერმე.
5. დავალების შესრულების შემდეგ, წააკითხეთ დიალოგები ხმამაღლა და შეადარეთ ერთმანეთის ნამუშევრები.
6. მოასმენინენთ კიდევ ერთხელ და დააზუსტებინეთ შესრულებული დავალება.
7. ბოლოს, თავიდან ასმენინებთ დიალოგებს იმისათვის, რომ დააკვირდნენ გამოთქმას და ინტონაციას. ამის შემდეგ წააკითხეთ დიალოგები მეწყვილეებს სათანადო გამოთქმითა და ინტონაციით.

სრულდება ამ ქვეთემაში დარჩენილი დავალებები:

- წიგნში (გვ. 16, №3,4,5; გვ. 17, №6,7,8)
- რვეულში დარჩენილი სავარჯიშოები - 18 №2; 19-20

ილუსტრირებულ ტექსტებზე მუშაობა (წიგნი გვ.17 №6): ამგვარი ტექსტების წაკითხვამდე თუ მოსმენამდე, სასურველია, ვიმუშაოთ ჯერ ილუსტრაციაზე. ეს შეიძლება იყოს სურათის გარშემო კონკრეტული შეკითხვების დასმა, სურათის აღწერა და ა.შ.

<u>წერითი დავალება (რვეული გვ.20 №2) :</u> მოსწავლეებმა უნდა დაწერონ მათი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ.
ეს დავალება, შესაძლებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს შემაჯამებელი შეფასებისათვის. ასეთ შემთხვევაში, გააფრთხილეთ წინასწარ მოსწავლეები ამის შესახებ და გააცანით შეფასების კრიტერიუმებიც.

იგივე დავალება შეგიძლიათ გამოიყენოთ ზეპირმეტყველების უნარის შესამოწმებლადაც:

1. **მონოლოგური მეტყველებისათვის** განუსაზღვრეთ დრო, დაუკონკრეტეთ საკითხები, რომელთა შესახებაც უნდა ისაუბრონ. ასევე გააცანით შეფასების კრიტერიუმებიც.

2. დიალოგურ მეტყველებაზე დასაკვირვებლად გამოიყენეთ დაკვირვების ფურცლები. დაკვირვების ფურცლები შეგიძლიათ გამოიყენოთ მონოლოგური მეტყველების დროსაც. მთავარია, წინასწარ უნდა განსაზღვროთ, რა არის შეფასების მიზანი.

საჭმელი და სასმელი

ლექსიკის დამუშავებასთან დაკავშირებით იხილეთ მითითებები ზოგად რეკომენდაციებში.

სრულდება შესაბამისი დავალებები:
- წიგნში (გვ. 18-19)
- რვეულში (გვ. 21; 22 №1)

<u>წიგნის მე-20 და მე-21 გვერდები</u>:

პირველი დავალების ილუსტრაციის დამუშავების შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა მიირთმევენ ისინი და მათი ოჯახის წევრები აქედან. გაათამაშებინეთ დიალოგები წყვილებში.

ამის შემდეგ სრულდება შემდეგი დავალებები:
- წიგნში (№2)
- რვეულში (გვ. 22 , №2,3)

წიგნის მესამე დავალების შესრულებამდე, სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ სურათისა და ტექსტის გამოყენებით შეადარონ საუზმე თურქეთსა და საქართველოში და მეწყვილეებთან ერთად შეავსებინეთ ცხრილი (ცხრილები წინასწარ მოამზადეთ და დაურუგეთ):

	საჭმელი	**სასმელი**
თურქეთში		
საქართველოში		

ცხრილის შევსების შემდეგ, მოსწავლეებმა ამ ცხრილზე დაყრდნობით უნდა დაასახელონ მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

სრულდება წიგნის მე-4 და მე-5 დავალებები:

1. მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეები ირჩევენ სამ თანაკლასელს და ეკითხებიან, რომელი საჭმელი და სასმელი უყვართ / არ უყვართ. პასუხები შეაქვთ ცხრილში.

	სახელი	**სახელი**	**სახელი**
უყვართ			
არ უყვართ			

2. ცხრილზე დაყრდნობით, საუბრობენ – ვის რა უყვარს და რა – არა.
3. სრულდება დარჩენილი დავალებები რვეულში (გვ. 23 , №4,5,6)

<u>წიგნის მე-22 და მე-23 გვერდები</u>:

მოსწავლის ცოდნისა და უნარების შემოწმება: მოცემული აქტივობები აჯამებს თემის ძირითად პრიორიტეტებს და ამ კუთხით ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას. მოსწავლეთა შემოწმება თამაშის სახით ხდება.
ამისათვის:

- მასწავლებელი თითო ბარათზე თითო ციფრს წერს – სულ სამ ციფრს: 1, 2, 3, რათა მოსწავლემ ნელ-ნელა გაიაროს ეს უჯრები და მეტი დავალების შესრულების საშუალება მიეცეს. მასწავლებელი ამოატრიალებს ბარათებს მაგიდაზე.
- მოსწავლე დგება პირველ უჯრაზე და ასრულებს დავალებას. თუ ვერ შეძლო დავალების შესრულება, დროებით წყვეტს თამაშს და ელოდება თავის რიგს. ამასობაში მას შეუძლია, მოუსმინოს სხვებს და თავადაც მოემზადოს დავალების შესასრულებლად.
- პირველი დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ მოსწავლე იღებს ერთ ბარათს, ამბობს რა ციფრია, გადადის იმდენ უჯრაზე, რა ციფრიც წერია ბარათზე. ასრულებს იქ მოცემულ დავალებას და იღებს მორიგ ბარათს. ასე აგრძელებს თამაშს, ვიდრე არ გავა ბოლო უჯრამდე.
- თუ მოსწავლეს გაუჭირდება რომელიმე დავალების შესრულება, ის დროებით წყვეტს თამაშს და ელოდება თავის რიგს. მას ეძლევა უფლება, მოძებნოს წიგნში პასუხები, დახმარება სთხოვოს თანაკლასელს და ა.შ. თამაშს აგრძელებს იმ დავალებიდან, რომლის პასუხიც გაუჭირდა. ჯერ პირდაპირ შეასრულებს იმ დავალებას და შემდეგ აიღებს ბარათს.

ამის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან თემის ბოლოს მოცემულ ინფორმაციებს და აფასებენ საკუთარ ცოდნასა და უნარებს. ცხრილში მონიშნავენ იმ უჯრებს, რომლებიც, მათი აზრით, ხელს უშლის მათ წარმატების მიღწევაში.

მასწავლებელი და მოსწავლე ერთობლივად შეიმუშავებენ კონკრეტულ სტრატეგიებს შედეგების გასაუმჯობესებლად.

მეორე თემა – „წელიწადის დროები“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

ძირითადი მიზნები	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია წელიწადის დროების, თვეების, ამინდის შესახებ; ახალი წლის საოჯახო ტრადიციებზე; • წელიწადის დროების / თვეების აღწერა-დახასიათება; • ამინდის პროგნოზის მოსმენა და გაგება; • მოქმედებათა სიხშირის გამოხატვა; • მარტივი ინფორმაციული ტექსტების წაკითხვა და გაგება; • მოკლე ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით; • მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. • საინფორმაციო ტექსტეის შედგენა ახალი წლის საოჯახო ტრადიციებ-ზე. • შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა.
ძირითადი ლექსიკა	სეზონები, თვეები; შეგრძნებები (ცივა, ცხელა, თბილა, გრილა); ამინდი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა; სეზონურ აქტივობებთან დაკავშირებული ლექსიკა (ვგუნდაობ, ვციგაობ... ვბანაობ, ხილს ვკრეფ, ვსეირნობ და ა.შ.) რიცხვები: რთული რიცხვები ახალ წელთან დაკავშირებული ლექსიკა (ნაძვის ხე, თოვლის პაპა, საახალწლო კერძები...)
ძირითადი ენობრივი საკითხები **ფორმულები კონსტრუქციები**	მოქმედების სიხშირე (ყოველთვის, ხშირად, იშვიათად, არასოდეს) ზმნის საწყისი და პირიანი ფორმები; ზმნის ახლანდელი დრო; ინსტრუმენტალისის გამოხატვა (რით?) სივრცეში ორიენტირება სიტყვათწარმოება (...-იანი: მზიანი, ქარიანი, ღრუბლიან...) მიზეზის გამოხატვა (რატომ? – იმიტომ, რომ)

წამყვან გვერდზე მუშაობა მიმდინარეობს იმავე პრინციპით, რომელზედაც პირველ თემაში ვისაუბრეთ.

შენიშვნა: თემაში მოცემული ტექსტები, შესაძლოა, შედარებით რთული და ბევრი მოეჩვენოს მასწავლებელს, თუმცა, გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ გამოვდივართ ენობრივი და კომუნიკაციური მიზნებიდან. თემასთან დაკავშირებული ენობრივი მასალის (საუბარია, როგორც სახელურ და ზმნურ თემატურ ლექსიკაზე, ისე სხვადასხვა ტიპის ზმნების ახალ სინტაქსურ კონსტრუქციებსა და გრამატიკულ ფორმულებზე) ათვისება-განმტკიცებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სხვადასხვა კონტექსტში მისი ხშირი გამოყენება. შესაბამისად, უნდა მოხდეს არა ამ ტექსტების უბრალოდ წაკითხვა და დამახსოვრება, არამედ მათი მრავალმხრივი დამუშავებით საჭირო და აუცილებელი ლექსიკისა და ენობრივი ფორმულებისა და კონსტრუქციების დამახსოვრება.

გამომდინარე აქედან, ჩვენ დაწვრილებით წარმოვადგენთ ამა თუ იმ ტექსტისა თუ კონკრეტული დავალების ანალიზს. იქვე, მითითებებთან და რეკომენდაციებთან ერთად, მასწავლებლებს დავალების გასაიოლებლად ვთავაზობთ დამატებით სავარჯიშოებსაც.

წელიწადი. სეზონები. თვეები

<u>წიგნის მე-25 გვერდი</u>:

წამყვანი გვერდის დამუშავების შემდეგ:

1. მასწავლებელი დაკვირვებას ახდენს პირველი დავალების სურათებსა და სქემაზე. ამუშავებს შესაბამის ლექსიკას (*წელიწადი, წელიწადის დროები, თვეები*).
2. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები დროის შკალაზე ითვლიან უჯრებს და აკავშირებენ თვეების რაოდენობასთან (12 უჯრა – 12 თვე).
3. ამის შემდეგ პასუხობენ წიგნში მოცემულ შეკითხვებზე.
4. ასრულებენ შესაბამის დავალებებს რვეულში (გვ. 26, №1,2,3,4,5).
5. გავარჯიშების შემდეგ დააბრუნეთ მოსწავლეები წამყვან გვერდზე და იქ მოცემული ილუსტრაციები დააკავშირებინეთ შესაბამის სეზონებთან. უნდა დაასახელონ, რომელ სურათზე წელიწადის რომელი დროა გამოსახული.

სრულდება მეორე დავალება წიგნში (გვ. 25).

1. ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად. დავალების დასრულების შემდეგ წააკითხეთ ლექსი და შეადარებინეთ ერთმანეთის ვარიანტები.
2. ამის შემდეგ მოასმენინეთ ლექსი კიდევ ერთხელ და დააზუსტებინეთ დავალება.
3. მოსასმენი ამოცანის შესრულების შემდეგ დაუბრუნდით ლექსს, მოასმენინეთ მოსწავლეებს ხელახლა და სთხოვეთ, ყურადღება მიაქციონ გამოთქმასა და ინტონაციას.
4. ამის შემდეგ თავიდან წააკითხეთ მოსწავლეებს ლექსი სათანადო ინტონაციით.
5. ასწავლეთ ლექსი ზეპირად.

<u>წიგნის მე-26 გვერდი</u>:

პირველი დავალების შესრულებამდე ამუშავეთ მოსწავლეები სურათებზე. დაეხმარეთ შეკითხვებით და ისე ააღწერინეთ ისინი:

- *რომელ სურათზეა მზე, წვიმა და ცისარტყელა?*
- *წელიწადის რომელი დროა პირველ სურათზე?*
- *სთხოვეთ, მიუთითონ, რომელია წვიმა.*
- *რას აკეთებს მზე მეორე სურათზე? რაზე ზის? – სკამზე; რის ქვეშ ზის? – ქოლგის; რა უკეთია მზეს? – სათვალე; რა ფერის ღრუბლებია ცაზე?*
- *წელიწადის რომელი დროა მეორე სურათზე?*
- *რა ფერის ცაა მესამე სურათზე? რა ფერისაა ფოთლები?*
- *წელიწადის რომელი დროა მესამე სურათზე?*
- *შეადარებინეთ პირველი და მესამე სურათები ერთმანეთს – რა ფერისაა პირველ სურათზე ხეები? ბალახი? რა ფერისაა ისინი მესამე სურათზე? რა აქვს ხეებს მესამე სურათზე? და ა.შ.*
- *წელიწადის რომელი დროა მეოთხე სურათზე? რა ცვივა ციდან? ვინ არიან სურათზე? რა აცვიათ? რა ახურავთ? რა უკეთიათ?*
- *სთხოვეთ. მოძებნონ სურათზე თოვლის პაპა და მიუთითონ. აუხსენით, რომ პაპა და ბაბუა მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია.*

წინადადებების წაკითხვამდე იმუშავეთ გვერდის ბოლოს მოცემულ ბლოკზე: **თოვს** (*თოვლი მოდის*); წ**ვიმს** (*წვიმა მოდის*); **ქარია** (*ქარი ქრის*); **მზეა** (*მზე ანათებს*):

1. წააკითხეთ ისინი მოსწავლეებს და დააკავშირებინეთ სურათებთან. ჰკითხეთ, რას ნიშნავს, მათი აზრით, **თოვლი, წვიმა, ქარი.**
2. მოაძებნინეთ ეს სიტყვები წიგნის ბოლოს მოცემულ ლექსიკონში და შეამოწმებინეთ თავიანთი ვარაუდები. დაეხმარეთ მოსწავლეებს ლექსიკონში მუშაობისას.
3. დაწერეთ ეს წინადადებები დაფაზე და შეადარებინეთ ისინი მოსწავლეებს: *თოვლი მოდის. წვიმა მოდის. ქარი ქრის. მზე ანათებს.*
4. პარალელი გაავლეთ თურქულთან. ჰკითხეთ, როგორ გამოითქმის ისინი თურქულად – ორი სიტყვით თუ ერთი სიტყვით?
5. ჰკითხეთ წელიწადის რომელი დროა ახლა? რომელი თვეა? რა დღეა და რა რიცხვია?
6. ჰკითხეთ, როგორი ამინდია? – თოვს, წვიმს, ქარია, მზეა თუ ღრუბელია?

დაუბრუნდით პირველ დავალებას და შეასრულებინეთ.

შენიშვნა: ამ ეტაპისთვის სრულიად საკმარისია, რომ მხოლოდ დააკავშირებინოთ ეს წინადადებები შესაბამის სურათებთან. რაც შეეხება ცალკეულ წინადადებაში მოცემულ ინფორმაციას, ამას ცოტა მოგვიანებით დაუბრუნდით .

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 27 №2)
- რვეულში (გვ. 27; 28, №1,2)

<u>ენობრივი საკითხი</u> (მოქმედების ინტენსივობის გამოხატვა: **ყოველთვის, ხშირად, იშვიათად, არასოდეს**).

წიგნში მოცემული თვალსაჩინოება საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ, რას ნიშნავს: *ყოველთვის, ხშირად, იშვიათად* და *არასოდეს*.

მოცემული ლექსიკური ერთეულების განმტკიცება-დაუფლებისათვის ვარჯიშს ეთმობა მთელი რიგი სავარჯიშოები წიგნსა და რვეულში.

სრულდება დავალებები:

- წიგნში (გვ. 21, №3,4)
- რვეულში (გვ. 28-29, №3,4,5,6,7; გვ. 30; გვ. 31, №1,2,3,4,5)

მოცემული აქტივობები საშუალებას მოგცემთ, გაათამაშოთ დიალოგები წყვილებში.

<u>წიგნიდან, გვერდი 27, დავალება №5</u>: დროში ორიენტაცია (როდის? – გაზაფხულ**ზე**, შემოდგომა**ზე**, ზაფხულ**ში**, ზამთარ**ში**; იანვარ**ში**, აგვისტო**ში**... ღამ**ით**/დღ**ისით**)

1. კიდევ ერთხელ გაამახვილებინეთ ყურადღება მოცემულ ფორმებზე. მიზანი ამ ფორმების დამახსოვრება და მათი სწორი გამოყენებაა, რასაც უნდა მიაღწიოთ სათანადო კონტექსტებში მათი ინტენსიური გამოყენებით.
2. დაუბრუნდით წიგნის მე-20 გვერდზე მოცემულ პირველი დავალების ტექსტებს და იმუშავეთ მათი გაგება-გააზრებისათვის შემდეგი აქტივობებით:

   ა. დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს ტექსტების გარშემო და სთხოვეთ, ყურადღება მიაქციონ ფორმათა სიზუსტეს: *როდის ცივა? როდის თბილა? ...*

   ბ. დაუბრუნდით პირველ ტექსტს და მოცემული წინადადებები ქვეშმიწერით გადაწერეთ დაფაზე.

   გ. შენიშვნა: *სასურველია, რომ ეს წინადადებები წინასწარ გქონდეთ დიდ ფორმატზე დაწერილი, რათა გაკვეთილის მსვლელობისას ამაზე დრო არ დაკარგოთ.*

   დ. დაუსვით ცალკეულ წინადადებას შეკითხვები. მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ.

   ე. ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს კითხვითი წინადადებების სტრუქტურაზე:

   კითხვითი სიტყვა + ზმნა

1. ცივა. 2. თოვლი მოდის. 3. ციდან თეთრი ფიფქები ცვივა. 4. ყველაფერი თეთრია.	**როდის ცივა**? **როდის მოდის** თოვლი? **როდის ცვივა** ციდან თეთრი ფიფქები? **როდის არის** ყველაფერი თეთრი?

   ვ. მიეცით დავალება მოსწავლეებს, დაუსვან დანარჩენ წინადადებებსაც მსგავსი შეკითხვები. შესაძლებელია, რამდენიმე შეასრულებინოთ კლასში და დანარჩენი მისცეთ სახლში სამუშაოდ.

ბ) როდის თბილა? როდის წვიმს? როდის არის ცაზე ცისარტყელა? როდის იბანს მზე პირს?

გ) როდის გრილა? როდის ქრის ქარი? როდის სცვივა ხეებს ყვითელი ფოთლები? როდის წვიმს? როდის აღარ არის ცაზე ცისარტყელა?

დ) როდის ცხელა? როდის წვიმს იშვიათად? როდის არის ზღვა ძალიან თბილი? როდის მიდის ზღვაზე ყველა?

რეკომენდაცია: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მუდმივად იმუშაოს კითხვითი წინადადებების სწორ ფორმულირებებზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინტერაქცია ტანაბრად გულისხმობს გამართულ პასუხებთან ერთად გამართული შეკიტხვების დასმასაც.

<u>წიგნიდან, გვერდი 28, დავალება №1</u>:

დავალების შესრულებამდე, იმუშავეთ უცნობ ლექსიკაზე ზემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

1. მოსწავლეებთან ერთად დააჯგუფეთ მოცემული ლექსიკა გარკვეული კანონზომიერებით, მაგალითად,

თემატურად:

ა. <u>ყვავილი</u> (ყაყაჩო, ვარდი, იასამანი, ია, ენძელა)
ბ. <u>ხილი</u> (მარწყვი, ბალი, ალუჩა, საზამთრო, ყურძენი, ვაშლი, მსხალი)
გ. <u>ბუნების მოვლენები</u> (წვიმა, ქარი, თოვლი, მზე, ცისარტყელა)

ფერების მიხედვით:

ა. <u>რა არის წითელი?</u> (ყაყაჩო, ვარდი, მარწყვი, ბალი, ერთი სოკო, შემოდგომის ფოთოლი, თეონას კაბა, თოვლის პაპას კაშნე, ნაძვის ხის სათამაშო, ცისარტყელას ერთი ფერი)
ბ. <u>რა არის ყვითელი?</u> (ცისარტყელას ერთი ფერი, მზე, მსხალი, შემოდგომის ფოთოლი, ნაძვის ხის სათამაშო) და ა.შ.

შენიშვნა: *ფერების მიხედვით დაჯგუფება მეტ დაკვირვებას ითხოვს, შესაბამისად, შეგვიძლია ამ აქტივობას შეჯიბრების სახეც მივცეთ და წყვილებში შევასრულებინოთ.*

2. სრულდება პირველი დავალება.
3. დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს:

ა. რა არის მარტში? რა ხდება ივლისის თვეში? როგორია ამინდია...?
ბ. წელიწადის რომელ დროს მოდის თოვლი?
გ. როდის მოდის ახალი წელი?
დ. რომელ თვეში <u>მწიფდება</u> საზამთრო? მარწყვი? და ა.შ.
ე. როდის არის ცაზე ცისარტყელა?
ვ. როდის <u>სცვივა</u> ხეს ფოთლები?
ზ. როდის <u>ყვავის</u> ია?

მუშავდება ლექსიკა: *მწიფდება, სცვივა, ყვავის:*

დაწერეთ დაფაზე ეს ზმნები შესაბამისი კონტექსტით და სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ მათი მნიშვნელობები:

მწიფდება ხილი. →	----------
ხეს სცვივა ფოთოლი. →	----------
ყვავის ყვავილი. →	----------

მოსწავლეების ვარაუდები მიუწერეთ გვერდით. შემდეგ მოაძებნინენ ეს ზმნები ლექსიკონში და დააზუსტებინეთ მნიშვნელობები. აღნიშნეთ, ვისი ვარაუდი გამართლდა და ვისი – არა.

<u>წიგნიდან, გვერდი 29, დავალება №2</u>:

1. კითხულობენ წინადადებებს და აკავშირებენ შესაბამის თვესთან (ამისათვის აუცილებელი არ არის, რომ მოსწავლეს ყველა სიტყვის მნიშვნელობა ესმოდეს).
2. მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები უბრუნდებიან მოცემულ წინადადებებს და ამოწერენ მათთვის უცნობ სიტყვებს.
3. დაწერეთ ეს სიტყვები დაფაზე შესაბამისი კონტექსტით, მაგალითად: **ცვენას**: *ფოთლები ცვენას იწყებს.*
4. გაახსენეთ მოსწავლეებს ამ ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც დაეხმარება მათ მნიშვნელობის გარკვევაში (ცვივა).
5. დააკვირვეთ მოსწავლეები კონტექსტზე და გამოათქმევინეთ ვარაუდები.
6. ბოლოს დააზუსტეთ მათი მნიშვნელობები.

სრულდება სავარჯიშოები რვეულში (გვ. 31, №6,7,8)

<u>წიგნიდან, გვერდი 29, დავალება №3</u>:

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ მოცემული რეპლიკების ჯერ პირველი წინადადებები და დაასახელონ სეზონები.
2. შეჩერდით თეონას რეპლიკაზე. სავარაუდოდ, მოსწავლეებს გაუჭირდებათ შესაბამისი თვის დასახელება, ამიტომ თქვენ დაეხმარეთ. გაახსენეთ დღე-ღამის მონაკვეთები და ჰკითხეთ, *რით იწყება დღე? – დღე იწყება დილით. ჯერ არის დილა, შემდეგ მოდის შუადღე და შუადღის შემდეგ არის საღამო.* შემდეგ დასვით მორიგი შეკითხვა: *რომელი სეზონით იწყება წელიწადი? / რომელი სეზონია წლის დასაწყისი? – გაზაფხულით / გაზაფხული. რომელია გაზაფხულის პირველი თვე? / რომელი თვით იწყება გაზაფხული? – მარტი / მარტით. რომელი თვე გამოდის წლის დილა? – მარტი.*
3. წააკითხეთ რეპლიკები სრულად და დაასახელებინეთ შესაბამისი თვეები. დავალების გასაიოლებლად შესთავაზეთ წინა გვერდზე მოცემული ილუსტრაციების გამოყენებაც.

ენობრივ საკითხზე მუშაობა: *ცვივა / **ს**ცვივა; ცივა / **ს**ცივა...*

სასურველია, რომ რვეულში მოცემული სავარჯიშო (გვ. 32, №1) მოსწავლეებმა თქვენთან ერთად შეასრულონ.

1. დაშალეთ ცხრილი და ყველა წინადადებას ცალ-ცალკე დაუსვით შეკითხვები:

ციდან ფიფქები ცვივა.
- **რა** ცვივა? – ფიფქები
- **საიდან** ცვივა? – ხიდან

ხეს ფოთლები სცვივა.
- **რა** სცვივა? – ფოთლები
- **რას** სცვივა? – ხეს

ზამთარში ცივა.
- **როდის** ცივა? – ზამთარში

ფერიდეს სცივა.
- **ვის** სცივა? – ფერიდეს

შენიშვნა: *ნუ შეეცდებით ამ ფორმების მორფოლოგიურ დამუშავებას. საკმარისია ის, რომ მოსწავლეებმა დაინახონ მათ შორის განსხვავება. რაც შეეხემა მათ დამახსოვრებას, ეს თანდათან უნდა მოხდეს. ამისთვის კი საჭიროა კონტექსტში მათი ხშირი გამოყენება.*

2. ასწავლეთ მოსწავლეებს სახალისო ენისგასატეხი:

„ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! – აცემინებს
ციცქნა ცხვირი გაუცივდა“.

ცვარი = იგივეა, რაც წვეთი, წვეთები
ციდა ცინდალი = პატარა კნუტი

3. შეაჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ უფრო სწრაფად, სწორად და გარკვევით იტყვის ამ ენისგასატეხს.
4. ცალ-ცალკე ათქმევინეთ ეს წინადადებები: ა. *ციდან ცვივა ცვარი*; ბ. *ციდა ცინდალს სცივა.*
5. ყურადღება მიაქცევინეთ ფორმებს: ცვივა **ის** / **ს**ცივა **მას**
6. გაავლეთ პარალელები:
   ა. *ცვივა თოვლი / ცვივა ფიფქები / ცვივა ფოთლები...*
   ბ. *ცივა. სცივა პატარა კნუტს, სცივა პატარა ჩიტს. სცივა გოგონას. სცივა ფერიდეს.*
7. დააკავშირებინეთ მოსწავლეებს:

არეულად	
ცივა	ფოთლები
სცივა	ხეს ფოთლები
ცვივა	ზამთარში
სცვივა	ფერიდეს

სწორად	
ცივა	ზამთარში
სცივა	ფერიდეს
ცვივა	ფოთლები
სცვივა	ხეს ფოთლები

8. მიუბრუნდით რვეულში მოცემულ პირველ სავარჯიშოს (გვ. 32) და დაუსვით იქ მოცემული შეკითხვები მოსწავლეებს.
9. გააგრძელეთ მუშაობა რვეულში (გვ. 32, №2,3,4)

<u>წიგნიდან, გვერდი 29, დავალება №4</u>:

1. დავალების გასამარტივებლად დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს: *როგორი ამინდია? წელიწადის რომელი დროა? რა ნიშნები ახასიათებს?* და ა.შ.
2. ამ შეკითხვების გამოყენებით გააკეთეთ მარტივი სქემა და მოსწავლეებთან ერთად ჩაწერეთ პასუხებიც, მაგალითად:



3. გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია და ამ სქემის დახმარებით ჯერ თქვენ ისაუბრეთ იანვარზე: **„იანვარი ზამთრის პირველი თვეა. იანვარში ცივა. თოვლი მოდის. იანვარში დგამენ ნაძვის ხეს და ახალ წელს ზეიმობენ“**.
4. შემდეგ ამ სქემის გამოყენებით საუბრობენ მოსწავლეები.
5. ამის შემდეგ გააკეთეთ ახალი სქემა (ოღონდ მხოლოდ შეკითხვებით) და დაავალეთ მოსწავლეებს, მოძებნონ სათანადო პასუხები და უპასუხონ:



6. ამის შემდეგ მოსწავლეებს შეასრულებინეთ წიგნში მოცემული დავალება.

<u>წიგნიდან, გვერდები 30–31</u>:

ამ ქვეთემის ბოლო გვერდებზე მოცემული მასალა, ფაქტობრივად, აჯამებს ამ ქვეთემის ძირითად ენობრივ და კომუნიკაციურ მიზნებს. პირველი და მესამე დავალებების გამოყენებით, შეგიძლიათ, მოსწავლეებს ჩაუტაროთ შემაჯამებელი შეფასება ზეპირმეტყველებაში (შეამოწმოთ მათი როგორც მონოლოგური, ისე დიალოგური მეტყველება) – რამდენად შეუძლიათ მათ აღ-

ნიშნულ თემაზე / საკითხზე (წელიწადის დროებზე) გაბმულად საუბარი; სეზონებისა და თვეების აღწერა-დახასიათება; დროში ორიენტაცია და ინტენსივობის (სიხშირისა და ხანგრძლივობის) განსაზღვრა.

რაც შეეხება კონკრეტულ დავალებებზე მუშაობას. პირველი დავალების შესრულებამდე, ასწავლეთ მხარეები (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი):

1. წიგნში მოცემულ თვალსაჩინოებაზე დაკვირვების შემდეგ, იმუშავეთ კლასში – მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ, რომელია ჩრდილოეთი, რომელი – სამხრეთი, რომელი – დასავლეთი და რომელი – აღმოსავლეთი (შესაძლებელია კომპასის გამოყენებაც).
2. შეასრულეთ რვეულში მოცემული დავალებები (გვ. 33, №5,6,7,8)

მოცემულ ტექსტებზე იმუშავეთ სქემების გამოყენებით:

1. გააკეთეთ ეს სქემები და სთხოვეთ მოსწავლეებს, შეავსონ ისინი შესაბამისი ინფორმაციით:



2. დავალების შესრულების შემდეგ შეამოწმეთ და შეადარეთ ერთმანეთის ნამუშევრები. დააზუსტეთ, სწორად არის თუ არა ინფორმაციები მოძიებული.

3. დაუბრუნდით სქემებს და შეადარებინეთ ისინი ერთმანეთს. მოაძებნინეთ:
   ა. საერთო ინფორმაცია (ანუ, რის შესახებ არის ყველა ტექსტში საუბარი – *დღეები, ამინდი*);
   ბ. ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ მესამე და მეოთხე ტექსტებშია (შემოდგომასა და ზამთარში: *მზის მოძრაობა*);
   გ. ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ ტექსტშია მხოლოდ (პირველში, გაზაფხულზე: *სად როდის დგება*; მეოთხეში, ზამთარში: *სად როგორი იცის*).

4. ცალკე მოაძებნინეთ ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს მოქმედების ინტენსივობაზე:
   ა. გაზაფხულზე: *ხშირად იცვლება ამინდი. ხშირად წვიმს*;
   ბ. ზაფხულში: *იშვიათად წვიმს. ამინდიც იშვიათად იცვლება*;

გ. შემოდგომაზე: *ამინდი ხშირად იცვლება. ქარიც უფრო ხშირად ქრის.*

5. დაამუშავეთ ეს ინფორმაცია შეკითხვებით:

   ა. როდის (წელიწადის რომელ დროს) იცვლება ამინდი ხშირად? იშვიათად?
   ბ. რა ხდება ხშირად გაზაფხულზე? შემოდგომაზე?
   გ. რა სიხშირით წვიმს ზაფხულში?

6. გაათამაშებინეთ მოსწავლეებს დიალოგები. გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია და ჯერ თქვენ გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან:

   – როდის არის დღეები უფრო გრძელი და თბილი?
   – ---------
   – გაზაფხულის გარდა, კიდევ როდის იცვლება ამინდი ხშირად?
   – ---------
   – როგორი ღრუბლებია შემოდგომაზე?
   – --------
   – როდის ამოდის მზე შემოდგომით?
   – --------
   – როგორი ზამთარი იცის ჩრდილოეთით?
   – --------
   – სად დგება გაზაფხული ადრე?
   – --------
   – და ა.შ.

7. სახალისო თამაში – „**აბა, გამოიცანი**“: დაყავით მოსწავლეები 3-4 კაციან ჯგუფებად. ერთი ჯგუფი აღწერს სეზონს (ასახელებს სხვადასხვა ნიშანს – *როგორი ამინდია ამ დროს; რა არის ხშირად/იშვიათად; რა მწიფდება, რა ყვავის, რა ცვივა ციდან/ ხეებიდან; როგორი ფერებია* და ა.შ.), სხვები გამოიცნობენ, რა არის.

სრულდება მეორე დავალება წიგნში.

მესამე დავალების შესრულებამდე, აუხსენით მოსწავლეებს ახალი ენობრივი საკითხი.

ენობრივ საკითხზე დაკვირვება: დროის მითითება ახალი ენობრივი საშუალებებით – <u>*როდიდან? – ...-დან*</u>

1. გააცანით მოსწავლეებს დროში ორიენტირებისათვის საჭირო შეკითხვების სქემა შესაბამისი პასუხებით (**შენიშვნა:** სქემები გააკეთეთ წინასწარ იმისათვის, რომ მათზე არ დაიხარჯოს დამატებითი დრო გაკვეთილზე).

გთავაზობთ სქემებს:



რომელ ...? = აკონკრეტებს დროის მონაკვეთს.



როდიდან? = მიუთითებს მოქმედების დაწყების საწყის დროს.



გადააატანინეთ ეს სქემებიც მოსწავლეებს სპეციალურად სქემებისათვის განკუთვნილ რვეულში.

სრულდება დავალებები:
- რვეულში: გვ. 34-35; გვ. 30, №1

ამის შემდეგ სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 31, №3,4)
- რვეულში (გვ. 36, №2,3)

ბოლოს სრულდება დარჩენილი დავალებები წიგნიდან: გვ. 25, №5,6

როდის რას ვაკეთებთ?

ამ ქვეთავში მუშავდება:
- სეზონებთან დაკავშირებული აქტივობები;
- შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა სეზონებთან და თვეებთან დაკავშირებით (*ვის რომელი სეზონი, თვე უყვარს და რატომ?*)
- ენობრივი საკითხები (*შესაბამისი ზმნების წარმოება აწმყოში; ზმნასთან შეწყობილ პირთა რაოდენობა და მათი ბრუნვა; ინსტრუმენტალისის გამოხატვა – **რით** ვმოქმედებთ?*)

შეასრულებინეთ წიგნის დავალებები მოცემული თანმიმდევრობით. ამის შემდეგ მუშავდება შესაბამისი სავარჯიშოები რვეულში.

სრულდება სავარჯიშოები
- წიგნში (გვ. 32 33)
- რვეულში (გვ. 37, №1; გვ. 38, №2)

რაც შეეხება მოცემულ **ენობრივ საკითხებს.** <u>ზმნებზე მუშაობა</u>:

1. პირველ რიგში, დააზუსტებინეთ ზმნების ლექსიკური მნიშვნელობები წიგნის ილუსტრაციებზე დაკვირვებით.
2. შეასრულებინეთ წიგნსა და რვეულში მოცემული შესაბამისი დავალებები და სავარჯიშოები.
3. ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ, რომელი ტიპის ზმნებია (ამასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ) და შეავსეთ შესაბამისი ზმნური პოსტერი ამ ზმნებით.
4. მოცემული ზმნური ფორმების (პირი, რიცხვი) დასამუშავებლად სრულდება სავარჯიშოები
    - ჯერ წიგნში (გვ. 34, №1,2,3)
    - შემდეგ რვეულში (გვ. 38, №2,3,4,5; გვ. 39, №6)

    შენიშვნა: არ არის აუცილებელი, ამ ეტაპზე საკითხს უფრო დაწვრილებით შეეხოთ. საკმარისია წიგნის პირველ დავალებაში მოცემულ სქემებზე დაკვირვება.

5. დააკავშირებინეთ მოსწავლეებს ზმნის საწყისი ფორმა მის პირიან ფორმასთან (მაგ., გართობა – ვერთობი) და ავარჯიშეთ მოსწავლეები შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებში (**მიყვარს / მომწონს / მაქვს / მაინტერესებს + საწყისი**) საწყისის გამოყენებაზე (მაგ., მოყვარს გართობა, თამაში; მაინტერესებს ხატვა, მომწონს თხილამურებით სრიალი და ა.შ.)

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 34, №4)
- რვეულში (გვ. 39, №7,8; გვ. 40, №1)

<u>**წიგნიდან, გვერდი 35**</u>: ინტერაქცია წელიწადის დროებსა და თვეებზე.

<u>დიალოგის მოსმენამდე:</u>

1. დაამუშავებინეთ სავარჯიშოები რვეულში (გვ. 40-41)
2. გაახსენეთ (ან თუ საჭიროა, თავიდან დააკვირვეთ) მიზეზისა და შედეგის გამოხატვის ფორმულებზე:

რატომ? – მიზეზი

იმიტომ, რომ ... – შედეგი

დამატებითი გავარჯიშებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შეკითხვები სხვადასხვა მიმართულებით:

ა. <u>ამინდზე დაკვირვება:</u>
- რატომ ცხელა დღეს? – იმიტომ, რომ მზე ანათებს.
- რატომ ცივა? – იმირომ, რომ ზამთარია/ ცივი ქარი უბერავს...

ბ. <u>საკლასო აქტივობებისას და სხვა ნებისმიერი საჭიროებისას:</u>
- რატომ არ წერ, ფერიდე? – იმიტომ, რომ კალამი არ მაქვს
- რატომ გახურავს ქუდი, ომარ? – იმიტომ, რომ მცივა ...

3. ჯერ წააკითხეთ მოსწავლეებს ნაკლული დიალოგი. დარწმუნდით, რომ მათთვის ყველაფერი გასაგებია. მიეცით საშუალება, გაიაზრონ, რა ტიპის ინფორმაცია აქვთ ჩასასმელი. ამის შემდეგ მოასმენინეთ დიალოგი რამდენჯერმე.

დავალების დასრულების შემდეგ, ჯერ წააკითხეთ მოსწავლეებს შევსებული დიალოგები და შეადარებინეთ ერთმანეთის ვარიანტები, ამის შემდეგ მოასმენინეთ თავიდან და დააზუსტებინეთ.

ბოლოს კიდევ ერთხელ მოასმენინეთ დიალოგი და შემდეგ წააკითხეთ მეწყვილეებს სწორი გამოთქმითა და ინტონაციით.

სრულდება ამ ქვეთავში დარჩენილი წიგნის დავალებები.

ამინდი. ამინდის პროგნოზი. რიცხვები

ახალ ლექსიკაზე იმუშავეთ ზოგადი მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

◈ **რეკომენდაცია:** სალექსიკონო ერთეულებზე მუშაობისას, მიეცით საშუალება მოსწავლეებს, თავად შეასრულონ ლექსიკური დავალებები. თქვენ ჩაერთეთ შესრულებული დავალების დასაზუსტებლად და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.

◈ **ძალიან მნიშვნელოვანია,** რომ მასწავლებელმა მზამზარეულად არ უთარგნოს მოსწავლეებს მათთვის უცნობი სიტყვები. პირველ რიგში, უნდა ვაცადოთ, თავად ამოიცნონ ისინი კონტექსტის მიხედვით; შესაძლებელია, დავეხმაროთ მინიშნებებითაც. ვასწავლოთ, როგორ მოძებნონ ის სიტყვა ლექსიკონში.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 37, №1.2)
- რვეულში (გვ. 42-43; გვ. 34, №1)

მოსასმენი დავალება:

1. მოსმენამდე გაახსენეთ მოსწავლეებს „ყოფნა“ ზმნის წარმოება სამივე დროში (აწმყო – არის, წარსული – იყო, მომავალი – იქნება).
2. დაასახელებინეთ, რას აღნიშნავებ დავალებაში მოცემული სიმბოლოები.
3. მოასმენინეთ ტექსტი და შეასრულებინეთ წიგნში მოცემული მითითება.

ამინდის პროგნოზი: მიზანი – ინტერაქცია ამინდის შესახებ.
ენობრივი პრიორიტეტები –
1. ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ზმნების წარმოება წარსულსა და მომავალში (წვიმდა/იწვიმებს; თოვდა/ითოვებს; ქროდა/იქროლებს),
2. შესაბამისი ფორმულებისა და სათანადო ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება: მოსალოდნელია + რა // იქნება + რა.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 38)
- რვეულში (გვ. 44-46)

ამის შემდეგ სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 39)
- რვეულში (გვ. 46)

ქვეთემა მთავრდება რიცხვების დამუშავებით. ბუნებრივია, მოსწავლეებს ერთბაშად გაუჭირდებათ ამ რიცხვების დამახსოვრება და არც უნდა მოვთხოვოთ. სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სიტუაციები და ყოველ ჯერზე, როცა კი ამის საჭიროება იქნება, დასვას სათანადო შეკითხვები.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 40)
- რვეულში (გვ. 47)

ახალი წელი

კომუნიკაციური თვალსაზრისით, მოცემული ქვეთემის პრიორიტეტია ინტერაქცია ახალი წლის გარშემო.

<u>ზოგადად:</u>

ა. როგორ ხვდებიან ახალ წელს თურქეთსა და საქართველოში;
ბ. როგორ ემზადებიან ახალი წლისთვის;
გ. როგორია საახალწლო სუფრის ტრადიცია.

<u>კონკრეტულად:</u>

ა. სად და როგორ ხვდებიან თავად ისინი და მათი ოჯახის წევრები.
ბ. თავად როგორ ემზადებიან.
გ. ვინ რას აკეთებს ოჯახში.
დ. როგორია მათი საახალწლო სუფრა.

სრულდება სავარჯიშოები შემდეგი თანმიმდევრობით;

- ჯერ წიგნში (გვ. 42; 42, №1,2)
- შემდეგ რვეულში (გვ. 48-51); მოცემული სავარჯიშოები ემსახურება კონკრეტული ზმნების ათვისება-განმტკიცებასა და სათანადო კონტექსტებში მათ გამოყენებას

ამის შემდეგ სრულდება მესამე დავალება წიგნში (გვ. 42)

ტექსტის წაკითხვამდე იმუშავეთ ილუსტრაციებზე:

1. ჰკითხეთ, ვინ არის ეს გოგონა? რა ჰქვია? სადაურია და სად ცხოვრობს? (ფერიდე, სტამბოლელი); რომელი ქალაქია ფოტოზე? რა ხდება, რას ზეიმობენ?
2. გამოათქმევინეთ ვარაუდები, რის შესახებ იქნება ტექსტში საუბარი (ვარაუდების გამოთქმა, შესაძლებელია, ნაწილობრივ უკვე ქართულადაც წარიმართოს. ამიტომ სთხოვეთ, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენონ ქართული ენა).
3. სრულად წაიკითხეთ ტექსტი ნელა და გარკვევით და ნახეთ, გამართლდა თუ არა მოსწავლეთა ვარაუდები.

   შენიშვნა: *კითხვისას ნუ შეჩერდებით უცნობი სიტყვების დასაზუსტებლად. ტექსტის ზოგადი შინაარსი და ცალკეული კონტექსტები საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ ძირითადი შინაარსი და შეამოწმონ საკუთარი ვარაუდები.*

4. ამის შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს, თავად წაიკითხონ ტექსტი მეწყვილესთან ერთად და მონიშნონ მათთვის უცნობი ლექსიკა.
5. დაწერეთ დაფაზე უცნობი ლექსიკა სათანადო კონტექსტებით (მაგ., ***უშვებენ:*** *უშვებენ ფოიერვერკებს;* ***გაზავებულ:*** *წყალში გაზავებული წვენი...*) და კონტექსტებზე დაკვირვებით გამოათქმევინეთ ვარაუდები, რას შეიძლება ისინი ნიშნავდეს.
6. შეაჯერეთ ერთმანეთის ვარიანტები და ბოლოს დააზუსტეთ სწორი მნიშვნელობები.
7. ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად გაეცანით ტექსტის ბოლოს მოცემულ შეკითხვებს, დარწმუნდით, რომ ეს შეკითხვები გასაგებია მოსწავლეებისათვის (ან დააზუსტეთ ისინი) და შეასრულებინეთ მითითებული დავალება.

   შენიშვნა: *დამოუკიდებლად შეასრულებინეთ ეს დავალება მოსწავლეებს. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, დააწყვილეთ ისინი პრინციპით – სუსტი/ძლიერი.*

<u>სრულდება შემდეგი დავალება:</u> ნაკლული ტექსტის შევსება დიალოგზე დაყრდნობით.

1. მოსმენამდე წააკითხეთ ტექსტი, რათა გაიაზრონ, ერთ შემთხვევაში, რა აქვთ ჩასასმელი – სახელი, ზმნა, ფრაზა; მეორე მხრივ, სავარაუდოდ, გამოკვეთონ ჩასასმელი სიტყვები.
2. მოასმენინეთ დიალოგი ორჯერ.
3. შემდეგ წააკითხეთ ტექსტი და ნახეთ, ვინ როგორ გაართვა თავი ამ სამუშაოს.
4. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

   შენიშვნა: *შეცდომების შემთხვევაში, ნუ გაუსწორებთ პირდაპირ. მოასმენინეთ დიალოგი თავიდან და გადაამოწმებინეთ. თუ შეცდომა კვლავ დარჩება, მაშინ ჩაერიეთ.*

5. ბოლოს წაიკითხეთ შევსებული ტექსტი. მოსწავლეები ადარებენ და აზუსტებენ.

სრულდება სავარჯიშოები

- რვეულში (გვ. 52, №1,2,3,4)

რეკომენდაცია: *წერითი დავალება შეგიძლიათ გამოიყენოთ შემაჯამებელი შეფასებისათვის. წინასწარ აცნობეთ ამის შესახებ მოსწავლეებს და გააცანით შეფასების კრიტერიუმები.*

<u>საახალწლო ლექსი:</u>

1. ლექსის წაკითხვამდე, დააზუსტეთ უცნობი ლექსიკა: *ჩირი, ოქრო, დამიბერდით ტკბილად“.*
2. წაიკითხეთ ლექსი ხმამაღლა, გარკვევითა და სათანადო აქცენტების დასმით.
3. წააკითხეთ მოსწავლეებს ლექსი ხმამაღლა.
4. დააზეპირებინეთ ლექსი.

სრულდება წიგნის ბოლო დავალება (გვ. 43): ზეპირი ინტერაქცია ახალი წლის გარშემო.

რეკომენდაცია: ეს დავალებაც შეგიძლიათ გამოიყენოთ ზეპირმეტყველების უნარების შესამოწმებლად როგორც მონოლოგური, ისე დიალოგური მეტყველების შესამოწმებლად.

<u>წიგნიდან 44-45-ე გვერდები</u>:

მოსწავლის ცოდნისა და უნარების შემოწმება: სრულდება მითითებული წესისა და რეკომენდაციების დაცვით.

მესამე თემა – „დაბადების დღე“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

ძირითადი მიზნები	• ნაცნობი ტექსტების მოსმენა და გაგება; • ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; • დროის მონაკვეთის დაზუსტება; • ინტერაქცია საკუთარი ოჯახის წევრებსა და ახლო გარემოცვაზე (მეგობრები, ნათესავები); პირადი მონაცემების დაზუსტება (სად და როდის დაიბადნენ, სად ცხოვრობენ, სადაურები არიან...) • მისალოცი ბარათის შედგენა • მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება.
ძირითადი ლექსიკა	დაბადების დღე (მისალოცი ბარათი, საჩუქარი) შესაბამისი აქტივობები (გართობა , მხიარულება, ჭამა, დროის გატარება, ცეკვა, სიმღერა და ა.შ.)
ძირითადი ენობრივი საკითხები **ფორმულები** **კონსტრუქციები**	მილოცვა, დაპატიჟება; კუთვნილებითობის გამოხატვა (ვისი? – სამივე პირის ორივე რიცხვში); დროში ორიენტაცია (როდის? – დავიბადე ორ მაისს / მაისში ...) ზმნის ახლანდელი და მომავალი დრო

წამყვან გვერდზე მუშაობა მიმდინარეობს იმავე პრინციპით, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ. დააკვირვეთ მოსწავლეები ბოლო სურათზე – სად არიან და რას აკეთებენ ბავშვები? წაიკითხეთ დაფაზე დაწერილი ტექსტი და დააკავშირებინეთ თემის სათაურთან. ჰკითხეთ, ვის ულოცევენ ბავშვები დაბადების დღეს?

ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვის როდის აქვს დაბადების დღე:

ა. ვის აქვს დაბადების დღე გაზაფხულზე, ზაფხულში და ა.შ.
ბ. ვინ რომელ თვეში დაიბადა?
გ. ვის აქვს დაბადების დღე ამ თვეში (თან დაასახელეთ თვე)?
დ. ვის ჰქონდა წინა თვეში (თან დაასახელეთ თვე)?
ე. ვისი დაბადების დღე მოდის შემდეგ თვეში (თან დაასახელეთ თვე)?
ვ. ვის რომელ რიცხვში აქვს დაბადების დღე? და ა.შ.

როდის არის შენი დაბადების დღე?

შეასრულებინეთ მოსწავლეებს პირველი დავალება წიგნიდან (გვ. 47). ამის შემდეგ გადადით რვეულზე და შეასრულებინეთ შემდეგი სავარჯიშოები (გვ. 53, №1,2).

სრულდება მეორე დავალება წიგნში (გვ. 47) და შემდეგ რვეულში (გვ. 54, №1,2; გვ. 55, №3,4; გვ. 56, №1).

შენიშვნა: რვეულის მეორე დავალების შესრულებამდე:

1. ერთად წაიკითხეთ მოცემული წინადადებები.
2. გაახსენეთ მოსწავლეებს მოცემული ენობრივი კონსტრუქცია: *...-ის ზე დიდი/პატარა; ჩემზე/შენზე დიდი/პატარა.*
3. დააზუსტეთ მნიშვნელობები სიტყვებისა – უფროსი/უმცროსი.

<u>დამატებითი აქტივობები</u> მოცემული ენობრივი კონსტრუქციის გასააქტიურებლად:

1. მონიშნეთ კალენდარზე რამდენიმე მოსწავლის დაბადების დღე და ყველას დაუსვით შეკითხვები:
   - ვინ რამდენი დღით / კვირით / თვით უფროსი თუ უმცროსია (მაგ., *რამდენი დღით უფროსია ნარგიზი ლეილაზე? რამდენი კვირით უმცროსია არჩილი ერდალზე? ვინ არის 2 თვით უფროსი დილაზე? ვინ არის 1 კვირით უმცროსი მურადზე?* და ა.შ.)

   შენიშვნა: *მიუთითეთ მოსწავლეებს, რომ აუცილებელია სრული პასუხების გაცემა.*

2. დაავალეთ მეწყვილეებს, დაადგინონ რამდენი დღით, კვირით, თვით უფროსი თუ უმცროსია ერთი მეორეზე.
3. შესაძლებელია, კლასი დაოთ ჯგუფებად, რომლებსაც დაავალებთ ერთმანეთზე მსგავსი ინფორმაციის მომზადებასა და სხვებისთვის გაცნობას.
4. ჰკითხეთ ჯგუფებს: ჯგუფის წევრებიდან რომელი დაიბადა გაზაფხულზე, ზამთარში და ა.შ. ვინ არის იმ ჯგუფში ყველაზე უფროსი, უმცროსი...
5. დაასმევინეთ მსგავსი შეკითხვები სხვა ჯგუფების წევრებსაც.
6. გაათამაშებინეთ დიალოგები.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 48, №1,2,3; გვ. 49, №4,5,6,7)

შენიშვნა: *ტექსტის მოსმენამდე აუცილებლად წააკითხეთ ნაკლული დიალოგი კონტექსტების გასააზრებლად.*

სრულდება სავარჯიშოები

- რვეულში (გვ. 56, №2,3,4,5,6; გვ. 58, №1,2,3)

ენობრივ საკითხზე დაკვირვება: *ვხდები – გავხდი – გავხდები*

1. დაუზუსტეთ მოსწავლეებს ამ ზმნის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში. მაგალითისთვის მიმართეთ მარტივ ფრაზებს თქვენი და თქვენი მოსწავლეების მონაცემების გამოყენებით:

   ა. *ნარგიზი გუშინ გახდა 12 წლის. ლეილა ზაფხულში გახდება 12 წლის.*
   ბ. *მე ხვალ ვხდები 35 წლის. ჩემი ერთი ბიძაშვილი უკვე გახდა 35 წლის. ჩემი მეორე ბიძაშვილი კი მალე გახდება 35 წლის* და ა.შ.

2. შეასრულებინეთ სავარჯიშოები ჯერ რვეულში და შემდეგ გადადით წიგნზე:

   - რვეულში (გვ. 58, №4,5; გვ. 59, 60)
   - წიგნში (გვ. 50-52)

ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ როდის გახდა 11 წლის, ვინ როდის გახდება? დაუსვან მსგავსი შეკითხვები ერთმანეთს მოსწავლეებმაც.

მუშავდება **რიცხვები** წიგნსა და რვეულში (რიცხვების ათვისებასთან დაკავშირებით, გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული შენიშვნა).

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში (გვ. 53, №1; გვ. 54, №1)
- რვეულში (გვ. 61)

ამის შემდეგ სრულდება დავალებები

- წიგნში (გვ. 54-55)
- რვეულში (გვ.62-63)

<u>დამატებითი ვარჯიშისათვის:</u>

1. დაავალეთ მოსწავლეებს, შეავსონ მსგავსი ანკეტები საკუთარი და მეწყვილის ნათესავებზე (*აუცილებელია, ანკეტები შეივსოს უფროსი ადამიანების მონაცემებით*) და წარადგინონ ინფორმაცია მათ შესახებ: *ვინ როდის დაიბადა (სეზონი, თვე, რიცხვი), სად დაიბადა, სად ცხოვრობს, ვისთან ერთად, რამდენი წლისაა... ვინ ვისზე უფროსია / უმცროსია და რამდენი წლით/თვით.*

2. შემდეგ უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს და პასუხობენ:
   ა. *სად და როდის დაიბადა შენი ...*
   ბ. *წელიწადის რომელ დროს დაიბადა ფერიდეს ბიძა?*
   გ. *რამდენი წლით, თვით... უფროსია ფერიდეს მამიდა ფერიდეს დეიდაზე?*
   დ. *რამდენი წლით, თვით ... უმცროსია ბებიაშენი ბაბუაშენზე?* და ა.შ.

მოდელირებისათვის ჯერ თქვენ დასვით ეს შეკითხვები და შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს მსგავსი შეკითხვების დასმა.

გილოცავთ დაბადების დღეს!

მუშავდება წიგნში მოცემული დავალებები (გვ. 56; 57, №2,3).

<u>დაამუშევეთ სურათი:</u>

1. წააკითხეთ იქ მოცემული რეპლიკები მოსწავლეებს.
2. დააზუსტეთ მათთან ერთად, რას ნიშნავს ზმნა – „**გეპატიჟებით**“. გამოათქმევინეთ ვარაუდები და შემდეგ გადაამოწმებინეთ ლექსიკონში.
3. დაუსვით შეკითხვები სურათის გარშემო: *უხარიათ თუ არა ბავშვებს? საიდან ჩანს? რა უხარიათ? რატომ უხარიათ?*
4. წააკითხეთ ბავშვების რეპლიკა – რას ამბობენ ისინი და სთხოვეთ ამ რეპლიკის მნიშვნელობის დაზუსტებაც. რას ნიშნავს: *„კარგად გავერთობით, ბევრს ვიმხიარულებთ!“*
5. დააკონკრეტებინეთ მოქმედების დრო – *როდის? გუშინ, დღეს თუ ხვალ?*
6. შეჯამებისათვის, ბოლოს მიუთითეთ, რომ ეს ფორმები მიუთითებს მომავალ დროზე.

ენობრივ საკითხზე მუშაობა. ზმნის მომავალი დრო

ჯერ შეასრულებინეთ წიგნში მოცემული დავალებები და შემდეგ – რვეულში.

- წიგნში (გვ. 57, №4,5,6)
- რვეულში (გვ. 64-70)

შენიშვნები:

1. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ და გადაამოწმეთ, რამდენად სწორად ასრულებენ მოსწავლეები სავარჯიშოებს.
2. პერიოდულად მიუბრუნდით მოსწავლეებს და სავარჯიშოებში მოცემული მასალა გადაიტანეთ მათ პირად გამოცდილებაზე. დაუსვით შეკითხვები და მოსთხოვეთ, გიპასუხონ სრულად, მაგალითად:

   ა. <u>რვეულის მე-66 გვერდზე მოცემული მე-2 დავალების</u> შესრულების შემდეგ მიუბრუნდით მოსწავლეებს შეკითხვებით: *არჩილ, შენ ითამაშებ ხვალ ფეხბურთს? ვისთან ერთად ითამაშებ? სად ითამაშებ? რომელ საათზე? კიდევ ვინ ითამაშებს ხვალ ფეხბურთს? შენ რას გააკეთებ ხვალ? როდის იმეცადინებ გაკვეთილებს?* და ა.შ.

   ბ. <u>რვეულის 68-ე გვერდზე მოცემული 1-ლი და მე-2 დავალებების</u> შესრულების შემდეგ დაუსვით მსგავსი შეკითხვები მოსწავლეებს: *ვინ ადგება ხვალ დილით ადრე? ვინ დაწვება ადრე/გვიან? რომელ საათზე ადგები/დაწვები... შენ რომელ საათზე დაიძინებ?* და ა.შ.

3. გააააქტიურეთ მომავალი დრო მითითებებისას ან სასწავლო პროცესის წარმართვისას: *ახლა ლეილა წაიკითხავს. ვინ წაიკითხავს ლეილას შემდეგ? ახლა დავწერთ... ვინ დაწერს...? ვინ ადგება და უპასუხებს? ვინ დაჯდება ...-ის გვერდით? ვინ იმუშავებს ...-თან ერთად?* და ა.შ.
4. დაუბრუნდით მოცემულ ზმნებს და მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ, რომელი ტიპის ზმნებია.
5. შეიტანეთ ახალი ზმნები შესაბამის პოსტერებზე მოსწავლეებთან ერთად.

◈ ზოგადად, უნდა მოვერიდოთ გრამატიკული საკითხების კონტექსიდან მოწყვეტით მხოლოდ თეორიულ სწავლებას.

პირველ რიგში, თვალსაჩინოებების გამოყენებითა და კონკრეტული მაგალითებით გავაგებინოთ, მივახვედროთ, დავაკვირვოთ ამა თუ იმ საკითხზე, პრობლემაზე.
წესების ნაცვლად გამოვიყენოთ მყარი ენობრივი ფორმულები.

მათ გასააქტიურებლად, კონკრეტულ ენობრივ სავარჯიშოებთან ერთად, მივმართოთ ყოფით სიტუაციებსა და საინტერესო კონტექსტებს.

<u>წიგნიდან გვერდები 58-59</u>: მუშავდება **„წასვლა“** ზმნა.

1. ცალკე დრო დაუთმეთ ამ ზმნის გააზრება-დაუფლება-განმტკიცებაზე მუშაობას.
2. ფორმაზე დაკვირვების გზით (თვალსაჩინოებების გამოყენებითა და არა – თეორიული ახსნით) აჩვენეთ განსხვავება მის ახლანდელი და მომავალი დროის ფორმებს შორის (წიგნი, გვ. 59, ცხრილი)
3. შეასრულებინეთ შესაბამისი დავალებები რვეულში (გვ. 71-72)

<u>წიგნიდან გვერდები 60-61</u>: მუშავდება მომავალი დროის ფორმათა წარმოება.

1. სრულდება პირველი და მეორე დავალებები.
2. მესამე დავალებაშიც დაკვირვების გზით გაამახვილებინეთ ყურადღება წარმოების წესზე (დავალება №3).
3. განუმარტეთ თურქულად მარტივად ზმნისწინის რაობის შესახებ და მისი ფუნქციების შესახებ:
   ა. **მი**დის – **მო**დის (ცვლის მიმართულებას)
   ბ. ხატავს – **და**ხატავს (გამოხატავს მომავალ დროს)
4. მოცემული ცხრილის გამოყენებით აუხსენით თურქული ენაზე, რომ ყველა ზმნა მომავალ დროს ერთნაირად არ აწარმოებს (აჩვენეთ შესაბამისი ნიმუშები ცხრილში).
5. თავიდან მიაქცევინეთ მოსწავლეებს ყურადღება ზმნის საწყის ფორმებზე და აჩვენეთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი დამახსოვრება ამ კონკრეტული საკითხის გათვალისწინებით. დაწერეთ <u>ფორმულა</u> დაფაზე (**ზმნისწინი + ახლანდელი = მომავალს: და + წერს = დაწერს**) და მისი გამოყენებით ავარჯიშეთ მოსწავლეები ზმნურ ლექსიკონზე.

<u>წიგნიდან გვერდები 62-63</u>:

მოცემული განშლის ძირითადი მიზანია, ვასწავლოთ მოსწავლეებს მისალოცი ბარათის შედგენა. 56-ე გვერდის დამუშავების შემდეგ:

1. გააცანით მოსწავლეებს მისალოცი ბარათის სტრუქტურა და შესაბამისი შესაბამისი ფორმეულები,
2. წააკითხეთ ბარათები და შეასრულებინეთ მე-5 და მე-6 დავალებები.
3. ამის შემდეგ სრულდება სავარჯიშოები რვეულში (გვ. 73-74).
4. შეადგენინეთ მისალოცი ბარათები წიგნში მოცემული მითითებების გათვალისწინებით (გვ. 63, №7).
5. მისალოცი ბარათის შედგენა შეგიძლიათ, გამოიყენოთ შეფასებისთვისაც

<u>თემის ბოლო განშლის დამუშავებამდე</u>, გადადით სამუშაო რვეულზე და შეასრულეთ იქ მოცემული ენობრივი სავარჯიშოები (გვ. 75-79), რომლებიც ეხება ნასწავლი და ათვისებული ზმნების გამოყენებით წარსული დროის ფორმათა წარმოების წესზე მხოლოდ დაკვირვებასა და ვარჯიშს (ამ ეტაპზე საუბარი არ არის მის დაუფლება-გამოყენებაზე).

შენიშვნა: ჩვენი მიზანია, ნაცნობი ლექსიკითა და ასევე ნაცნობი საკომუნიკაციო სიტუაციების გამოყენებით, მოვამზადოთ მოსწავლეები ახალი ენობრივი საკითხის ასათვისებლად!

ამდენად, წარსული დროის შესახებ დამატებით რეკომენდაციებს მოგაწვდით ქვემოთ, სადაც ეს საკითხი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ენობრივ მიზანს წარმოადგენს.
ამ ეტაპისთვის საკმარისია ის სავარჯიშოები, რომლებიც მოცემულია სამუშაო რვეულში, მთავარია, რომ მასწავლებელმა უზრუნველყოს მათი შესრულება.

მოცემული თანმიმდევრობის დაცვით, შეასრულებინეთ **თემის ბოლო განშლაში** მოცემული დავალებები.

ცოდნისა და უნარების შემოწმება. სრულდება აღწერილი წესისა და მითითებების გათვალისწინებით.

მეოთხე თემა – „ჩემი სოფელი“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

ძირითადი მიზნები	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; ინტერაქცია საკუთარი (ან ნაცნობი) სოფლის გარშემო • ცხოველების/ფრინველების/ მწერების აღწერა/დახასიათება; • ადგილის/ გარემოს აღწერა; • მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა-გაგება. • მარტივი ტექსტებისა და დიალოგების მოსმენა და გაგება ნაცნობ თემებზე; • შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა; • მარტივი აღწერითი ტექსტების შექმნა.
ძირითადი ლექსიკა	გარემო, ბუნება და მასთან დაკავშირებული ლექსიკა (მთა, მდინარე, ტყე, მინდორი...); შინაური და გარეული ცხოველები და ფრინველები და მათი ნაშიერი; სოფლის კარმიდამო (ბაღი, ბოსტანი, ბოსელი, საქათმე...) რიცხვები
ძირითადი ენობრივი საკითხები **ფორმულები** **კონსტრუქციები**	სივრცეში ორიენტაცია (...-ის პირას / ძირში, -თან, ში...) სახელის მრავლობითობა; ზედსართავი სახელები და ხარისხის წარმოება; შედარების გამოხატვა: უფრო ... / ყველაზე ... ნათესაობითის ფუნქციები (კუთვნილებითობა და დანიშნულება); ზმნების წარმოება აწმყოსა და მომავალში; ზმნის საწყისი და პირიანი ფორმები.

მუშავდება **წამყვანი გვერდის** ილუსტრაციები:

1. მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით ასახელებენ ნაცნობ პერსონაჟებს, აღწერენ – როგორები არიან, რა აცვიათ და რა ფერის; მიუთითებენ, სად არიან და რას აკეთებენ.
2. აღწერენ სოფლის სახლს – რამდენსართულიანია, რა აქვს; რა არის სახლის წინ/უკან და ა.შ.
3. კითხულობენ რეპლიკებს და აკავშირებენ შესაბამის სურათებთან.
4. ეცნობიან თემის სათაურს და ილუსტრაციებზე დაყრდნობით საუბრობენ, რის შესახებ იქნება თემაში საუბარი.

გარემო. შინაური ცხოველები და მათი ნაშიერი

<u>წიგნიდან გვერდი 69</u>:

პირველი დავალების შესრულებამდე:

1. წააკითხეთ ქვეთემის სათაური. მოცემული ილუსტრაციის დახმარებით, აუხსენით, რას ნიშნავს „გარემო“ – (=არემარე, მიდამო, იქაურობა).
2. სთხოვეთ, აღწერონ სურათზე გამოსახული გარემო ახალი ლექსიკის გამოყენებით. დაეხმარეთ შეკითხვებით. გააააქტიურეთ შეკითხვებში **წინ/უკან/გვერდით** ადგილის ზმნიზედები:
   - ა. რა არის სოფლის უკან? მთის წინ? ტყის წინ? მინდვრის უკან?
   - ბ. რა ფერის სახურავებიანი სახლებია სოფელში?
   - გ. წელიწადის რა დროა? საიდან ჩანს?
   - დ. რა არის მინდორში?
   - ე. როგორია მდინარე? და ა.შ.
3. დაუბრუნეთ ქვეთემის სათაურთან და დაასახელებინეთ, რომელი შინაური ცხოველები ისწავლეს უკვე (კატა, ძაღლი, ძროხა).
4. ჰკითხეთ, რას ნიშნავს ნაშიერი (ყურადღება მიაქცევინეთ კონსტრუქციაზე: ცხოველები და მათი ნაშიერი). რა შეიძლება იყოს „ნაშიერი“?

ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად დაამუშავეთ წიგნში მოცემული სქემა (სად? – მდინარის პირას, მდინარესთან, მინდორში, მთის ძირში...)

ილუსტრაციის გამოყენებით დააზუსტეთ მათი მნიშვნელობები (მიუთითეთ სურათზე ზუსტი მდებარეობა: ტყის **პირას**, მთის **ძირში**, მდინარეს**თან**...)

შეასრულეთ პირველი დავალება.

1. დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს, რომლებიც მოცემული სქემის გამოყენებით უნდა უპასუხონ.
2. დაუბრუნდით წამყვან გვერდზე მოცემულ ფოტოს და გააააქტიურეთ ახალი ენობრივი საკითხი (...-ის პირას, ძირში, ...-თან).
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, თავიდან აღწერონ ფოტოზე გამოსახული გარემო (სად დგას სახლი? რის პირას?... შეუბრუნეთ შეკითხვები: რა არის მდინარის / ტყის პირას? მდინარესთან?

მეორე დავალების შესრულებამდე, გაავარჯიშეთ მოსწავლეები ახალი ლექსიკის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გამოყენებაზე: დაწერეთ დაფაზე:

ტყე	→	ტყის (პირას)
მთა	→	მთის (ძირში)
მდენარე	→	მდინარის (პირას)
მინდორი	→	მინდვრის

შეასრულებინეთ რამდენიმე სავარჯიშო. გთავაზობთ ნიმუშებს (წინასწარ მოამზადეთ ისინი ფურცლებზე და დაურიგეთ):

1. **დაასრულეთ სიტყვები.**
   ა. მთ--- ძირში ჩემი სოფელია.
   ბ. ტყ--- პირას ლამაზი მინდორია.
   გ. მინდორ---- ლამაზი ყვავილებია.
   დ. ყაყაჩო მინდ----- ყვავილია.
   ე. ბავშვები მდინარ----- პირას თამაშობენ.

2. **აირჩიეთ და ჩაწერეთ.**
   ა. ამ --------- (*მთა / მთას / მთის*) იალბუზი ჰქვია.
   ბ. ეს --------- (*მთა / მთას / მთის*) ჩემს სოფელში ყველაზე მაღალია.
   გ. ამ --------- (*მთა / მთას / მთის*) ძირში ჩემი სოფელია.
   დ. ჩემს სოფელს გარშემო დიდი -------- (*ტყე / ტყეში / ტყის*) აკრავს.
   ე. ამ ---------- (*ტყე / ტყეში / ტყის*) ბევრი ცხოველია.
   ვ. ---------- (*ტყე / ტყეში / ტყის*) პირას პატარა მდინარე ჩამოედინება.

სრულდება სავარჯიშოები
- ჯერ რვეულში, გვ. 80-81
- შემდეგ წიგნში, გვ. 69, №2

<u>წიგნიდან გვერდები 70-71</u>:

პირველი დავალება.
1. დააზუსტეთ პერსონაჟები: ვინ არიან, რა ჰქვიათ? (საჭიროებისამებრ, თქვენ გაახსენეთ სახელები: მერაბი და ერდალი). ვინ ცხოვრობს საქართველოში? – მერაბი; ვინ ცხოვრობს თურქეთში? – ერდალი; ვისი ტყუპისცალია ერდალი? – ორჰანის; როგორები არიან ისინი გარეგნულას? რა აცვიათ და რა ფერის? და ა.შ.
2. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ მოცემული ტექსტები და დააკავშირონ პერსონაჟებთან. ვინ რის შესახებ საუბრობს.
3. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები ტექსტების გარშემო:
   ა. ვისი სოფელია ჩხუტუნეთი? სად მდებარეობს ის? როგორი ზამთარი და ზაფხული იცის ჩხუტუნეთში?
   ბ. ვისი სოფელია ჯამილი? მაჰმუდიე? სად მდებარეობს ჯამილი? მაჰმუდიე?
   გ. რა საერთო აქვს ჩხუტუნეთსა და ჯამილს? – ორივე მაჭახლის ხეობაში მდებარეობს.
4. ლექსიკონის დახმარებით დააზუსტებინეთ უცხო სიტყვების მნიშვნელობები (ხეობა, ჩანჩქერი, მთის კალთა)
5. ამის შემდეგ შეასრულებინეთ პირველი დავალება. მოსწავლეები ამუშავეთ დამოუკიდებლად (შედარებით სუსტი მოსწავლეები დააწყვილეთ ძლიერებთან).
6. დავალების დასრულების შემდეგ წაიკითხეთ ცხრილში მოცემული შეკითხვები და მოისმინეთ მოსწავლეთა პასუხები. არასწორი პასუხების შემთხვევაში, მოძებნეთ შესაბამისი ადგილი ტექსტში და წააკითხეთ. გაასწორებინეთ შეცდომა.

სრულდება სავარჯიშოები

- წიგნში, გვ. 71, №2,3,4
- რვეულში, გვ. 82-83; 84-85; 86; 87, №2

დაუბრუნდით წიგნს და შეასრულებინეთ მოსწავლეებს 71-ე გვერდზე მოცემული მე-5 და მე-6 დავალებები. ამის შემდეგ სრულდება სავარჯიშოები

- რვეულში, გვ. 87, №3; 88, №1.2.3

შენიშვნები:

1. 87-ე გვერდზე მოცემულ დავალებასთან დაკავშირებით (მოსწავლეებმა მოცემული მასალის გამოყენებით უნდა შეადგინონ წინადადებები):
   ა. მუშაობის დაწყებამდე, წააკითხეთ გამოსაყენებელი მასალა. კიდევ ერთხელ დარწმუნდით, ხომ არ არის რომელიმე მოსწავლისათვის იქ რაიმე გაუგებარი.
   ბ. ამის შემდეგ ნიმუშის სახით ჯერ თქვენ შეადგინეთ მოსწავლეებთან ერთად ერთი წინადადება და დაწერეთ დაფაზე (მაგ., *ჩემი მეგობრის პატარა სოფელი ხეობაში მდებარეობს*).
   გ. ამის შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად.
2. რვეულის 88-ე გვერდზე მოცემული წერითი დავალება (№2) შეგიძლიათ გამოიყენოთ შემაჯამებელი შეფასებისათვის წერთმეტყველებაში. წინასწარ გააფრთხილეთ მოსწავლეები ამის შესახებ და გააცანით შეფასების კრიტერიუმები.

<u>წიგნიდან გვერდები 72–73</u>: შინაური ცხოველები. ფრინველები. მწერები.

ეს განშლა მთლიანად ეთმობა ახალი ლექსიკის ათვისებას. პირველი დავალების შესრულებისას გაითვალისწინეთ ლექსიკის სწავლებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები და ისე დაამუშავეთ მასალა.

სრულდება დავალებები

- წიგნში, გვ. 72-73
- რვეულში, გვ. 89-97; 98, №1

<u>წიგნიდან გვერდები 74–75</u>:

<u>პირველი დავალების შესრულებისას</u>, დაეხმარეთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვებით:

ა. წელიწადის რომელი დროა? საიდან ჩანს? (ყვავილები, პეპლები, ბიჭის სამოსი – მოკლე შარვალი და მაისური)
ბ. როგორი ამინდია? რა ფერის ღრუბლებია ცაზე?
გ. რომელი მწერები ჩანს სურათზე?
დ. რა ფერია მდინარე? ტყე? მინდორი? და ა.შ.
ე. რა არის მდინარის პირას? ტყესთან? და ა.შ.

<u>სრულდება მეორე დავალება</u>.

შენიშვნა: მის შესასრულებლად აუცილებელი არ არის, ყველაფერი (დეტალურად) ესმოდეს მოსწავლეს ტექსტში. ნუ მოსთხოვთ მათ ყველა სიტყვის გაგებას.

1. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მთავარია, გაიგონ ტექსტის ზოგადი შინაარსი და დააკავშირონ ის სურათთან.
2. დაკავშირებისას დაეხმარეთ მოსწავლეებს.



3. სრულდება მესამე დავალება (**სურათზე არ ჩანს:** მთა და მთაზე ცხვარ-ძროხა; სოფელი და სოფლის გარემო)
4. ტექსტის დამუშავებამდე, შეასრულებინეთ წიგნში მოცემული დავალებები, რომლებიც დაეხმარებათ მოსწავლეებს უცნობი ლექსიკის გაგება-გააზრებაში: გვ. 74, №4; გვ. 75, №5,6,7,8,9
5. დაბრუნდით ტექსტთან და სქემების გამოყენებით დაამუშავებინეთ მასში მოცემული ინ-ფორმაცია. გთავაზობთ ნიმუშს:



სრულდება დავალებები

- რვეულში, გვ. 98, №2
- წიგნში, გვ. 76-77

<u>წიგნიდან გვერდი 78</u>:

გვერდის <u>ენობრივი მიზანია</u> ნათესაობითი ბრუნვის გაგება-გააზრება კონკრეტული ფუნქციებით, კერძოდ:

ა. კუთვნილებითობის გამოხატვა (ვისი? / რისი?)
ბ. მასალაზე მითითება (რისია? / რა მასალისაგანაა?)
გ. დანიშნულების ჩვენება (რისთვისაა?)

<u>კომუნიკაციური მიზანი:</u> მოსწავლემ უნდა შეძლოს ნათესაობით ბრუნვაში (...-ის: სკოლი, ხის, ჩანთის...) მდგარი სახელის სხვადასხვა ფუნქციით გამოყენება.

დამატებითი ვარჯიშისათვის გამოიყენეთ საკლასო სიტუაციები:

მიუთითეთ კონკრეტულ მათთვის ნაცნობ ნივთებზე და ჰკითხეთ მოსწავლეებს: ვისი? რისი? რისთვისაა? მაგალითად:

ა. ეს ვისი ჩანთაა? – ჩემი, ლეილასი, ომარის...
ბ. რისი წიგნია? – ქართულის, მათემატიკის...
გ. ვისი სათვალე დევს აქ?
დ. რისი სათვალეა? – მზის
ე. რისი კარადაა? – წიგნების, საკლასო ნივთების...

მსგავსი შეკითხვები დაასმევინეთ მოსწავლეებსაც. მთავარია, მოსწავლემ სწორად დასვას შეკითხვა (ვისია? რისია? რისთვისაა?) და სწორადვე უპასუხოს.

<u>წიგნიდან გვერდი 79</u>: სოფლის კარმიდამო.

1. სრულდება დავალება №4. ლექსიკის დასამუშავებლად გამოიყენეთ ზოგადი რეკომენდაციები.
2. დაუბრუნდით თემის წამყვან გვერდზე მოცემულ ფოტოს და სთხოვეთ მოსწავლეებს, აღწერონ მოცემული კარმიდამო. დაეხმარეთ შეკითხვებით: *რომელია ნალია? ნალიის გარდა, კიდევ რა არის ეზოში? როგორ ფიქრობთ, საქათმეა თუ ბოსელი?*
3. ამის შემდეგ შეასრულებინეთ მოსწავლეებს სავარჯიშოები რვეულში: გვ. 99-101; 102, №1,2
4. სრულდება მე-5 და მე-6 დავალებები წიგნში (გვ. 79)
5. ბოლოს დააწერინეთ საკუთარი ან მათი ნაცნობი სოფლის (ნათესავის, მეგობრის) კარმიდამოს შესახებ (რვეული, გვ. 102, №3)

რა ხდება ტყეში?

სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ.80-81; გვ. 82, №1
- რვეულში, გვ. 103-108

<u>წიგნიდან გვერდები 83-84</u>:

ენობრივ საკითხზე დაკვირვება: ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმების წარმოება (შავი – მოშავო – უშავესი).

წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებები საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ და გაიაზრონ მათ შორის არსებული განსხვავება როგორც შინაარსის, ისე წარმოების თვალსაზრისით.

შენიშვნა: ამ ეტაპზე ნუ მოსთხოვთ მოსწავლეებს ამ ფორმათა ერთბაშად, მყისიერ დაზეპირებასა და მათ აქტიურ გამოყენებას. მათი დაუფლებისათვის აუცილებელია სათანადო საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნა, რომლებშიც მოსწავლეებს ბუნებრივად მოუწევთ მათი გამოყენება, მით უფრო, რომ მოცემული ლექსიკა საკმაოდ აქტიური ხმარებისაა და თითქმის ყოველდღიურად გამოიყენება ნებისმიერი რამის აღწერა-დახასიათებისათვის (მაგ., მოწითალო ფერის კაბა, ჩანთა, ქუდი ... უკეთესი / უარესი...)
ამ საკითხებს ეხება სავარჯიშოები რვეულში: გვ. 109-110

როგორ ვერთობით სოფელში?

შენიშვნა:
1. ამ ქვეთემაში ახალი მხოლოდ ორი ზმნა შემოდის (**სიარული** და **სირბილი**). დანარჩენი მათ უკვე ნასწავლი აქვთ. აქ ხდემა მათი განმტკიცება და ახალ სამეტყველო სიტუაციში გამოყენება.
2. ერთადერთი ენობრივი სიახლე, რაც ამ ქვეთემაში მუშავდება, არის *მივდივარ (წასვლა)* და *დავდივარ (სიარული)* ზმნებს შორის შინაარსობრივი და ფორმობლივი სხვაობის ჩვენება.

რაც შეეხება დანარჩენ ენობრივ საკითხებს, **აქტიურდება:**
ა. უკვე ნასწავლი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით სახელის გამოყენება ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციით (კერძოდ, <u>ინსტრუმენტალისის გამოხატვა</u>: **რით**?);
ბ. საწყისების ფუნქციური გამოყენება ახალ სიტუაციებში;
გ. ნასწავლი ზმნების გამოყენება მომავალში.
დ. ინტენსივობის გამომხატველი სიტყვები (იშვიათად, ხშირად...)

რაც შეეხება წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების შესრულების თანმიმდევრულობას:

სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ. 86, №1,2; გვ. 87, №3,4
- რვეულში, გვ. 111-114

ამის შემდეგ დაუბრუნდით წიგნს და იმუშავეთ **დავდივარ** ზმნის გააზრებაზე.
სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ. 87, №5,6

შინაარსობრივი განსხვავებების გაგების შემდეგ დააკვირვეთ მოსწავლეები წიგნში მოცემულ ცხრილზე და აჩვენეთ **მივდივარ/დავდივარ** ზმნებს შორის არსებული ფორმობლივი განსხვავება (**მი/და**).

სრულდება დავალებები
- რვეულში, გვ. 115-117; გვ. 118, №1
- წიგნში, გვ. 88

ამის შემდეგ იწყება მომავალი დროის ფორმათა გააქტიურება.
1. დავალებების შესრულებამდე, გაახსენეთ მოსწავლეებს მომავალი დროის ფორმათა წარმოების ზოგადი ფორმულა:

   ზმნისწინი + ახლანდელი დრო = მომავალს (*და + ვხატავ = დავხატავ*)

2. წინასწარ მოამზადეთ ცხრილი და კიდევ ერთხელ მიაქცევინეთ ყურადღება მოსწავლეებს მომავალი დროის წარმოების განსხვავებულ მოდელებზე.

ზმნისწინი + აწმყო	**ი ---------- ებ**
დაკრეფა: ვკრეფ ––––– **და**ვკრეფ	თამაში: ვთამაშ**ობ** –––– ვ**ი**თამაშ**ებ**
დაწერა: ვწერ –––– **და**ვწერ	ბანაობა: ვბანა**ობ** –––– ვ**ი**ბანავ**ებ**
დახატვა: ვხატავ –––– **და**ვხატავ	სეირნობა: ვსეირნ**ობ** ––––– ვ**ი**სეირნ**ებ**
გაკეთება: ვაკეთებ –––– **გა**ვაკეთებ	თევზაობა: ვთევზა**ობ** ––––– ვ**ი**თევზავ**ებ**
მომზადება: ვამზადებ ––– **მო**ვამზადებ	ციგაობა: ვციგა**ობ** ––––– ვ**ი**ციგავ**ებ**
დაჯდომა: ვჯდები –––– **და**ვჯდები	გუნდაობა: ვგუნდა**ობ** ––––– ვ**ი**გუნდავ**ებ**
ადგომა: ვდგები –––– **ა**ვდგები	სრიალი: ვსრიალ**ებ** ––––– ვ**ი**სრიალ**ებ**

3. ავარჯიშეთ მოსწავლეები ცხრილის გამოყენებით:
   ა. ჯერ პირველი სვეტიდან: ასახელებთ ერთ ფორმას თქვენ და მოსწავლეები ამბობენ მეორეს, მაგალითად: *მე ხვალ დავწერ. დღეს? -----; მე დღეს ვამზადებ. ხვალ? --------*
   ბ. შემდეგ გადადით მეორე სვეტზე და მსგავსად დაამუშავეთ.
   გ. ამის შემდეგ მონაცვლეობით (ხან ერთი სვეტიდან და ხან – მეორედან) დაასახელეთ ზმნები იმავე პრინციპით.
4. ცალკე გაამახვილეთ ყურადღება თავისებურ ზმნებზე (**სიარული –** *დავდივარ/ვივლი*, **სირბილი –** *დავრბივარ/ვირბენ*, **წასვლა –** *მივდივარ/წავალ*)

სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ. 89-90; გვ. 91, №4
- რვეულში, გვ. 118, №2; გვ. 119, №3

ენობრივი სავარჯიშოების შემდეგ, მოსწავლეებისათვის ბოლოს შეთავაზებულია ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის სათანადო დავალებები, რომლებიც ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ შეფასებისათვის: წიგნში, გვ. 91, №5,6. მეხუთე დავალებით შეგიძლიათ, შეამოწმოთ დიალოგური მეტყველება განმავითარებელი შეფასებისათვის. გამოიყენეთ დაკვირვების ფურცლები; ხოლო მეექვსე დავალებით შემოწმდება მონოლოგური მეტყველება.

წერითმეტყველების შესამოწმებლად გამოიყენეთ რვეულში მოცემული დავალება (გვ. 119, 4). შემაჯამებელი შეფასების წინ გააფრთხილეთ მოსწავლეები და გააცანით შეფასების კრიტერიუმები.

ცოდნისა და უნარების შემოწმება. სრულდება მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მეხუთე თემა – „შაბათ-კვირას“

მიზნებისა და შინაარსის რუკა

ძირითადი მიზნები	• ახალი ლექსიკის ათვისება; • მინიდიალოგების გათამაშება; • ინტერაქცია სურათებზე დაყრდნობით; • ცხოველის აღწერა/დახასიათება; • საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; • დროსა და სივრცეში ორიენტაცია (მიუთითებს, სად არის /იყო/იქნება და როდის.); • ინტერაქცია წარსულის ამბებისა და მომავალში დაგეგმილი აქტივობების შესახებ; • მოკლე აღწერითი ტექსტების შედგენა ნიმუშის მიხედვით; • მცირე ზომის საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტების ტექსტების წაკითხვა-გაგება.
ძირითადი ლექსიკა	გარეული ცხოველები და მათი ნაშიერი (წყლის ცხოველები) ზოოპარკში. ზოოპარკის ბინადარნი გართობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა (ბანაობა, ტევზაობა, სეირნობა, სტუმრად წასვლა...)
ძირითადი ენობრივი საკითხები **ფორმულები კონსტრუქციები**	სახელობითის, მიცემითისა ნათესაობითის კონკრეტული ფუნქციები; ნასწავლი ზმნების წარმოება აწმყოში (ახლანდელი დრო), წარსულსა (წყვეტილი) და მომავალში (მყოფადი); ჩვეული მოქმედების გამოხატვა (ყოველ შაბათს / შაბათობით...); მივდივარ / დავდივარ ზმნები; ზმნისწინის ფუნქცია (მიმართულების გამოხატვა – ადის, ცადის, მიდის, მოდის, შედის, გადის); დროში ორიენტაციაა (გასულ შაბათს, მომავალ შაბათს, ერთი საათის / კვირის/ თვის... წინ; ერთი საათის/კვირი/ თვის... შემდეგ); სივრცეში ორიენტაცია (საიდან? სად?).

წამყვან გვერდზე მუშაობა. წააკითხეთ მოსწავლეებს თემის სათაური. სთხოვეთ, დააკვირდნენ ქვემოთ მოცემულ სურათებს და თქვან, *ვინ რას აკეთებს.* შემდეგ წააკითხეთ რეპლიკა და დააკავშირებინეთ შესაბამის სურათთან. *სად არიან მერაბი და მისი მშობლები?*
დააკვირვეთ მოსწავლეები ფორმაზე – **„მობრძანდით!“** ჰკითხეთ, რას ნიშნავს, მათი აზრით, ეს. აცადეთ ვარაუდების გამოთქმა და შემდეგ დააზუსტეთ მისი მნიშვნელობა – „მოდი“ ზმნის თავაზიანი ფორმა. შეადარებინეთ: *მოდი, ფერიდე! მოდით, ბავშვებო! მობრძანდით, ანა მასწავლებელო / თემური ბიძია / ბატონო ჯემალ!*

დააკავშირებინეთ მოცემული სურათები თემის სათაურთან და ჰკითხეთ მოსწავლეებს: *ვინ რას აკეთებს შაბათ-კვირას?* მოაძებნინეთ სურათებზე ბაია და ეს ორი სურათი დააკავშირებინეთ ერთმანეთთან.
გამოიყენეთ თურქული ენა და ჰკითხეთ, *რას აკეთებს ბაია, რას სთხოვს ის მამას? რა უნდა ბაიას?*

ამის შემდეგ გადადით მოსწავლეებთან და დაინტერესდით, ვინ რას აკეთებს შაბათ-კვირას. დაუსვით მათ შეკითხვები: *ვინ დადის სტუმრად? ვინ უყურებს ტელევიზორს? ვინ კითხულობს წიგნს? ვინ სეირნობს? ვისთან ერთად სეირნობს, სად და რით?* და ა.შ.

რას აკეთებთ შაბათ-კვირას?

მოცემული ქვეთემის კომუნიკაციური მიზნებია შაბათ-კვირის საქმიანობებზე საუბარი წარსულსა და მომავალში. ხოლო ენობრივი მიზანია მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა აწმყოს ფორმებით.

სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ. 95, №1,2,3,4
- რვეულში, გვ. 120-121

წიგნიდან გვერდები 96–97:

დიალოგების წაკითხვა და გაგება:
1. დიალოგების წაკითხვამდე წააკითხეთ მოსწავლეებს ფრაზები და დარწმუნდით, რამდენად კარგად ესმით მათი შინაარსი მოსწავლეებს:
   ა. პირველში საუბარია ჩვეულ მოქმედებაზე (**რას აკეთებს ყოველთვის**)
   ბ. მეორეში საუბარია უკვე შესრულებულ მოქმედებაზე (**რა გააკეთა უკვე**)
   გ. მესამეში საუბარია მომავალში შესასრულებელ მოქმედებაზე (**რა აქვს დაგეგმილი, რას აპირებს**)
   დ. მეოთხეში არ ჩანს, რას გააკეთებს.

   შენიშვნა: აუცილებელი საჭიროებისას, გამოიყენეთ თურქული ენაც.

2. დააზუსტეთ ფრაზები – *რა გეგმები გაქვს? რას აპირებ?*
3. წააკითხეთ ჯერ პირველი დიალოგი ერთ-ერთ მოსწავლეს (**შენიშვნა:** სასურველია, ეს დავალება მოსწავლეებთან ერთად შეასრულოთ!). ყურადღება მიაქცევინეთ დიალოგში მოცემულ შეკითხვებზე და ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელ დროზეა იქ საუბარი (**მომავალზე:** *რას გააკეთებ? რა გეგმები გაქვს?*). როგორია თემურის პასუხი? – *არ იცის.* როგორია ორჰანის პასუხი? – *კვირას სტუმრად მიდის.*
4. თავიდან წააკითხეთ ფრაზები და ჰკითხეთ, რომელია თემური და რომელი – ორჰანი? (**თემური – დ; ორჰანი – გ**)
5. გადადით მეორე დიალოგზე და იმუშავეთ პირველი დიალოგის მსგავსად:

ა. რომელ დროს გამოხატავს ზმნა „**გაატარე**?“ – *წარსულს.*
ბ. ვინ გაატარა კარგი დრო? – *დალიმ*
გ. რა გააკეთა შაბათს? რა გააკეთა კვირას?
დ. წააკითხეთ დარჩენილი ორი ფრაზა (ა, ბ) და ჰკითხეთ, რომელია მათგან დალი? (**დალი – ბ**).

6. ერთად წაიკითხეთ ბოლო დიალოგიც:
   ა. *რაზე მიუთითებს ფორმა – რას აკეთებ ხოლმე? როგორ მოქმედებაზე მიუთითებს? – ჩვეულ მოქმედებაზე, ყოველთვის რომ ასე იქცევა.*
   ბ. როგორ ატარებს ხოლმე ლალი შაბათ-კვირას?
   გ. რას აკეთებს შაბათობით?
   დ. რას აკეთებს კვირაობით?

სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ. 97, №2
- რვეულში, გვ. 123, №3; გვ. 124-125

წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებებით მუშავდება დროის მარკერები – **მომავალი / გასული:**

სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ. 97, №3,4
- რვეულში, გვ. 126-127

<u>წიგნიდან გვერდები 98–99</u>:

მოცემული განშლის პირველი ექვსი დავალება ემსახურება ენობრივი ცოდნის განმტკიცებას – ნასწავლ ზმნებზე კიდევ ერთხელ დაკვირვებას სამივე დროში. წიგნზე მუშაობის შემდეგ გადადით რვეულზე და შეასრულებინეთ მოსწავლეებს იქ მოცემული სავარჯიშოები: გვ. 128-132. დაბრუნდით წიგნში და შეასრულეთ მეშვიდე დავალება.

ზოოპარკში. გარეული ცხოველები და მათი ნაშიერები

მუშავდება ახალი ლექსიკა ზოგადი რეკომენდაციებისა და მითითებების გათვალისწინებით. შეასრულეთ წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებები მოცემული თანმიმდევრობით:
- წიგნში, გვ. 100-101; გვ. 102, №1
- რვეულში, გვ. 133-136

<u>წიგნიდან გვერდები 96</u>:

მეორე დავალებაში აქტიურდება ნაცნობი ენობრივი საკითხი – **აქვს ... / არის ...-იანი.**

დავალებების შესრულებამდე გამართეთ მცირე ინტერაქცია მოსწავლეებთან: რამდენსართულიანია ჩვენი სკოლა? რამდენსართულიანია შენი სახლი? ვინ არის კლასში გრძელთმიანი, შავთმიანი, სათვალიანი, ყავისფერთმიანი და ა.შ.

სრულდება დავალებები
- წიგნში, გვ. 102, №2
- რვეულში, გვ. 137, №3

სრულდება მესამე და მეოთხე დავალებები წიგნიდან და შემდეგ რვეულიდან:

- წიგნში, გვ. 102, №3,4
- რვეულში, გვ. 137, №4,5

ზედსართავებზე მუშაობა: გააკეთეთ ცხრილი და წიგნში მოცემული ზედსართავები გაანაწილეთ იმისდა მიხედვით, თუ რას გამოხატავს, რაზე მიუთითებს:

გარგნობა	**ხასიათი**
ლამაზი უშნო ფარფლებიანი...	მხიარული ჭკვიანი საშიში სასაცილო...

სრულდება მეხუთე და მეექვსე დავალებები წიგნში.

მეშვიდე დავალების შესრულებამდე, ჯერ გააცანით მოსწავლეებს ცხრილში მოცემული ინფორმაცია. აუხსენით კარგად, რა უნდა გააკეთონ და შემდეგ მოასმენინეთ ტექსტი რამდენჯერმე.

დავალების შესრულების შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს – ვინ როგორ შეავსო ცხრილი. შეადარეთ, ყველას ერთნაირად აქვს თუ არა შესრულებული. არასწორი ინფორმაციის შემთხვევაში, კიდევ ერთხელ მოასმენინეთ და დააზუსტებინეთ.

სრულდება დავალებები

- რვეულში, გვ. 138-140

<u>წიგნიდან გვერდები 103-105</u>: რა ხდება თბილისის ზოოპარკში?

1. დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და თითო ჯგუფს ორ-ორი ტექსტი მიეცით დასამუშავებლად.
2. წინასწარ მოამზადეთ სქემები, რომლებსაც დაურიგებთ ჯგუფებს. მოსწავლეებმა ამ სქემების მიხედვით უნდა დაამუშავონ ეს ტექსტები და ამოიღონ შესაბამისი ინფორმაციები.

გთავაზობთ ერთ-ერთ ნიმუშს:



ამის შემდეგ სრულდება დავალებები

- წიგნში, გვ.104-105
- რვეულში, გვ. 141-143

გასეირნება ბოსფორზე

მოცემული ქვეთემა შინაარსობრივად მთლიანად აგებულია მოსწავლეებისათვის ნაცნობ გარემოსა და ყოფით სიტუაციებზე. ქვეთემის მიზანია ნასწავლი ენობრივი საკითხების (ლექსიკის, გრამატიკული ფორმებისა და ენობრივი კონსტრუქციების) მათთვის ნაცნობ სოციოკულტურულ და ყოფით გარემოში გადათამაშება და მათ განმტკიცება-დაუფლებაზე მუშაობა.

ეს ქვეთემა, ფაქტობრივად, აჯამებს მთელი წიგნის ენობრივ პრიორიტეტებს და თავს უყრის მათ კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

ქვეთემა, პირობითად, სამ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ:

1. **პირველი** ეხება პრინცის კუნძულებს (*მდებარეობა, გარემო, კლიმატი, კუნძულებზე გადაადგილება* და ა.შ.)
2. **მეორე** ნაწილი ეხება ფერიდეს, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას ატარებს კუნძულ ჰეიბალიადაზე ბებიასთან და ბაბუასთან. ამ ნაწილში აღწერილია ფერიდეს შაბათ-კვირის ყოველდღიური ცხოვრება კუნძულზე (სად ცხოვრობენ, როგორი მათი სახლი, რას აკეთებენ ყოველ დილა-საღამოს, როგორ ერთობა თავის კუნძულელ მეგობარ მერიემთან ერთად და ა.შ.)
3. **მესამე** ნაწილი ეხება ორჰანს, რომელიც მამასთან და თავის ტყუპისცალ ძმასთან – ერდალთან ერთად ატარებს ყოველ შაბათს ან კვირას. აღწერილია მათი ერთი დღის ამბავი – სად მიდიან და რას აკეთებენ ისინი დილით, შუადღისას და როდის და რით ბრუნდებიან სახლში.

ამ ისტორიების გაცნობის შემდეგ (რომლებსაც სამუშაო რვეულში ახლავს მთელი რიგი ენობრივი სავარჯიშოები), მოსწავლეებს უწევთ უკვე საკუთარ თავზე საუბარი (როგორც ზეპირმეტყველებით, ისე წერითმეტყველებით) – რას აკეთებენ ისინი ყოველ შაბათ-კვირას; რას აკეთებენ დილით, შუადღისას და საღამოს; საუბრობენ გასული შაბათ-კვირის შესახებ – სად იყვნენ, ვისთან ერთად, რა გააკეთეს და ა.შ. ასევე საუბრობენ მომავალი შაბათ-კვირის გეგმებზე – სად წავლენ და რას გააკეთებენ.

თემის ბოლოს კვლავ ხდება **ცოდნისა და უნარების შემოწმება,** რომელიც მიმდინარეობს აღწერილი წესისა და მითითებების გათვალისწინებით.

მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები

მოსწავლეთა შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ სწავლის შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე ორიენტირებასაც. ამიტომ მოსწავლის შეფასება უნდა ემსახურებოდეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, მასწავლებელი მოსწავლეთა შეფასებისას ორიენტირებული უნდა იყოს უფრო მეტად უკეთესი შედეგების მიღწევაზე, ვიდრე უბრალოდ ცოდნის შემოწმებასა და მის ფორმალურ დაფიქსირებაზე.

შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და, მეორე მხრივ, განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლისათვის თანაბარი პირობების შექმნას იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს საკუთარი შესაძლებლოებების გამოვლენა და განვითარება.

არსებობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების სხვადასხვა ტიპი, რომელთაც განსხვავებული ფუნქცია და მიზანი გააჩნია. ეს არის მოსწავლეთა ცოდნის დონისა და უნარების <u>განმსაზღვრელი</u> და <u>განმავითარებელი</u> შეფასებები.

განმსაზღვრელი შეფასება
მისი ძირითადი დანიშნულება სწავლის შედეგების შემოწმება-შეფასებაა. განმსაზღვრელი შეფასებისას ყურადღება ექცევა არა კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს, არამედ სტანდარტით განსაზღვრულ საერთო ნორმის მოთხოვნებს.
განმსაზღვრელი შეფასების მიზნით, მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს სხვადასხვა "შემაჯამებელი" აქტივობა.

<u>შემაჯამებელი დავალებით</u> ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემის, ქვეთემის, საკითხის) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს ქართულ ენაზე სათანადო ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

შემაჯამებელ დავალებებად შეიძლება განისაზღვროს:
- მოსმენილი ან ზეპირი ტექსტის გაგება - გააზრება;
- სხვადასხვა სახის ტექსტის შედგენა;
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა;
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის ირგვლივ;
- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ;
- და სხვა.

დავალებას, რომელსაც მასწავლებელი შემაჯამებელი ფუნქციით გამოიყენებს, უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა, რომელიც უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით.

განმავითარებელი შეფასება
მისი მიზანი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობაა. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა მიღწევის დონეს არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად.
განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი სწავლის პროცესში აკვირდება თითოეულ მოსწავლეს და შეისწავლის მათ საჭიროებებს იმისათვის, რომ თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი წინსვლაში და, მეორე მხრივ, ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოს საგაკვეთილო პროცესი.

განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ისეთი საშუალებები,

როგორებიცაა: *სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი დონეები* (სასურველია, რომ ისინი რანჟირებული იყოს სამი ან ოთხი პარამეტრის მიხედვით, მაგ., ოთხის შემთხვევაში გვექნება: *ძალიან სუსტი, სუსტი, საშუალო* და *კარგი;* ხოლო სამის შემთხვევაში – *ათვისებულია, ათვისების პროცესშია, ასათვისებელია* და სხვა).

ენობრივი ცოდნისა და უნარების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს მოსწავლის:

- ლექსიკური ცოდნა
- გრამატიკული ცოდნა
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები (ანუ, როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის კონტექსტში გამოყენება)
- გამოთქმა
- მართლწერა

კომუნიკაციური უნარების შეფასებისას კი მოწმდება:

- კითხვა-გაგება
- ხმამაღალი კითხვა
- მოსმენა-გაგება
- ზეპირი კომუნიკაცია (ინტერაქცია, გაბმული ლაპარაკი)
- წერითი კომუნიკაცია

ენობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება ხდება შემდეგი დავალებებით:

1. სხვადასხვა ტიპის <u>გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოებით</u> (მაგ., რამდენად ახერხებს მოსწავლე: *სწორი ფორმის ამოცნობას; ფორმის/კონსტრუქციის შეცვლას ნიმუშის მიხედვით; შეცდომების ამოცნობა-გასწორებას; სინონიმებისა* და *ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრებას; ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმასა* და სხვა);

2. სხვადასხვა ტიპის <u>საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრით</u> (მაგ., *შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით* და სხვა);

3. სხვადასხვა ტიპის <u>ზეპირი აქტივობის შესრულებით</u> როგორც დამოუკიდებლად, ისე მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად (მაგ., *დიალოგის გათამაშება მეწყვილესთან ერთად; მინიინტერვიუები; აღწერა-დახასიათება; საკუთარი თავის ან სხვის შესახებ საუბარი; თანაკლასელების გამოკითხვის გზით კონკრეტული კითხვარების შევსება და შემდეგ ამ კითხვარებზე დაყრდნობით ინფორმაციის გადაცემა* და სხვა);

<u>წერითი და ზეპირი</u> <u>შემაჯამებელი</u> დავალებებისათვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს:

- პირობასთან შესაბამისობა (იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს);
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (მაგ., გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; საუბრობს გარკვევით; აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას და ა.შ.)
- ენობრივი უნარ-ჩვევები (სწორად იყენებს ნასწავლ ზმნებს; ადეკვატურად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებსა და შესაბამის ენობრივ ფორმებს; იყენებს ნასწავლ ლექსიკას და ა.შ.);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები (იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით; არ უფრთხის შეცდომებს და ა.შ.).

ხმამაღალი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს: კითხულობს თუ არა:

- უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- გარკვევით და მკაფიოდ;
- გამომსახველობით – შესაბამისი ინტონაციით, სასვენ ნიშნების მართებული გამოყენებით და ა.შ.

ჩუმი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა.

გთავაზობთ კონკრეტული დავალებებისათვის შეფასების სქემების ნიმუშებს.

ნიმუში 1: (ზეპირმეტყველების შეფასების სქემა – მონოლოგური საუბარი: <u>დავალება:</u> მოსწავლემ უნდა ისაუბროს წელიწადის დროებისა და თვეების შესახებ; **მეორე თემა (წელიწადის დროები)**

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• აღწერს წელიწადის დროებს (როგორი ამინდია, რა ნიშნები ახასიათებს, რა ხდება წელიწადის ამ დროს) • განსაზღვრავს დღე-ღამის ხანგრძლივობასა და ამინდის ცვალებადობის სიხშირეს. • ასახელებს და აღწერს თვეებს სეზონების მიხედვით.	0 — 1 — 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; • საუბრობს სწორად და გარკვევით; • აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას.	0 — 1 — 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • აღწერა-დახასიათებისას სწორად იყენებს შესაბამის ენობრივ კონსტრუქციებს; • მოქმედების სიხშირეს გამოხატავს შესაბამისი მარკერებით. • იყენებს შესაბამის ლექსიკას.	0 — 1 — 2
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
• იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით (*ნასწავლი ლექსიკის ფარგლებში ხმარობს სინონიმებსა და ანტონიმებს; არ ერიდება შედარებით რთული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენებას*); • არ უფრთხის შეცდომებს.	0 — 1

ნიმუში 2: (ზეპირმეტყველების შეფასების სქემა – ინტერაქცია (დიალოგური საუბარი): <u>დავალება:</u> გაცვალონ ინფორმაცია საკუთარი თავისა და საკუთარი და-ძმის დაბადების დღეების შესახებ – ვინ სად და როდის დაიბადა; **მესამე თემა, დაბადების დღე**, წიგნი, გვ. 54, №3).

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	I მონაწილე	II მონაწილე
შეფასების კრიტერიუმები		
• სათანადოდ რეაგირებს კითხვა-პასუხზე (0 — 1 — 2)		
• რეპლიკები გასაგებია (0 — 1 — 2)		
• საუბრობს გარკვევით და ხმამღლა (ინტონაცია, ხმის ტონი, მიმიკა-ჟესტიკულაცია) (0 — 1 — 2)		
• იყენებს შესაბამის ფორმულებს (0 — 1)		
• სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ საკითხებს (კუთვილებით ნაცვალსახელებს; აქვს/ჰყავს ზმნებს, დროის მარკერებს – როდის? იანვარში, ათ იანვარს...) (0 — 1 — 2)		
• ავლენს ფანტაზიას, ენობრივ გაბედულობას (0 — 1)		

ნიმუში 3: (წერითმეტყველების შეფასების სქემა; <u>დავალება:</u> მოსწავლემ უნდა დაწეროს თავისი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ; **პირველი თემა (ერთი დღე);** რვეულში – გვ. 22, №2)

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• ასახელებს, როდის, რომელ საათზე რას აკეთებს; • მიუთითებს, სად არის, სად მიდის და ა.შ.	0 — 1 — 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; • აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას.	0 — 1 — 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • მოქმედების თანმიმდევრულობის გადმოსაცემად სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციას – *ჯერ – შემდეგ*; • იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას.	0 — 1 — 2
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
• იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით (*ნასწავლი ლექსიკის ფარგლებში ხმარობს სინონიმებსა და ანტონიმებს; არ ერიდება შედარებით რთული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენებას*);	0 — 1

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების რუბრიკის შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობას. ურთიერთთანამშრომლობის გარდა, ამ პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებსაც.

თვითშეფასების დროს მოსწავლე თავად აფასებს საკუთარ მიღწევებსა თუ წარუმატებლობას. ინიშნავს, რა ვერ გაიგო, რის განმარტებას საჭიროებს, რა შემთხვევაში შეასრულებს დავალებას სრულყოფილად, რა ინფორმაცია უნდა მოიძიოს და სხვა. თვითშეფასება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თვალი ადევნონ საკუთარ განვითარებასა და პროგრესს. გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელო ყოველი თემის გასრულების შემდეგ მოსწავლეს თვითშეფასების საშუალებას აძლევს, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა თემის მსვლელობისასაც უზრუნველყოს ეს.

სასურველია, რომ თვითშეფასების წინ მასწავლებელმა ურთიერთშეფასებასა (*როცა მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს*) და თანაშეფასებას (*მოსწავლე და მასწავლებელი*) მიმართოს. ურთიერთთანამშრომლობის გარდა, პირველ რიგში, ეს ეხმარება მოსწავლეს გვერდიდან შეხედოს საკუთარ თავს, მაქსიმალურად გამორიცხოს სუბიექტურობა, დაინახოს ის, რაც, შესაძლოა, მან თავად ვერ შეამჩნია და ა.შ.

შეფასების დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა მასწავლებელთან ერთად უნდა განიხილონ შესრულებული სამუშაო, მიღებული შედეგები და განსაზღვრონ, რა გამოუვიდათ კარგად, რისი გაკეთება სჯობდა სხვაგვარად, რაში გამოვლინდა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და რა უნდა გააუმჯობესონ.

ცალკე გვინდა შევეხოთ მასწავლებლის **დაკვირვების ფურცლებს**.

დაკვირვების ფურცლების გამოყენება ძალიან ეფექტურია, მით უფრო ზეპირი აქტივობებისათვის (იქნება ეს მარტივი ინტერაქცია თუ როლური თამაშები). შესაძლებელია, მასწავლებელმა ერთი აქტივობის ფარგლებში რამდენიმე დაკვირვების ფურცელი გამოიყენოს (ასეთ შემთხვევაში, ისინი სხვადასხვა უნარებს უნდა ამოწმებდეს). გთავაზობთ ორიოდე ნიმუშს:

<u>დაკვირვების ფურცელი 1</u>. (როლური თამაშისთვის)

	I წყვილი	**II წყვილი**	**III წყვილი**
საუბარი: 1. საუბრობენ გარკვევით 2. საუბარი რთული გასაგებია 3. საუბრობენ გაურკვევლად			
ექსპრესიულად თამაშობენ როლს. კი / არა			

დაკვირვების ფურცელი 2. (გრამატიკული შეცდომებისათვის)

	I წყვილი	II წყვილი	III წყვილი
შეცდომაა:	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------
უნდა იყოს:	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------	1. ---------- 2. ---------- 3. ----------

წიგნსა და რვეულში მოცემული ზოგიერთი სავარჯიშოს პასუხები

1. ერთი დღე

<u>რვეულში:</u>

გვ. 10, №2:

– რომელ საათზე იღვიძებ?
– 8 საათზე, შენ რომელ საათზე იღვიძებ?
– მე შვიდ საათზე ვიღვიძებ.
– რას აკეთებ ცხრა საათზე?
– სკოლაში მივდივარ.

გვ. 17, №6:

ა. მე ვვახშმობ; ბ. ვახშმობთ; გ. მე ვსაუზმობ; დ. საუზმობ

გვ. 19, №5:

ლალეს და: **ა, დ;** მერაბი: ბ, დ.

გვ. 30, №3:

ა. ცხრის ნახევარზე; ბ. გაქვს ქართული; გ. იძინებ; დ. სადილობ

2. წელიწადის დროები

<u>წიგნში:</u>

გვ. 31, №5:

ა. შემოდგომით თუ ფრინველები დაბლა დაფრენენ, ცივი ზამთარი იქნება და თუ – მაღლა, თბილიო.
ბ. ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
გ. ზამთარი შემოდგომის პირველი თოვლიდან 40 დღის შემდეგ დგება.
დ. ზაფხულში შემონახული ცივი ქვაც კი ზამთარში თბილიაო.

გვ. 43, №4:

საქართველოში ახალ წელს მთელი ოჯახი ერთად ვხვდებით. ვდგამთ ნაძვის ხეს. დედა საახალწლო კერძებს ამზადებს: აცხობს ხაჭაპურებს, აკეთებს საცივს, გოზინაყს. ჩემს სოფელში ჰალვასაც აკეთებენ და გოზინაყთან ერთად საახალწლო სუფრაზე დებენ. ხილთან და სხვა ტკბილეულთან ერთად სუფრასთან ჩირი და ჩურჩხელებიც მოაქვთ.
ახალი წლის მოსვლისას მაშხალებს ვანთებთ, ერთმანეთს ვულოცავთ და შემდეგ სუფრასთან ვსხდებით.

<u>რვეულში:</u>

გვ. 33, №7:

ა. თურქეთს სამხრეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა, დასავლეთით – ეგეოსის ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით – შავი ზღვა.
ბ. აღმოსავლეთით მდებარეობს თურქეთის უმაღლესი მწვერვალი – მთა არარატი.

გვ. 36, №2:

ა. მარტს; ბ. ერთმანეთის; გ. ყველაზე მოკლე; დ. გაზაფხული; ე. ივნისს

გვ. 40, №1:

ა. ჩვენ ბაღში ხილს ვკრეფთ.
ბ. ჩემს მეგობრებს ციგით სრიალი მოსწონთ.
გ. ზაფხულში ბავშვები მდინარეში ბანაობენ.
დ. შემოდგომაზე ისინი კრეფენ ყურძენს.

გვ. 45, №4

მოსალოდნელია: ა, დ, ე; **იქნება:** ა, ბ, ვ, ზ.

გვ. 52, №1:

ახალ წელს; მაგიდასთან სხდებიან; ნაძვის ხეს რთავენ; კერძებს ამზადებენ; სუფრას შლიან.

3. დაბადების დღე

<u>წიგნში:</u>

გვ. 48, №1:

– მე ორჰანი მქვია. შენ **რა გქვია?**
– მე მერაბი მქვია.
– და-ძმა გყავს?
– კი, ერთი უფროსი ძმა და ორი პატარა და **მყავს**.
– მე ერთი ძმა მყავს – ერდალი. ის ჩემი ტყუპისცალია. ჩვენ პირველ იანვარს **დავიბადეთ**.
– ჩემი დებიც ტყუპები არიან. ისინი სექტემბერში **დაიბადნენ**. ხუთ სექტემბერს არის მათი **დაბადების** დღე.
– შენ და შენს ძმას როდის გაქვთ დაბადების დღე?
– ჩემს ძმასაც იანვარში **აქვს** დაბადების დღე, მე – მაისში. ჩემი ძმა ათ იანვარს **დაიბადა**, მე – ორ მაისს.

გვ. 49, №5:

– რომელ კლასში ხარ კახა?
– **მეცხრეში.**
– არჩილი და ხათუნა შენი კლასელები არიან?
– არა, არჩილი ჩემი **დეიდაშვილია**, ხათუნა – **მამიდაშვილი**.
– ისინი რომელ კლასში არიან?
– არჩილი **მეცხრე** კლასში სწავლობს, ხათუნა კი **მეათე** კლასშია.
– სადაურები არიან არჩილი და ხათუნა?
– არჩილი ქუთაისელია, ხათუნა კი – ახალციხელი.

გვ. 52, №2:

– როდის გაქვს დაბადების დღე?
– ოცდაერთ მარტს. შენ?
– მე თოთხმეტ სექტემბერს მქონდა.
– რამდენი წლის გახდი?
– ცხრა წლის.
– მე მარტში გავხდები ცხრა წლის.
– შენს ძმას როდის აქვს დაბადების დღე?
– ჩემს ძმასაც მარტში აქვს.

გვ, 57, №2:

რა ლამაზი **დღეა**!
რა **ნათელი** მზეა!
იმიტომ, რომ **დღეს** თემურის
დაბადების დღეა!

<u>რვეულში:</u>

გვ. 56, №2:

მე ცხრამეტ თებერვალს **დავიბადე** თბილისში, ჩემი და შვიდ აგვისტოს **დაიბადა**. სოფო ჩემზე ერთი წლითა და ექვის თვით უმცროსია.

ჩემი მამიდაშვილი ახალციხეში დაიბადა. მე და არჩილი ერთ წელს **დავიბადეთ**. მე არ-ჩილზე სამი თვით უფროსი **ვარ**.

ჩემი დეიდაშვილი ხათუნა ჩემზე სამი თვით **არის** უფროსი, არჩილზე კი – ექვსი თვით. ის ქუთაისში **დაიბადა** შემოდგომით.

გვ. 75, №3:

1 – ბ; 2 – გ; 3 – ა

გვ. 79, №5:

ა. დასხდნენ; ბ. ვისხედით; გ. იჯდა.

4. ჩემი სოფელი

<u>რვეულში:</u>

გვ. 81, №3: არასწორია: გ, დ; ა, ბ

გვ, 81, №4:

ა. ტყის წინ; ბ. მინდორში; გ. მთის ძირში; დ. მდინარეზე; ე. მთების უკან; ვ. ცაში

გვ. 81, №5:

ა. ტყის უკან სოფელი მდებარეობს.
ბ. ირგვლივ ტყიანი მთები აკრავს.
გ. ჩვენი სახლი ტყესთან ახლოს დგას
დ. ჩემი მეგობრის სახლი ტყის პირას დგას.
ე. სოფელი მთის კალთაზეა შეფენილი.
ვ. სახლები სულ ტყეშია ჩაფლული.

გვ. 86, №1:

ა. ჩემს სოფელს; ბ. ხეობაში; გ. ტყიანი; დ. სოფლის; ე. ამ ჩანჩქერს; ვ. ჩვენი სახლი

გვ. 86, №2:

ა. ტყეშია; ბ. აკრავს; გ. ჩამოედინება; დ. კალთაზეა; ე. დაფარული; ვ. ახლოს; ზ. პირას

გვ. 90, №1:

თხა ქათამი კატა მამალი ცხვარი ძაღლი ძროხა ცხენი ბატი

							ქ		ც			
							ა		ხ			
		თ	ხ	ა			თ		ვ			
						კ	ა	ტ	ა			ძ
			ბ				მ	ძ	რ	ო	ხ	ა
		მ	ა	მ	ა	ლ	ი		ი			ღ
			ტ									ლ
			ი					ც	ხ	ე	ნ	ი

გვ. 92, №1:

პეპელა ჭრიჭინა კალია ჭიანჭველა ბუზი ფუტკარი ჭიამაია

									პ		
						ჭ			ე		
	ფ	უ	ტ	კ	ა	რ	ი		პ		
				კ		ი			ე		
		ჭ	ი	ა	ნ	ჭ	ვ	ე	ლ	ა	
				ლ	ჭ	ი	ა	მ	ა	ი	ა
	ბ	უ	ზ	ი		ნ					
				ა		ა					

გვ. 96, №1:

ბუზსა და ფუტკარს გამჭვირვალე **ფრთები** აქვს. ბუზს ორი ფრთა აქვს, ფუტკარს კი – ოთხი. ფუტკარს აქვს პატარა **ნერტარიც**. ორივე პატარა მწერია. ფუტკარი სულ **შრომობს**, ბუზს კი **შრომა** არ უყვარს. ბუზი სულ **შავი** ან მუქი ყავისფერია. ფუტკარს კი **შავ** ტანზე ყვითელი ზოლები აქვს.

გვ. 101, №4:

ძალიან ლამაზი სოფელია მეჯიდიე. იქ მამიდაჩემი ცხოვრობს. სოფელი **მთის კალთაზეა** შეფენილი. მთა **ტყიანია. სოფელში** ყველა სახლი დიდ **ბაღებში** დგას. **ბაღში** დგას ნალია, საქათმე და ბოსელიც. **მამიდაჩემს** ჰყავს **ბატები, ქათმები** და ორი ძროხა პატარა ხბორებით.

სოფელში, ძირითადად, ორი და **სამსართულიანი ხის** სახლებია. **მამიდაჩემის სახლი** ორსართულიანია. **სახლს** ერთი გრძელი აივანი აქვს მეორე **სართულზე. სახლის** პირველ **სართულზე** დიდი სასაუზმე ოთახი და ბუხარია. საძინებელი და სასტუმრო ოთახები კი მეორე **სართულზეა**.

გვ. 102, №1:

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
1. მეჯიდიეში ორჰანის მამიდა ცხოვრობს.			✓
2. სოფელი მეჯიდიე მთაში მდებარეობს.	✓		
3. მეჯიდიელებს პატარა ბაღები აქვთ.		✓	
4. ბაღების წინ დიდი ბოსტნებია.			✓
5. სოფელში მარტო სამსართულიანი სახლებია.		✓	
6. სოფელში ფრინველებიც ჰყავთ.	✓		
7. სახლის პირველ სართულზე ორი ოთახია.		✓	

გვ, 102, №2:

ა. ყველა სახლი **დიდ ბაღებში** დგას.
ბ. ორჰანის მამიდას ჰყავს ბატებიც და ქათმებიც.
გ. პირველ სართულზე დიდი სასაუზმე ოთახია.

გვ. 104, №1:

მგელი მელა დათვი ზღარბი ციყვი კურდღელი შველი ჯიხვი ირემი

										კ		
							ჯ			უ		
			მ	გ	ე	ლ	ი		დ	რ		
	ი	რ	ე	მ	ი		ხ		ა	დ		
			ლ				ვ		თ	ღ		
	ზ	ღ	ა	რ	ბ	ი	ი	შ	ვ	ე	ლ	ი
									ი	ლ		
						ც	ი	ყ	ვ	ი		

გვ. 105, №3:

ა. მათ (*ჭიამაიებს*) მომრგვალო ან ოვალური **სხეული** აქვთ. ზურგი დაწინწკლული აქვთ მუქი **ლაქებით.** ზოგი ყვითელია და შავი **წინწკლები** აქვს, ზოგიც შავია წითელი წინწკლებით. ზოგი **მცენარეებს** ჭამს, ზოგი კი პატარა **მწერებით** იკვებება.

ბ. ზოგს (*კალიას*) ოთხი გრძელი და სწორი ფრთა აქვს. ზოგს საერთოდ არ აქვს **ფრთები.** კალიები უკანა **ფეხებს** სახტომად იყენებენ. ზოგი მწვანეა, ზოგი – ყვითელი, ზოგიც – **ღია** ყავისფერი. საქართველოში, ძირითადად, მწვანე, გრძელი, **მუქლაქებიანები** და თეთრშუბლიანები გვხვდება.

გვ. 106, №2:

გუგული ბუ კაჭკაჭი კოდალა მერცხალი არწივი ყვავი ოფოფი

										მ		
	ყ		ბ					კ		ე		
	ვ	გ	უ	გ	უ	ლ	ი	ა		რ		
	ა	რ	წ	ი	ვ	ი		ჭ		ც		
	ვ							კ		ხ		
	ი				კ	ო	დ	ა	ლ	ა		
								ჭ		ლ		
				ო	ფ	ო	ფ	ი		ი		

5. შაბათ-კვირას

<u>წიგნში:</u>

გვ. 105, №2:

– რა ცხოველია გიბონი?
– მაიმუნი.
– რამდენი გიბონი ბინადრობს თბილისის ზოოპარკში ამჟამად?
– ორი.
– რა ჰქვია მათ?
– მაუგლი და ჩიტა.
– რას აკეთებენ დილაობით ისინი?
– მღერიან.
– რომელია მხიარული და ცნობისმოყვარე?
– მაუგლი.
– როგორია ჩიტა?
– მორცხვი და მორიდებული.

გვ. 106, №1:

1. პრინცის კუნძულებ შორის **ბუიუკადა** უდიდესია. ირგვლივ ფიჭვის ტყეებია გაშენებული. მისი მთიანი ნაწილი დაუსახლებელია. დასახლებული ნაწილი კი ხალხმრავალი და ხმაურიანია. ყველაზე პატარა კუნძული კი სედეფია, სადაც მხოლოდ 108 ორსართულიანი კერძო სახლი დგას.

2. **ჰეიბელიადა** სიდიდით მეორე კუნძულია. ბუიუკადასთან შედარებით ეს ნაკლებად ხალხმრავალი და ხმაურიანია. ირგვლივ სასიამოვნო გარემოა თავისი ვიწრო პლიაჟებითა და ქუჩებით, ფიჭვის ტყეებიათა და უძველესი ვილებით.

3. **ბურგაზადა:** ეს კუნძული სიდიდით მესამეა. აქ იყო სტამბოლის პირველი კერძო ზოოპარკი. მის აღმოსავლეთით პატარა, კოვზის ფორმის კუნძული მდებარეობს. მასაც სწორედ ასე ჰქვია – „კუნძული-კოვზი“ **(კაშიკი).**

4. **კინალიადა:** ის სტამბოლის უახლოესი კუნძულია. სხვებისგან განსხვავებით, ის ერთ-ერ-

თი ყველაზე ტყიანი ადგილია. კლიმატიც აქ უფრო მკაცრია, ვიდრე სხვა კუნძულებზე. მიწა მოწითალო ფერისაა. სწორედ ამის გამო ეძახიან მას ასე – „კუნძული ინით“.

გვ. 110, №1:

ბებიაჩემი და ბაბუაჩემი კუნძულ ჰეიბალიადაზე **ცხოვრობენ.** ამიტომ ყოველ შაბათ-კვირას **მივდივართ** იქ. ჩვენი სახლი ფერდობზე **დგას.** სახლის წინ ყვავილებით მორთული ტერასა **გვაქვს.** ყოველ დილა-საღამოს დედა და ბებია ტერასაზე **შლიან** სუფრას, **ვსვამთ** ჩაის, **ვჭამთ** ბებიას გამომცხვარ ტკბილეულს და ზღვას **გავცქერით.**

ჩვენს ქუჩაზე ერთი ხის ლამაზი ვილა დგას. ვილას უკან ყვავილებიანი პატარა ლამაზი ეზო **აქვს.** ის ჩემი კუნძულელი მეგობრის – მერიემის ბიძისაა. მერიემიც სტამბოლელია და თითქმის ყოველ შაბათ-კვირას **მოდის** კუნძულზე მშობლებთან ერთად. მე და მერიემი დიდ დროს **ვატარებთ** ერთად – ტყეში დავდივართ, ველოსიპედებით **ვსეირნობთ,** ეზოში ან ჩვენს ტერასაზე **ვთამაშობთ.**

<u>რვეულში:</u>

გვ. 134, №1:

ლომი სპილო აქლემი ზებრა ნიანგი პინგვინი სელაპი დელფინი ფარშავანგი ჟირაფი მაიმუნი

		დ			ს		მ			პ	
	ს	ე	ლ	ა	პ	ი	ა			ი	
	ჟ	ლ	ო	მ	ი		ი			ნ	
	ი	ფ	ა	ქ	ლ	ე	მ	ი	ზ	გ	
	რ	ი			ო		უ		ე	ვ	
	ა	ნ					ნ		ბ	ი	
	ფ	ი					ი		რ	ნ	
ნ	ი	ა	ნ	გ	ი				ა	ი	
	ფ	ა	რ	შ	ა	ვ	ა	ნ	გ	ი	

გვ. 140, №1:

ლომს ცხოველთა მეფეს უწოდებენ. ის ლამაზი, ძლიერი, ღონიერი და მამაცი ცხოველია. მამალ ლომს გრძელი ფაფარი და გრძელი და ღონიერი კუდი აქვს. ლომის ბრჭყალები გრძელი და წვეტიანია.

ლომი ცხელ ქვეყნებში ცხოვრობს. უყვარს მარტო ცხოვრება. საცხოვრებლად წყლის ახლოს მდებარე ტყიანი ადგილები მოსწონს. მთაზე ცხოვრება კი არ უყვარს.

გვ. 144, №2:

1. ბოსფორის სრუტე თურქეთის ევროპულ ნაწილს აზიური ნაწილისაგან ყოფს და მარმარილოს ზღვას შავ ზღვასთან აერთებს.

2. პრინცის კუნძულები 4 დიდი და 5 პატარა კუნძულისაგან შედგება. ისინი სტამბოლის ახლოს, მარმარილოს ზღვაში მდებარეობს.

მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები

პირველი თემა (ერთი დღე)

track 1

- რას აკეთებ ცხრა საათზე?
- სკოლაში მივდივარ.
- რომელ საათზე იღვიძებ?
- რვა საათზე, შენ რომელ საათზე იღვიძებ?
- მე შვიდ საათზე ვიღვიძებ...

track 2

<u>პირველი დიალოგი.</u>

- როდის სწავლობ გაკვეთილებს?
- შუადღისას. ჯერ ვსადილობ და შემდეგ ვმეცადინეობ, შენ?
- მე საღამოს ვსწავლობ.
- ყოველთვის საღამოს სწავლობ?
- ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად.

<u>მეორე დიალოგი.</u>

- რას აკეთებ სკოლის შემდეგ?
- ჯერ ვსწავლობ გაკვეთილებს, შემდეგ ვთამაშობ ან ვხატავ.
- საღამოს რას აკეთებ?
- საღამოს ტელევიზორს ვუყურებ.
- რომელ საათზე იძინებ?
- ათის ნახევარზე.

მეორე თემა (წელიწადის დროები)

track 3

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი –
ეგეც შენი ოთხი დრო,
წელიწადიც მზად არი.

track 4

ბევრ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენთანაც გაზაფხული მარტიდან იწყება, ოღონდ ნამდვილი გაზაფხული არა პირველიდან, არამედ 21 მარტიდან იწყება. 21 მარტს დღე და ღამე ერთ-მანეთის ტოლია. ნამდვილი ზაფხული დგება 22 ივნისს. ამ დღეს დღე ყველაზე გრძელია, ღამე კი - ყველაზე მოკლე. 23 სექტემბერი ნამდვილი შემოდგომის პირველი დღეა. აქაც დღე და ღამე ერთმანეთის ტოლია. 22 დეკემბერი წელიწადის ყველაზე მოკლე დღეა. სწორედ ამ დღეს იწყება ნამდვილი ზამთარი.

track 5

სიმღერები:

1. მერცხალივით იჭიკჭიკე
2. ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან

track 6

– რომელი თვე გიყვარს?
– ივლისი. შენ?
– ოქტომბერი. რატომ გიყვარს ივლისი?
– იმიტომ, რომ ივლისში ზღვაზე მივდივარ. შენ რატომ გიყვარს ოქტომბერი?
– იმიტომ, რომ ჩემი დაბადების დღეა.

track 7

ხვალ დილით იქნება წვიმა, შუადღისას – მზე და საღამოს ისევ იქნება წვიმა.

track 8

დასავლეთ საქართველოში იქნება ღრუბლიანი ამინდი. სამხრეთ საქართველოში მოსალოდნელია სუსტი ქარი და მზიანი ამინდი. ჩრდილოეთით მოსალოდნელია თოვლი. აღმოსავლეთით მოსალოდნელია ძლიერი ქარი და წვიმიანი ამინდი.

track 9

- რატომ გიყვარს ახალი წელი?
- იმიტომ, რომ თოვლის პაპა მოდის და საჩუქრები მოაქვს.
- როგორ ემზადებით ახალი წლისთვის?
- ვდგამთ ნაძვის ხეს. დედა საახალწლო კერძებს ამზადებს.
- როგორ ხვდებით ახალ წელს?
- მაშხალებს ვანთებთ და ვმხიარულობთ. მერე სუფრასთან ვსხდებით, საახალწლო გადაცემებს ვუყურებთ და თოვლის პაპას ველოდებით.

მესამე თემა (დაბადების დღე)

track 10

მე კახა მქვია, ვსწავლობ მეცხრე კლასში. ესენი ჩემი ნათესავები არიან. არჩილი ჩემი დეიდაშვილია, ხათუნა – მამიდაშვილი. არჩილიც მეცხრე კლასში სწავლობს, ჩემი მამიდაშვილი კი მეათეშია. ჩემი დეიდაშვილი ქუთაისში ცხოვრობს, ჩემი მამიდაშვილი კი – ახალციხეში.

track 11

– როდის გაქვს დაბადების დღე?
– 21 მარტს, შენ?
– მე თოთხმეტ სექტემბერს მქონდა.
– რამდენი წლის გახდი?
– ცხრა წლის.
– მე მარტში გავხდები ცხრა წლის.
– შენს ძმას როდის აქვს დაბადების დღე?
– ჩემს ძმასაც მარტში აქვს.

track 12

– ბაბუ, მე ვარ ნათია.
– სად ხარ, ბაბუ?
– ახლა სკოლაში ვარ. დაბადების დღეს გილოცავ! ბაბუ, ძალიან მიყვარხარ!
– დიდი მადლობა, ნათია. ჩვენთან არ მოხვალ?
– კი, საღამოს აუცილებლად მოვალ.

track 13

1. ცხრათვალა მზეს დაბადების დღე აქვს,
ხუმრობაა? გახდა დიდი გოგო,
გამოუცხო ცამ ნისლების ტორტი
და ღრუბლების ბეზეებით მორთო.

მოშხაპუნდა ქალბატონი წვიმა,
მოიყვანა ერთი ბეწო წვეთი,
შემოუსხდნენ მეგობრები სუფრას,
მზე ხალისობს, მზე იცინის, მღერის.

2. - გილოცავ, დათუჩა. - აი, ეს შენ!
- მეც გილოცავ, მეც, მეც...
- აჰა, ესეც შენ.

<u>სიმღერა:</u>
რა ლამაზი დღეა!
რა ნათელი მზეა!
იმიტომ, რომ დღეს დათუჩას
დაბადების დღეა!

მეოთხე თემა (ჩემი სოფელი)

track 14

ფუტკარს

ხელში ნესტარი ჩამასვი,
ცრემლი მადინე ცხარე;
თაფლი შაქარზე ტკბილი გაქვს,
კბენა რად იცი მწარე?

ტარიელ ხავთასი

track 15

სახლი
ჩიტს ბუდე აქვს,
დათვს - ბუნაგი,
ციყვს - ფულურო,
თაგვს კი სორო.
ყველა თავის ბინას აგებს,
ყველა თავის
სახლში ცხოვრობს.

track 16

ტყეში ბევრი ხეა, დიდები, უფრო დიდები და სულ დიდები. ხეებზე კი ჩიტუნები დაფრინავენ: ჭრელები, შავები, გრძელკუდიანები და გრძელნისკარტიანები, ჟღურ-ტულები და ლამაზები. აქვე ცხოვრობს მშიშარა კურდღელი, ეშმაკი მელა, ეკლებიანი ზღარბი და მშრომელი ჭიანჭველები.

track 17

ჩემი სოფელი მთაშია. იქ ძალიან დიდი და მაღალი მთებია. ტყე კი ჩემი სოფლის გვერდითაა. ტყეში წავალ და სოკოებს დავკრეფ. სოფელში ძალიან ლამაზი ეზო გვაქვს და ბევრი ფრინველი და ცხოველი გვყავს.

track 18

- სად გაატარებ ზაფხულის არდადეგებს?
- ჯერ მთაში წავალ, მერე წავალ ზღვაზე. შენ რას აპირებ?
- მე ჩემს სოფელში წავალ ბებიასთან და ბაბუასთან.
- იქ რას გააკეთებ?
- დილით ტყეში წავალთ, სოკოს მოვკრეფთ, მინდორში ვირბენთ. შუადღისას მდინარეში ვიბანავებთ, ვითევზავებთ. შენ როგორ გაატარებ არდადეგებს?
- მე ზღვაში ვიცურავებ, გემით ვისეირნებ. საღამოს ჩემს ბიძაშვილებთან ერთად ქალაქში ვისეირნებ, ფეხბურთსაც ვითამაშებთ.

track 19

სიმღერა – მე სოფელში მივდივარ

მეხუთე თემა (შაბათ-კვირას)

track 20

პატარა სელაპები ძალიან მხიარულები არიან. ჭკვიანი და მხიარული ცხოველია დელფინიც. დელფინს უყვარს თამაში და წყალში ხტუნვა.

track 21

ვეშაპი, დელფინი და სელაპი წყლის დიდი ცხოველები არიან. ვეშაპს და დელფინს დიდი თავები აქვს. სელაპს აქვს პატარა თავი და მოკლე კისერი. ზოგიერთ ვეშაპს და დელფინს ზურგზე აქვს ფარფლები. ზოგიერთ სელაპს კი აქვს ყურები. ყურები აქვს დელფინსაც. ვეშაპს და სელაპს აქვს ულვაში. დელფინს ულვაში არ აქვს. ზოგიერთ დელფინს ზურგზე აქვს ხალები. ზოგიერთ ვეშაპს კი ზურგზე ზოლები და კუზი აქვს.